

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი;  
ქრისტიანობის ისტორიის მიმართულება და  
სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (თბილისი)

Ivane Javakhishvili Tbisisi State University,  
Faculty of Humanities. History of Christianity and  
Center of students's in the History of Christianity (Tbilisi)

## ქრისტიანობის კვლევები

### Christian Researches

# I



გამომცემლობა „კნივერსალი“

თბილისი 2008  
Tbilisi 2008

“ქრისტიანობის კვლევები” წარმოადგენს ქრისტიანობის ისტორიისა და მასთან მოქმედი სტუდენტთა სამეცნიერო წრის პერიოდულ გამოცემას. ჟურნალი ინტერდისციპლინურია და მისი პირველი ტომი ეთმობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის—“ქრისტიანობა და კულტურა” —მასალებს.

**რედაქტორი:** ქეთევან პავლიაშვილი  
პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორი.

**რეცენზები:** 1) გიორგი ოთხმეზური  
პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა  
ბათა დოქტორი.  
2) გიორგი პაპუაშვილი  
დოცენტი, ისტორიის მეცნიერებათა  
კანდიდატი

გამომცემლობა „უნივერსალი”, 2008

თბილისი, 0179, ი. ჯავახევის გამზ. 19, თე: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-265-1

## სარჩევი

<b>მარიამ ნოზაძე</b> ქრისტიანობის საფუძლების საკითხი გვიადებლი სტოიცხვის ჭარმომადგენელია ნააზრებში	5
<b>მიხეილ ქართველიშვილი</b> ეროვნულ-სარტმულებრივი იღენდურობის პროგლემა იოსებ სტალინის თხზულებებში .....	20
<b>ანა დოლიძე</b> რელიგიური მოფიცების ჯოგიერთი ასამეტი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში .....	28
<b>დავით რეგებაშვილი</b> სეიმის განსახლებისა და ეთნიკური ვინაობის საკითხი ბიბლიის მიხედვით .....	38
<b>არჩილ ხაჩიძე</b> საეკლესიო შემოსავლების გაცემების და კლირიკოსთა შენახვის საკითხები ჩრდ. აფრიკის ეკლესიაში .....	46
<b>თამარ ადამია</b> “ფმილები ციცელს ცხოვრის” პარადიგმატული სახისმოფყველება. სის სიმბოლიკა .....	57
<b>გგანცა ბურდული</b> ფმილები მამათა სწავლებანი სიყვარულისა და სინაცელისათვის (გასილი დიდი, იოანე ოქროპირი, ევრემ ასური) .....	67
<b>გიორგი გელუტაშვილი</b> იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მეტოქი ჯვარისმამის ეკლესია თბილისში .....	76

<b>ნათია შეუბულიანი</b> მცირე სჯულისკანონისა და თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის პოლექსის შედარებითი ანალიზისათვის (მპვლელობის შესახებ) .....	87
<b>ეთერ ბოკელავაძე</b> საეკლესიო-ისტორიულ საფუძველთა ფალსიციპაციისათვის პოსოვოსა და აფხაზეთში (ისტორიული არალელები) .....	96
<b>ცირა შალოშვილი</b> “დიდი სჯულისკანონისა” და საქართველოს სისხლისა და სამოქალაქო სამართლის პოლექსების შედარებითი ანალიზი (ქონებრივი საკუთრების ზინააღმდეგ მიმართული დანაშაულებები) .....	119
<b>გიორგი მეტრეველი</b> საქართველოს საპატიიარეოს ადგილის ისტორიისათვის მსოფლიო მართლებისადმი დიპტიხის ში.....	133
<b>სანდრო ნიკოლაიშვილი</b> სახელმწიფოსა და ეპლესიის ურთიერთობა აღრე შუა საუკუნეებში .....	142
<b>თამარ ტლაშაძე</b> ფმიდეათია კანონიზაციის ევოლუცია დასაგლეოთის ეპლესიაში .....	155

## **მარიამ ნოზაძე**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
I კურსი

### **ქრისტიანობის საფუძვლების საკითხი გვიანდელი სტრიუქტობის ჭარმომაღალებითა ნაზრებში**

ქრისტიანობის წარმოშობის თაობაზე არსებულ  
მრავალ პოლემიკურ მოსაზრებას შორის ერთ-ერთი  
არის ვერსია, რომლის მიხედვითაც ქრისტიანობის სა-  
ფუძლები გვიანდელი სტრიუქტის წიაღში უნდა ვეძი-  
ოთ. უპირველეს ყოვლისა, უნდა ადინიშნოს, რომ სტრი-  
ოიციზმი ძვ.წ. III საუკუნიდან მკვიდრდება საბერძნეთ-  
ში, როგორც ფილისოფიური მიმდინარეობა, რომლის  
ფუძემდებელია ძენონ კიტიონელი (ძვ.წ. 335-262 წელი)<sup>1</sup>  
სტრიციზმი დაყოფილია სამ პერიოდად და სწორედ მე-  
სამეს, გვიანდელ სტრიციზმს უკავშირებენ ქრისტიანო-  
ბას, კერძოდ, გვიანდელი სტრიციზმის (ახ.წ. I ს.) სამ  
გამოჩენილ ფილოსოფოსს: ლუციუს ანიუს სენეკას,  
ეპიქტეტესა და მარკუს ავრელიუს ანტონინუს.

სანამ უშუალოდ საკითხის განხილვაზე გადავი-  
დოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, აღვნიშნოთ, თუ რა გავ-

<sup>1</sup> რ. გორდეზიანი, მ. დანელია, შესავალი კლასიკურ  
ფილოლოგიაში, 2007, გვ. 217

ლენა პქონდა იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას საზოგადოებასა და, განსაკუთრებით, ფილოსოფიურ სკოლებზე. ახ.წ. I საუკუნეში იმპერატორ ოქტავიანეს მმართველობიდან მოყოლებული ( ძვ.წ 27 წ. ) რომში, ფორმალურად, რესპუბლიკური მმართველობა შენარჩუნებული იყო, მაგრამ პრინცეპსი, (ანუ “პირველი პირველთა შორის” ) სათავეში ედგა მაგისტრატებსაც და სენატსაც. ფაქტობრივად, იმპერია ერთი პირის მიერ იმართებოდა, რაც , უპირველეს ყოვლისა, ნიშნავდა იმას, რომ ფილოსოფია იმპერატორის სურვილების გავლენის ქვეშ მაინც ექცეოდა, წინააღმდეგობის მიუხედავად. ამის მაგალითია სენეკას ის ტრაქტატები, რომლებიც იდეურად ნერონის მმართველობას უპირისპირდება (რომელთა გამოც გაუჩნდა სენეკას მოწინააღმდეგები). თუმცა, ასევე, გავლენის სასარგებლო ფორმის არსებობაც შეინიშნება: როგორც ცნობილია, მარკუს ავრელიუსი ეხმარებოდა ფილოსოფიურ სკოლებს ათენში. მან დააარსა კათედრები, რომლებსაც ორი მოწინააღმდეგებ ფილოსოფიური მიმდინარეობის, სტოიციზმისა და ეპიკურეიზმის პოპულარიზაცია უნდა გაეწიათ<sup>2</sup>. გავლენის ავგარგიანობის მიუხედავად, ფაქტია, რომ პოლიტიკა და ფილოსოფია მჰიდროდ იყო დაკავშირებული ერთმანეთთან. ალბათ, ეს გახდა მიზე-

<sup>2</sup> მარკუს ავრელიუსი ფიქრები, თარგმანი ბ.ბრეგვაძისა 1984, გვ 39, წინასიტყვაობა

ზი იმისა, რომ XX საუკუნის მეცნიერები საუბრობენ იმის თაობაზე, თუ რამდენად ახლოს იყო იმ პერიოდში დაბალ ფენებში გავრცელებული და პოლიტიკურად დევნილი ქრისტიანული იდეოლოგია და ფილოსოფიის ესა თუ ის მიმდინარეობა. ასე მაგალითად, ქნი მერი ჭელიძე თავის ორ ნაშრომში “ელინიზმის ფილოსოფია” (1992 წ. თბ.) და “ელინიზმის ფილოსოფია ადრეულ ქრისტიანულ ეპოქაში” (1998 წ. თბ.) სტოიკოს ფილოსოფოსთა ნაშრომების განხილვისას წერს, რომ ქრისტიანობის წანამდღვრები სწორედ სტოიციზმის წიაღმი მომზადდა და, რომ მათმა შემოქმედებამ თეორიული საფუძველი მოუმზადა ქრისტიანობას.

განსხავებულ დასკვნამდე მივყავართ გვიანდელი სტოიკოსების ბიოგრაფიულ ცნობებს. აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება ის ცნობები და ვარაუდები, რომლებიც ისტორიულად შემოგვრჩა და, რომლებზე დაყრდნობითაც, ვფიქრობ, წარმოიშვება საწინააღმდეგო მოსაზრება. ბიოგრაფიაზე ყურადღების გამახვილება, თავის მხრივ, გულისხმობს მათი აზროვნების გამოვლენას და ხორცებს რეალობაში, რადგან ქმედება, უპირველესად, განპირობებულია მსოფლმხედველობითა და მიზნებით. ეს ორი მოტივი კი მეტად თავისებური იყო I საუკუნის რომში. ამ პერიოდში საზოგადოების ყველა ფენაში იგრძნობა ამპარტავნებითა და პატივმოყვარეობით განპირობებული გულგრილობა გარკვეულ

ლირებულებათა მიმართ. საბერძნეთის დიადი კულტურის სახეცვლილება და დაკნინება რომის ყოველდღიურობის მახასიათებელია. სტოელი ფილოსოფოსები, ელადური კულტურის გავლენით, ამ იდეალების მისაღწევად ახალ გზებს ეძიებენ. ეს მათ ტრაქტატებში ნათლად იკვეთება, მაგრამ ბიოგრაფიული ცნობები, გარკვეულწილად, საპირისპიროზე მეტყველებს და ეჭვევეშ აყენებს ფილოსოფოსთა მიზნების განსაზღვრის საკითხს.

გვიანდელი სტოიციზმის პირველი წარმომადგგნელი ლუციუს ანიუს სენეკა (ძვ.წ. 4 – ა.წ. 62 წწ.) მაღალ სენატორულ საზოგადოებას მიეკუთვნებოდა. მან კარგი განათლება მიიღო და 31 წელს, ეგვიპტიდან დაბრუნებულმა, იურისპრუდენციაში საქმიანობა დაიწყო<sup>3</sup>. კარიერის დასაწყისში იგი თავისი ფილოსოფიური შეხედულებებით ცდილობდა, გავლენა მოეხდინა იმდროინდელ პოლიტიკაზე, მაგრამ ეს სურვილი წარუმატებელი აღმოჩნდა. მას არაერთი ბრალი წაუყენა იმპერატორმა კლავდიუსმა, რის შემდეგაც კუნძულ კორსიკაზე გადაასახლეს. რომში იგი მხოლოდ 49 წელს დაბრუნდა დედოფალ აგრიპინას შემწეობით და მისი ვაჟის, ნერონის აღმზრდელად დაინიშნა. ნერონის ტახტზე ასვლის შემდეგ კი (54 წ.) უდიდეს პოლიტიკურ

---

<sup>3</sup> რ. გორდეზიანი, ნ. ტონია, ანტიკური ლიტერატურა 2007, გვ 373

ფიგურად იქცა. ამ ხანაში სენექას ქონება საგრძნობლად გაიზარდა და ის ერთ-ერთ უმდიდრესი კაცი გახდა რომში. თუმცა მის იმდროინდელ ტრაქტატებში ვაწყდებით, რომ იგი მატერიალური ფასეულობების წარმავლობაზე “ქადაგებს” სიმდიდრის დაგროვაბის პარალელურად. ამ და სხვა სახის აცილებას ხშირად განუმარტავს მეგობრებს და ამბობს, რომ მისთვის არ არის აუცილებელი იმ “სიკეთებით” ცხოვრება, რომლებზეც წერს: ”მე არა ვარ ბრძენი... ამიტომ მიზნად არ ვისახავ მივაღწიო მთლიან სრულყოფილებას, არამედ მე მინდა მხოლოდ უგუნურ ადამიანზე უკეთესი ვიყო...”<sup>4</sup>

კიდევ ერთი ასპექტი, რომელზეც სენექა მსჯელობს, არის სოციალური თანასწორობის საკითხი. იგი არაერთგზის განიხილავს თავის შრომებში მონათა პრობლემას: ” მონა ადამიანია, თანასწორი სხვა ადამიანისა. მონის სულში ისეთივეა სიამაყე, პატივმოყვარეობა, სიმამაცე, დიდსულოვნება, როგორც სხვა ადამიანებში, როგორიც არ უნდა იყოს მათი საზოგადოებრივი მდგომარეობა... მე მეტყვიან: ისინი ხომ მონები არიან, მაგრამ იმ მონას აქვს თავისუფალი სული”<sup>5</sup>.

ამ და სხვა თამამმა განცხადებებმა მეცნიერების გარკვეული ნაწილი მიიყვანა იმ მოსაზრებამდე, რომ

<sup>4</sup> გ. ჭელიძე, ელინიზმის ფილოსოფია, 1992, გვ 274

<sup>5</sup> გ. ჭელიძე, დასახ. ნაშრ. გვ 275

სენეკას თავისი კაცომოყვარე წერილებით აუცილებლად ექნებოდა კაგშირი ქრისტიანობასთან, მათ შორის მ. ჭელიძის ზემოთხსენებულ ნაშრომში აღნიშნულია: “საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სენეკას ეთიკის სახით ქრისტიანობის წანამდლვრები მომზადდა, რომ სენეკა იყო ქრისტიანობის ბიძა, მასთან თეოლოგიამ მორალური დასაბუთება მოიპოვა, რადგან ადამიანის მიერ ზნეობრივი მოვალეობების დაცვა ღმერთის არსებობის გამართლებულ ერთ-ერთ არგუმენტად ჩამოყალიბდა”.<sup>6</sup>

საინტერესოა, ამ მოსაზრების გამოთქმის დროს, გათვალისწინებული იქნა თუ არა სენეკას პირადი ცხოვრების გზა, რადგან თუ საკითხს სხვა კუთხით შევხედავთ, დავინახავთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული ცნობებიდან გამომდინარე, დასაშვებია ვარაუდი იმისა, რომ სენეკა “აღიარებებს” თავდაცვის მიზნით წერდა. უფრო ზუსტად, თავისი პოლიტიკური პოზიციების შესანიღბავად მას, უბრალოდ, სჭირდებოდა თავდაცვა იმ იდეით, რომ სიკეთის მთესველი იყო. აქ, რა თქმა უნდა, ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ სენეკას მრავალი მოწინააღმდეგე გაუჩნდა, მათ შორის იმპერატორ ნერონის სახით. ისტორიულად ცნობილია, რომ აღმზრდელისა და აღზრდილის ურთი-

<sup>6</sup> მ. ჭელიძე, დასახ. ნაშრ, გვ 272

ერთობა, საწყისი ეტაპისაგან განსხვავებით, დროთა განმავლობაში უფრო და უფრო გართულდა. მიუხედავად იმისა, რომ თავის სწავლებებში სენეკა ზნეობრიობისაკენ მოუწოდებს ნერონს და ტრაქტატში “შემწყნარებლობის შესახებ” იგი მმართველის იდეალურ სახეს წარმოაჩენს, მისი აღსაზრდელი ვერ გახდა ზნესრული მონარქი და აღმზრდელთან დაპირისპირებით, უპირველეს ყოვლისა, მის მოძღვრებას აღუდგა წინ. ეს დაპირისპირება, საბოლოოდ, ნერონის ხელით სიკვდილს უქადა სენეკას, მაგრამ აქ ფილოსოფოსმა ჩაიდინა ქრისტიანული თვალსაზრისით ყველაზე გაუმართლებელი საქციელი: აბაზანაში ვენები გადაიჭრა და თავი მოიკლა. ეს ფაქტი, უპირველესად, ლოგიკურად მიგვოთითებს იმაზე, რომ სენეკას შეუძლებელია პქონოდა რწმენა ქრისტიანობისა, რადგან ასეთ შემთხვევაში იგი აუცილებლად თამამად შეხვდებოდა გარდაუგალ სიკვდილს და სიცოცხლეს თვითმკვლელობით არ დაასრულებდა.<sup>7</sup> მით უმეტეს, რომ მას მრავალი მაგალითი პქონდა იმისა, თუ როგორ შეეძლოთ თავის გაწირვა იდეოლოგიისათვის უბრალო ადამიანებს. რაღა თქმა უნდა, აქ იგულისხმება ქრისტიანთა მასობრივი ქლეტი-

<sup>7</sup> მეცნიერთა ნაწილი ამ ნაბიჯს, უბრალოდ, სტუიტური მოძღვრების პრაქტიკულ ცხოვრებაში რეალიზებად მიიჩნევს, რგორდეზიანი, მ. დანელია, შესავალი კლასიკურ ფილოლოგიაში, 2007, გვ 217, თბილისი

სა და შევიწროების ფაქტები, რომლებიც ნერონის ეპოქაში არნახული სიმრავლით გამოირჩეოდა.<sup>8</sup>

გვიანდელი სტოიციზმის მეორე წარმომადგენელი ეპიქტეტე (50-138 ა.წ.წ.) მონად ჰყავდა ნერონის ყოფილ მონას ეპაფროდიტეს, რომლის დაწინაურების შემდეგ, ეპიქტეტე განთავისუფლდა. გააზატების შემდეგ მან ფილოსოფიას მიუძღვნა თავი და 89 წელს ნიკოპოლში დაარსა ფილოსოფიური სკოლა.<sup>9</sup> მისი ნარავებიდან ჩვენამდე მხოლოდ მცირე ნაწილმა მოადნია. ეს გასაკვირი არცაა, რადგან ეპიქტეტეს თავად არაფერი დაუწერია; მისი მოძღვრება შემოგვინახა ისტორიკოს ლაკიუს ადრიანეს წიგნმა “მოგონებები ეპიქტეტეზე”<sup>10</sup>. ამ ცნობების მიხედვით, იგი თხზულებებში საუბრობს ეთიკაზე, როგორც ფილოსოფიური მოძღვრების უმთავრეს საკითხზე. ასევე, განიხილავს მონობის საკითხს და წერს, რომ მონა შეიძლება უფრო მეტად იყოს თავისუფალი, ვიდრე ბატონი. მისი მოსაზრებით, ნამდვილი თავისუფლება შინაგანია: ” წამართვით ჩემი სხეული, ქონება, პატიოსნება, ოჯახი, მაგრამ ჩემი აზრები და ნება არავის შეუძლია წამართვას, არავის შეუძლია დათრგუნოს”<sup>11</sup>. მეცნიერთა ნაწილი აქაც იმავე პოზიციას ინარჩუნებს; მ. ჭელიძის

<sup>8</sup> ბ. კოპლატაძე, დასახ. ნაშრ. გვ 40-48

<sup>9</sup> ბ. ჭელიძე, დასახ. ნაშრ. გვ 277

<sup>10</sup> ბ. ბრეგვაძე, დასახ. ნაშრ. გვ 280

<sup>11</sup> ბ. ჭელიძე, დასახ. ნაშრ, გვ 279

“ელინიზმის ფილოსოფიაში” ეპიქტეტესთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ : “ეპიქტეტეს მოძღვრება, სენეკასთან ერთად, იმის ნიმუშია, გვიანდელი სტოიციზმის ფორმით როგორ მზადდებოდა ადრინდელი ქრისტიანობის ეპოქა თავისი ახალი მორალური ნორმებით, მოთხოვნილებებით და ინტერესებით”<sup>12</sup>. ეპიქტეტეს დროს, მართლაც, მზადდებოდა იდეოლოგია ქრისტიანობის მომდლავრებისათვის, მაგრამ ეპიქტეტეს მიწნევა ქრისტანობის ფუძემდებლად მისი შემორჩენილი შრომების მთავარ ასპექტთა გათვალისწინებით საკმარისი არ არის. აქ, ერთი მხრივ, უფრო მნიშვნელოვანია ეპიქტეტეს სოციალური მდგომარეობა. ბუნრებრივია, თავისუფლების მოპოვების შემდეგ ყველა ადამიანი დაიწყებდა ბრძოლას მონათა ექსპულატაციის წინააღმდეგ. განსაკუთრებით კი სწავლული ეპიქტეტე არ დარჩებოდა უმოქმედოდ. იგი, მართალია, ეწინააღმდეგება მონობას და თანასწორობის მოთხოვნით გამოდის, მაგრამ ეს არ უნდა იყოს საფუძვლიანი არგუმენტი იმისათვის, რომ ეპიქტეტე ქრისტიანობის ფუძემდებლად მივიჩიოთ. მით უმეტეს, რომ I საუკუნიდან უკვე საგრძნობლად გაიზარდა მონათა უფლებების დამცველთა რიცხვი. ამას ადასტურებს თავად იმპერატორ მარქუს ავრელიუსის გადწყვეტილება მონათა უფლებულის დამცველის მიზანით, რომ ეს უფლებები უკვე მონათა უფლებულის დამცველის მიზანით გადასაცემად გამოიყენებოდა.

<sup>12</sup> ბ. ჭელიძე, დასახ. ნაშრ. გვ 282

ბის გაზრდის გამო; მათ შორის აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ რეფორმის შემდეგ მონის მოპელა დანაშაულად ჩაითვალა და, ასევე, მონას მიენიჭა სასამართლოს წინაშე წარდგომის უფლება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მონათა განთავისუფლებაზე მსჯელობა იმდორისათვის ჩვეული მოვლენაა. იურისტთა ნაწილი კი დღესაც ფიქრობს, რომ რომაულმა სტოიციზმმა პირველად შეხედა მონას, როგორც სრულუფლებიან ადამიანს.<sup>13</sup>

განსხვავებულია გვიანდელი სტოიციზმის მესამე წარმომადგენლის მარკუს ავრელიუს ანტონინუს ავგუსტუსის (121-180 ა.წ.წ.) ცხოვრების გზა და მის შესახებ შემორჩენილი არც თუ ისე მწირი ცნობები. იგი ტახტზე 40 წლისა ავიდა 161 წელს.<sup>14</sup> ისტორიკოსის ცნობით, იგი სიყრმიდანვე სერიოზული და დინჯი იყო, რის გამოც მისმა ბაბუამ, იმპერატორმა პადრიანემ “ვერრისსიმუს”, ანუ “ზნეფაქიზი”<sup>15</sup> უწოდა. თუმცა მის პირვენებას ყველაზე უკეთ წარმოაჩენს თავად მარკუს ავრელიუსის თხზულება “ფიქრები”, რომელიც კეისარმა გერმანულ ტომებთან ომის დროს დაწერა დუნა-

<sup>13</sup> ვ. მეტრეველი, გ. დაგითაშვილი, პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, 2002, გვ.49.

<sup>14</sup> ბ. ბრეგვაძე, დასახ. ნაშრ. გვ 8

<sup>15</sup> თარგმანის მეორე ვარიანტის მიხედვით, დასაშვებია “უმართლესი” რ. გორდეზიანი, ნ. ტონია, ანტიკური ლიტერატურა გვ 418

ისპირეთში. ნაშრომი წარმოადგენს საკუთარი მიზნებისა და მისწრაფებების, შეხედულებათა და შეცდომათა განხილვას, რომელიც იმდენად გულწრფელად და ბუნებრივად არის გადმოცემული, რომ მის წინაშე გამოცდილი და დაბრძენებული კაცის აღსარებად. ამ ვარაუდს უფრო მეტად ამტკიცებს ის ფაქტი, რომ მარკუს ავრელიუსის “ფიქრები” ფართო საზოგადოებისათვის არ არის განკუთვნილი ( თხულების არსებობის შესახებ მხოლოდ ავტორის სიკვდილის შემდეგ გახდა ცნობილი)<sup>16</sup> . ამ მიზეზთა გამო კი, ვფიქრობთ, საფუძვლიანია იმ მოსაზრების სარწმუნოდ მიჩნევა, რომელსაც ავრელიუსი თავის თხულებაში ქრისტიანების შესახებ გამოთქვამს. კერძოდ, იგი კიცხავს სულის ცხონებისათვის თავგადადებულ ქრისტიანებს, ამის მიზეზად კი ასახელებს იმას, რომ სიკვდილთან შეხვედრისას შინაგან მზადყოფნას თავად ტრაგიზმისაგან თავისუფალ მოვლენად მიიჩნევს და სიკვდილთან მიახლოვებისას ქრისტიანთა “ბრმა სიკერპეს” არაფრის მომტანს უწოდებს.<sup>17</sup>

მაგრამ, ისევ და ისევ, “ფიქრებიდან” გამომდინარე, მეცნიერთა შორის არის ეჭვი მარკუს ავრელიუს-

<sup>16</sup> რ. გორდეზიანი, ნ, ტონია, ანტილური ლიტერატურა, 2007, გვ 422

<sup>17</sup> მარკუს ავრელიუსი, ფიქრები, დასახ. თარგმანი, გვ 247

სის მოძღვრებასა და ქრისტიანობას შორის კავშირის თაობაზე. ამ მხრივ, საყურადღებო ეპიზოდია გნებათა და ზრახვათა დათმენის შესახებ მოწოდება: “არის კაცი, რომელიც დოცულობს: „როგორ დავეუფლო ამ ქალს?!” შენ კი ილოცე: „როგორ დავადწიო თავი ამ ქალის ფლობის სურვილს?!” ის: „როგორ მოვიცილო თავიდან ეს კაცი?!” შენ: „როგორ მოვიქცე, რომ არ დამჭიდრეს თავიდან მოცილება მისი?!” ის: „ნუ მომასწრებ შვილის სიკვდილს!“ შენ: „ნუ მომასწრებ იმას, რომ მეშინოდეს შვილის დაკარგვის!“<sup>18</sup> ამ და სხვა მსგავსი სახის მოწოდებების სიმრავლემ, ბუნებრივია, მეცნიერები დააფიქრა იმაზე, შესაძლებელი იყო თუ არა, იმპერატორს ჰქონოდა კავშირი ქრისტიანებთან. მაგრამ ისტორიული ცნობები არ ადასტურებს ამ ვარაუდს: ცნობილია, რომ მარკუს ავრელიუს ანტონინუსი რომმა ყველა ტრადიციის აღსრულებით დაკრძალა და მის პატივსაცემად ტაბარი აიგო, დაარსდა ქურუმთა კოლეგია, ხოლო ხალხმა “კეთილმოწყალე ღმერთად” გამოაცხადა იმპერატორი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისტორიკოსთა ცნობებს ყალბად მივიჩნევთ, ისედაც ბუნებრივია იმის თქმა, რომ, მარკუს ავრელიუსს, როგორც რეფორმატორ და, ამავე დროს, სიქველით გამორჩეულ კეისარს, სახელმწიფოებრივი რელიგია უნდა

<sup>18</sup> მარკუს ავრელიუსი, ფიქრები, დასახ. თარგმ. გვ 222

დაეცვა, როგორც რომის ერთიანობის შენარჩუნების ერთ-ერთი უმთავრესი პირობა<sup>19</sup>. ამიტომ, გაცილებით მართებულია იმის მტკიცება, რომ მარკუს ავრელიუსი ქრისტიანთა წინააღმდეგ გამოვიდოდა, ვიდრე იმისა, რომ მათი, როგორც “სექტანტების” პოზიციას დაიცავდა.

განხილულ მაგალითთა საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანობის წარმოშობის ამ ვერსიას არ გააჩნია ისტორიულ ცნობებზე დამყარებული საფუძველი და, რომ იგი კონკრეტულ მეცნიერთა სუბიექტურ მოსაზრებას წარმოადგენს. ამაზე მიანიშნებს ის ნაშრომი სენეკასა და პავლე მოციქულის მიმოწერის შესახებ, რომელიც, დადასტურდა, რომ გვიანდელ პერიოდს ეკუთვნის,<sup>20</sup> რაც, თავის მხრივ, ასახავს იმის მცდელობას, რომ შუასაუცუნებში სენეკას მოძღვრების არასწორი გაგება იშვიათი არ იყო. ამიტომ, დასაშვები იქნება ვარაუდი იმისა, რომ სტოიციზმისა და ქრისტიანობის კავშირი დღემდე არასანდო ფაქტებზე დაყრდნობით ივარაუდეს, რადგან, როგორც თავად სტოიციზმის წარმოშობა იყო ლოგიკური და ისტორიული აუცილებლობის მქონე ელინიზმის ფილოსოფიაში, ასევე, მნიშვნელოვანი და გარდაუვალი მოვლენა იყო

<sup>19</sup> ბ. ბრეგვაძე, დასახ. ნაშრ. გვ 44-45

<sup>20</sup> რ.გორდეზიანი, ნ.ტონია, ანტიკური ლიტერატურა, გვ.374, თბ.2007

მსოფლიო ისტორიაში ქრისტიანობის იდეოლოგიის თანდათანობით დამკვიდრება. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ჩვ.წ. I საუკუნეში ქრისტიანობასა და სტოიციზმს მხოლოდ ეპოქა აერთიანებდათ, რაც საფუძვლიანი არგუმენტი არ არის იმისათვის, რომ გვიანდელი სტოიციზმის წარმომადგენლები ქრისტიანობის ფუძემდებლად მივიჩნიოთ.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. მარკუს ავრელიუსი, ფიქრები, თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძისა, თბილისი 1984
2. რ. გორდეზიანი, ნ. ტონია, ანტიკური ლიტერატურა, თბილისი 2007
3. რ. გორდეზიანი, მ. დანელია, შესავალი კლასიკურ ფილოლოგიაში, თბილისი 2007
4. მ. ჭელიძე, ელინიზმის ფილოსოფია, თბილისი 1992
5. გ. კოპლატაძე, ქრისტიანული ეკლესიის ისტორია, თბილისი 2007
6. ვ. მეტრეველი, გ. დავითაშვილი, პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, თბილისი 2002

**Mariam Nozadze**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Faculty of Humanities, First year

**The question of Christianity's bases in the  
conception of Late Stoicism**

**S u m m a r y**

The article is about the versions of the bases of Christianity, which has a connection with the Stoicism, a philosophical course, which was created at the III century B.C. in Greece. The latest representatives of Stoicism Seneca, Epictete and Marci Aurelii, mainly wrote about such themes into their treatises, that they were considered to be very close to Christianity, as they, herewith, were forming in the same epoch. But as we look about the historical facts and biographical notifications of that philosophers' life we found that it's practically impossible to announce something resolutely about the relationship between Stoics and Christianity.

**მიხეილ ქართველიშვილი**  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
მაგისტრატურის I კურსი,  
საქართველოს ისტორია

## ეროვნულ-სარაზმოებრივი იდენტურობის პროგლობა იოსენ სტალინის თხზულებებში

ქართულ რეალობაში ეროვნულ-სარწმუნოებრივი  
იდენტურობის პრობლემის მეცნიერულ შესწავლას  
უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მან დიდწი-  
ლად განაპირობა საქართველოს სახელმწიფოებრივი  
განვითარების არაერთი უმნიშვნელოვანები საკითხი.

აღნიშნული თვალსაზრისით ვფიქრობთ, რომ განსა-  
კუთრებით საინტერესო პერიოდს წარმოადგენს საბჭო-  
თა ეპოქის საქართველო, რადგან სწორედ ამ პერიოდ-  
ში ეყრება საფუძველი სააზროვნო სისტემის ანუ მენ-  
ტალიტეტის იმგვარ ფორმას, რომელიც ჩვენს ცნობიე-  
რებაზე დღემდე საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს. აქე-  
დან გამომდინარე ამ პრობლემის მეცნიერული შესწავ-  
ლა უაღრესად მნიშვნელოვან და საშუალებელი მიგ-  
ვაჩნია.

ვიზიარებთ რა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთ-  
ქმულ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც საბჭოთა პე-  
რიოდის საქართველოს ისტორია უნდა გავიაზროთ  
საბჭოთა კავშირის მთლიან ისტორიასთან ერთად, მიგ-

ვაჩნია, რომ ამ ეპოქის მეცნიერული შესწავლა თითქმის შეუძლებელია მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიული მემკვიდრეობის სათანადო გააზრების გარეშე, რადგან აღნიშნული გახდავთ ის თეორიული ბაზისი, რომლესაც დაეფუძნა საბჭოთა სახელმწიფოებრიობა და მას გვერდს ვერ აუგლის საბჭოთა ეპოქაზე მომუშავე ვერცერთი მკვლევარი.

აღნიშნული თვალსაზრისით ვფიქრობთ განსაკუთრებული უურადღება უნდა მივაქციოთ ვლადიმერ ლენინის, ლევ ტროცკისა და იოსებ სტალინის შემოქმედებითი მემკვიდრეობის სათანადო გააზრებას, რადგან მათმა ნააზრევმა თეორიული საფუძველი მოუმზადა საბჭოთა პოლიტიკურ სისტემას.

წინამდებარე გამოკვლევის მოკრძალებული მიზანია შევისწავლოთ იოსებ სტალინის თხულებებში ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდენტურობის პრობლემის ადგილი და მნიშვნელობა. სავსებით ბუნებრივია, რომ აღნიშნული უაღრესად რთული საკითხის სრულყოფილი შესწავლის პრეტენზია არ გაგვაჩნია და ამ ეტაპზე მხოლოდ საკითხის დასმით შემოვიყარგლებით.

შემდგომი გაუგებობების თავიდან აცილების მიზნით გვსურს განვმარტოთ, რომ თანამედროვე სამეცნიერო აზროვნებაში იდენტურობის ცნება არ გაიაზრება, როგორც უდავო ერთიანობა. იგი შეიძლება გავიაზ-

როთ პრობლემად, რომელიც საერთო მახასიათებლებით გამოირჩევა.

ქართულ, რუსულ და ევროპულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში იოსებ სტალინი სავსებით სამართლიანადაა მიჩნეული პოლიტიკურ მოღვაწედ, რომელიც თავის თეორიულ თუ პრაქტიკულ მოღვაწეობაში განსაკუთრებით დიდ ადგილს უთმობდა ეროვნულ იგივე ნაციონალურ საკითხს. მისი მოსაზრებები მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნების მიუხედავად დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს და ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ერთ-ერთ ორიგინალურ, თავისებურ და საინტერესო შემთხვევადაა მიჩნეული.

იოსებ სტალინი ბოლშევკ მოღვაწეთაგან ერთ-ერთი გამორჩეულია, ვინც ეროვნული საკითხი სიღრმისეულად შეისწავლა და ამ თემას არაურთი პუბლიცისტური წერილი და ბროშურა მიუძღვნა. უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული მუშაობა თავდაპირველად კლადიმერ ლენინის უშუალო ინიციატივით ხორცილდებოდა, რაზეც სავსებით სამართლიანად შენიშნავს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის აღიარებული სპეციალისტი კენეთ ნ. უოლეცი. ეროვნულ საკითხში „თავისი თავდაპირველი მოსაზრებების მცდარობის აღმოჩენის შემდეგ ლენინი გულმოდგინედ შეუდგა სხვა ახსნის ძიებას, რადგან ეს სოციალისტური თეორიის

გადასარჩენად იყო აუცილებელი“ ასეთი ახსნა კი მან სწორედ იოსებ სტალინის ნაზრებში იპოვა.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ იოსებ სტალინის მთელი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ძლიერაა იდეოლოგიზირებული, მეტიც აღნიშნული თვალსაზრისით იოსებ სტალინი თავად გვევლინება იდეოლოგიის ერთგვარ ჩამომყალიბებლად.

პირველი ნაშრომი, რომლიც იოსებ სტალინმა ეროვნული საკითხის განხილვას მიუძღვნა არის “როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი“, რომელიც გაზით “პროლეტარიატის ბრძოლის“ 1904 წლის 1 სექტემბრის მე-7 ნომერში დაიბეჭდა.

სტატიაში უაღესად საინტერესო დასკვნებია გაკეთებული, კერძოდ იოსებ სტალინი პირდაპირ წერს: „ნაციონალური საკითხი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ინტერესებს ემსახურება, სხვადსხვა ელფერს იღებს იმის მიხედვით თუ რომელი კლასი და როდის წამოწევს მას.“ აღნიშნული ფრაზა მნიშვნელოვანია, იმით, რომ იოსებ სტალინი პირდაპირ აღნიშნავს, რომ ეროვნული საკითხის ერთჯერადად გადაწყვეტა მართებული არ იქნება და იგი ეპოქასთან მიმართებაში უნდა გაიაზრებოდეს.

მართლაც, შემდგომში ნათლად დავრწმუნდებით, რომ იოსებ სტალინის მთელმა რიგმა შეხედულებებმა დროის შესაბამისი ცვლილებები განიცადა.

ზემოაღნიშნული სტატია წარმნოადგენს ქართულ სინამდვილეში არსებული ნაციონალისტური მისწრაფებების ერთგვარ მიმოხილვით ანალიზს.

მთელი რიგი საკითხების განხილვისას იოსებ სტალინი მიღის საინტერესო დასკვნამდე, რომლის მიხედვითაც რუსეთის იმპერიაში შემავალი სალხების ნაციონალური საკითხი რუსეთის პროლეტარიატმა უნდა გადაწყვიტოს.

ამავე სტატიაში იოსებ სტალინი ახასიათებს რა ქართულ ფეოდალურ ნაციონალიზმს მასთან ერთად განიხილავს სამდვდელოების როლსაც, რომელიც მას უკიდურესად უარყოფითად მიაჩნია, თუმცა აღნიშნულ საკითხზე კრცლად არ ჩერდება და მხოლოდ შენიშვნის სახით აკეთებს.

შემდგომი პუბლიცისტური ნაშრომი, სადაც იოსებ სტალინი ეროვნულ საკითხს ეხება არის “მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“. ეს წერილი ფუნამენტური ხასიათისაა და მას გვერდს ვერ აუვლის საბჭოთა ეროვნულ საკითხზე მომუშავე ვერცერთი მკვლევარი, მასში იოსებ სტალინის ადრინდელმა მოსაზრებებმა რამდენადმე ცვლილებები განიცადეს და ჩამოყალიბებული სახე მიიღეს. მასში ნათლადაა ჩამოყალიბებული ერთათვითგამორკვევის პრინციპი, რომელიც როგორც ცნობილია პროლეტარიატის ინტერნაციონალურ თანასწორობასა და მმობას უნდა დაფუძნებოდა.

აღნიშნულ ნაშრომში ყურადღებას იქცევს ერთი საინტერესო ფრაზა „საეკლესიო რწმენა ფეოდალური ეროვნული გრძნობების გამოხატულებას წარმოადგენს“ აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იოსებ სტალინი არ უარყოფდა სარწმუნოების როლს. სავსებით ბუნებრივია, რომ იგი ამ მიმართულებით მსჯელობას არ აგრძელებს, რადგან ეს კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა სოციიალ-დემოკრატია ოფიციალურ შეხედულებებს, რელიგიისადმი, რომელიც ამ უკანასკნელის თავიუფლების იდეით პრაქტიკულად ათეიზმის პროპაგანდირებას ახდენდა.

ამ წერილში იოსებ სტალინი უკვე აქტიურად შეეწინააღმდეგა პარტიის შიგნით არსებულ დაპირისპირებებს და ცდილობს თავისი შეხედულებები წარმოადგონოს, როგორც ერთადერთი ურყევი ჰეშმარიტება.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ იოსებ სტალინი ეროვნულ საკითხს საინტერესოდ განიხილავს ბროშურაში „მიმდინარე საკითხები“, სადაც ოქტომბრის რევოლუციას რუსეთის იმპერიაში მყოფი ერების განთავისუფლების ისტორიულ შანსს უწოდებს, აქ იოსებ სტალინი შედარებით ვრცლად ჩერდება ეპლესიის როლზე და მას კატეგორიულად უარყოფითად ახასიათებს.

როდესაც იოსებ სტალინის თხზულებებში ეროვნულ საკითხზე ვსაუბრობთ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ მასში სარწმუნოებრივი ასპექტების შესახებ ლაპარაკი თითქმის საერთოდ არ გვხვდება, თუმცა არის ცალკეული მინიშნებები, „სულიერ როლზე“, „იდეალურ განხილვაზე“, სადაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სარწმუნოება უნდა იგულისხმებოდეს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ იოსებ სტალინის თხზულებებში ეროვნული საკითხის გადაწყვეტის უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რაც თავის მხრივ განპირობებულია პრობლემათა აქტუალურობითა და განსაკუთრებული მნიშვნელობით, რაც შექება სარწმუნოებას იგი გაიაზრება, როგორც წმენის თავისუფლების შედეგი.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. იოსებ სტალინი, თხზულებანი, ტომი I, თბ., 1947
2. ერასტი ახობაძე, ეროვნული საკითხის ისტორიიდან საქართველოში (1900-1917წწ.), თბ., 1965
3. ვახტანგ გურული, იოსებ ჯულაშვილის არჩევანი, თბ., 2007

4. ქეთევან პაგლიაშვილი, საქართველოს სამოცო-ქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია, 1800-1945, ნაწ. I, ობ., 2008
5. ნოდარ ნათაძე, ერი და ეროვნული კულტურა, ობ., 1990
6. Francoise Furet, Staline et la question nationale, Paris, 1987
7. აქნეთ ნ. უოლცი, ადამიანი, სახელმწიფო და ომი, თეორიული ანალიზი, ობ., 2003

**Mikheil Kartvelishvili**

The first year MA student of Ivane Javakhishvili  
Tbilisi State University,  
Faculty of humanities,  
direction of history of Georgia

### **Natiional and religional identical problems in the Ioseb**

#### **Stalin's works**

#### **Summary**

In this article is discussed national and religional identical problems in the Ioseb Stalin's works. the main stages it's development and characterictics, it are concrete historical-political and cultural importartance.

## **ანა დოლიძე**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
I კურსი

### **რელიგიური მოტივების ზოგიერთი ასახაზი**

#### **ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში**

მსოფლიო ლიტრატურაში რეალიზმის დამკვიდრებას თან ახლდა ერთგვარი სკეპტიციზმი რელიგიისადმი, რაც რენესანსული მოტივებით იყო ნაკარნახევი. აღორძინების ხანის ზეგავლენა ან პირდაპირ დაეტყო ტექსტს ( ბალზაკი, სტენდალი, ფლობერი), ან გარკვეული იმპროვიზაციის უფლება დაიტოვა (ტოლსტოი). რწმენისადმი თანმიმდევრული დამოკიდებულება, მისი კონცეპტუალური გადმოტანა ლიტერატურაში თითქმის უარყოფილი იყო. ამ მხრივ გამონაკლისს ქართული რეალიზმი, კერძოდ ილია ჭავჭავაძის შემოქმედება წარმოადგენს. ქართველი კლასიკოსის ნაწარმოებების ერთ-ერთი ძირითადი (თუ უმთავრესი არა) განმსაზღვრელი ხაზი სწორედ უფალთან მიმართებას, მართმადიდებლურ-ქრისტიანული მსოფლხედვის მკითხველთან მხატვრული ფორმით მიტანას გულისხმობს.

ამის ნიმუშია ილიას „ლოცვა“, რომელიც სახარებისული მცნებების და ცნებების ლექსის სახით ამეტყველების ქრესტომათოული მაგალითია. ილიას „ლოც-

ვა“ ლექსიკოთაც კი მიჰყება „მამაო ჩვენოს“ – „მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა...“ იმ განსხვავებით, რომ ილიას ლოცვაში ნახსენები არ არის „პური არსობისა“, მაგრამ თავისთავად იგულისხმება. ლექსში ყურადღება გამახვილებულია სულიერ საზრდელზე, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის შემოქმედთან კაგშირს, მისი სულის ზეაღსვლას. პოეტი მუხლმოდრეკოლი და „ლმობიერი“ დგას უფლის წინაშე. „ლმობიერი“ ნიშნავს სხვის შემწყალებელს, მზად მყოფს, შეუნდოს სხვას შეცოდება.

უფლის ლოცვის ციტირებას ეკლესიასტური ხედვა მოხდევს – „არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა“ და წინასწარმეტყველური ფრაზა, რომელშიც ცხადადაა ბიბლიური სენტენციები წარმოდგენილი. შეადარეთ: „გიყვარდეს მტერი შენი...“ და

„... მტერთათვისაც, რომელთ  
თუნდაც გულს ლახვარი მკრან,  
გთხოვდე, შეუნდე, არ იციან  
ღმერთო, რას იქმან.“

პოეტის თხოვნა უფლისადმი არ არის განსაზღვრული პირადი სარგებლით. ილიამ იცის, რომ მისი ლოცვა წმინდაა (თავად უწოდებს ასე) და არ უნდა შეურაცხყოს ის მიწიერი სურვილით:

„არ მინდა ამით შეურაცხვყო მე ლოცვა წმინდა...“

პოეტი მხოლოდ ერთი თხოვნით მიმართავს უფალს – მიენიჭოს მას დგთაებრივის შეცნობის უნარი, რათა შეიმეცნოს უფლის მიერ „ნამცნები სიყვარული“. ილიამ კარგად უწყის, რას ნიშნავს სიყვარული, რომ უფლის ტრფობა მას მხოლოდ მოყვასის სიყვარულს არ ავალდებულებს; რომ მოყვრული სიყვარული მოიცავს მოყვრისა და მტრის – ორივეს – სიყვარულს.

„ხოლო მე გეტყუი თქვენ: გიყუარდედ მტერნი თქუენნი და აპურთხევდით მწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა და ულოცვევდით მათ, რომელნი გმბლავრობდნენ თქუენ და გდევნიდენ თქუენ“ (მატე 5, 44).

მხოლოდ ამ გზით – მტრის სიყვარულით – შეიცნობს ადამიანი სრულყოფილ სიყვარულს; სწორედ ამ გზით აღწევს მისი ლოცვაც სრულყოფას. მტრის სიყვარულის მოტივის წარმოჩენით ილიას ლოცვა წმინდა ხდება, რადგან პოეტი ძლევს ადანიანთათვის დაუძლეველს და მტრის შენდობას, მტრის კარგადმყოფობას შესთხოვს უფალს.

ილიას კიდევ ორი ლოცვითი ჟანრის ლექსი აქვს შექმნილი. ესენია: „ლოცვა“, „ოდეს დემონი ურწმუნების“) და „გ. აბხ.“. ორივე ლექსი უფლისადმი მიმართვას წარმოადგენს. „ოდეს დემონი...“ სახარებისეული ამბის, უფლის ცხოვრების ერთი მონაკვეთის – გეთსემანიაში იქსოს ლოცვისა და ქცევის – თანაგანცდაა.

ურწმუნოების დემონი, ადამიანთა მაცდუნებელი, საწამლავით საგსე თასს აწვდის წმინდანს, რომელიც თავისი ცხოვრებით ბაძავს უფალს და მზადაა მის შესასმელად. და მაინც, მიუხედავად ამისა, იგი დაზღვეული არაა ხორციელი გრძნობისგან, რომელსაც შიში ჰქვია. ამიტომ შესთხოვს პოეტი უფალს:

„და უკეთუ არს შესაძლებელი,  
მე განმარიდენ იგი სასმელი!“

და როგორც კი იესოს ამ სიტყვებს ებმის მისი უარყოფა, ილიასაც მაშინვე უკან მიაქვს თავისი სიტყვები:

„მაგრამ თუ ღმერთო, შენ ღვთაებას სურს,  
რათა გამოცდა მით ჰქონდეს ჩემს სულს,  
განკქრენ შენ ხმასთან სურვილი ჩემნი  
და იყავნ ნება, უფალო, შენი!“

„იყავნ ნება შენი“ – ეს სიტყვები ლოცვის უმაღლესი საფეხურია, წმინდა ლოცვაა; ხოლო მთელი ლექსი წმინდანის მსოფლხედვის გამოხატულებაა, კაცის, რომელიც მზად არის ტანჯვისათვის. „სულიერი შერიგება, ჩვენ უნდა გავიგოთ და გამოვსახოთ როგორც ქმედება, როგორც მოძრაობა სულისა, როგორც პროცესი, რომლის მსვლელობაში თავს იჩენს ძალ-ღონის დაძაბვა და ბრძოლა და არსებით მომენტად გვევლინება ტკივილი, სიკვდილი, მწუხარე გრძნობა არარაობისა, ტანჯვა სულისა და ხორცისა (გ. ფარულავა, მხატვრუ-

ლი სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ პროზაში, თბ., 1982)

რაც შეეხება ლექსს „გ. აბხ/აზს/“, კონკრეტულ მიძღვნას წარმოადგენს, პოეტის პირად სურვილებს ყრმისადმი, ანუ აქ ჩანს მოყვრული სიყვარულის გამოჟღავნება, რომელიც „საწუთოს კაცოა“ ცნობიერებით – კეთილი სურვილებით – კი არ განისაზღვრება, არამედ ქრისტიანული იდეალით, ყრმისათვის ტანჯვის ნუგეშის შთაგონებით.

ლიტერატურის კრიტიკაში შენიშნულია ერთი ას-ჰექტიც „ყვარლის მთებიდან“. პოეტი თავის საპროგრამო სიტყვაში ადრესატს ვერტიკალურად მიემართება. იგი თითქოს თავის გეგმას უფალს გაანდობს და მიაბარებს. ამ ლექსში ისიც კარგად წარმოჩნდება, რომ „ყრმა“ ახლოს დგას უფალთან, სწვდება მის სიმაღლეს, მაგრამ ზრდასთან ერთად შორდება მას და საჭირო ხდება სხვა გზა მოძებნოს უფალთან მისასვლელად. ეს გზა განათლებაა, რომელიც იღიას შემოქმედებაში აღიქმება არა მხოლოდ როგორც სწავლა-განათლება (რისთვისაც მიემგზავრება ის პეტერბურგში), არამედ როგორც – ამაღლება, სულის განათლება. ეს კარგად ჩანს იღიას მთელ რიგ ნაწარმოებებში მკვეთრად გამოხატული „კვალი განათლებულის“ მოტივიდან. გავიხსენოთ იღიას ლექსი „ქართვლის დედას“:

„დედავ! ისმინე ქართვლის ვედრება:

ისე ადზარდე შენ შვილის სული,

რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,

უკან პრჩეს კვალი განათლებული“.

ილიას ლოცვებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია „აჩრდილში“ ჩართული „დედაო ლვთისავ...“

„დედაო ლვთისავ, ეს ქვეყანა შენი ხვედრია ...

შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს ხალხსა;

საღმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უდ-  
ვრია,

ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!“

— ეს სიტყვები პირდაპირი მინიშნებაა იმაზე, რომ  
ილიას მთელი პროგრამა, „შრომის ახსნის“ ჩათვლით,  
კონსტიტუციური მოდელისაა და ტრანსცენდენტალურ  
ნებას უკავშირდება. თხოვნაც შესაბამისია:

„ჩაგრულთ სასოო, ნუ გვარიდებ მოწყალე თვალ-  
სა...“

ვფიქრობთ, პოემის შესავალშიც დახატულია ადამი-  
ანის განწმენდის, ამაღლების პროცესი, რომლის გარე-  
შეც შეუძლებელია „წმინდა ლოცვა“. ეს პროცესი ამ  
სიტყვებით გამოიხატება:

„ამა ნუგეშით ადმრული სული

აღმევსო ნელის სიხარულითა,

ეჭვთაგან წინათ გვემული გული

განცხოვლდა წმინდის სიყვარულითა;

გარდმომევლინა ყოვლად შემძლები

ქვეყნისა ამის სიკეთის რწმენა,  
ადმიფრთოვანა მან ოცნებები  
და განმიწმინდა ხედვა და სმენა.“

ცალკე თემაა ილიას „განდეგილი“; ჩვენ მხოლოდ ერთ ფრაზას შევეხებით – „ხსნა ყველგან არის“, რომელიც ამ შემთხვევაში იმით არის საინტერესო, რომ ტერმინი „ხსნა“ უსათუოდ რელიგიას, ქრისტიანობას უკავშირდება. ილია ფიქრობს, რომ ყველგან, ყველა სფეროში, ყველა მხარეს ადამიანი სწორედ ხსნისათვის უნდა იღვწოდეს, მხოლოდ ამ ღვწის ფორმებია სხვადასხვაგვარი.

მართმადიდებლურ-ქრისტიანული მსოფლხედვა თვალსაჩინოდ აისახება ილიას პროზაშიც. ოთარაპონტ ქვრივი ქრისტიანული მცნებების მატარებელი ადამიანის მაგალითია, ლუარსაბი კი მათი ნაკლებობის; „მგზავრის წერილების“ მანიფესტიც ამგვარ იღებს ავითარებს, რომ არაფერი ვთქვათ „გლახის ნაამბობს“ მოძღვარზე, რომელიც ნიმუშია ჭეშმარიტი მღვდელმსახურისა, ადამიანური სითბოს, სიყვარულის და სულიერებისა. მაგალითად მოგვყავს მთავარი გმირის, გაბრიელის სიტყვები, მისეული დახასიათება მოძღვრისა:

„მე იმ მღვდელზედ სიტყვა ძალიან გაგიგრძელებ, ბატონო, და ყბედობაში ნუ ჩამომართმევთ. ორიოდე ნათელი დღე მე იმასთან გამიტარებია, გონებისა და ადამიანობის თვალი,— ავად თუ კარგად,— იმასთან ამიხი-

ლებია. ჩემის ბნელის ცხოვრების გზაზედ იმის მეტი ვარსკელაგი არ ამოხულა, — და ამ უპირო ქვეყანაშ სხვა ნურა დამაყვედროს რა. ამიტომ მიყვარს მე იმ მღვდელზედ ლაპარაკი. როცა კი ვლაპარაკობ ხოლმე, სული ისევ სულობს, როცა იმას ვახსენებ, დამიჯერეთ, რომ მე იმის ხსენებაზედ ამ ქვეყნად კიდევ მადლი ღვთისა მწამს, კიდევ მგონია, რომ ეს ქვეყანა შესაფერია და ამ ქვეყანასთან ძაფი არ გამწყდომია. დალოცა ღმერთმა ის „კაცად-კაცი!..“ „კაცად-კაცი“ ღვთის სახეა, ზნეობის ეტალონია, რწმენის ჩამნერგავია, ადამიანთა გადამრჩენელია ისევე, როგორც უფალი.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ნათლად გამოიხატა ქრისტიანული მოტივები: ყრმის უფალთან სიახლოვის, ტანჯვით ბედნიერების მოპოვების, უფლის მცნებათა ქადაგების, სისრულისაპერ სწრაფვის, მოყვასისა და მტრის სიყვარულის, მტრის სიყვარულით კი სრულყოფილის – უფლის – შეცნობის, უფლისადმი ბაძის და რწმენით საუკუნო ცხოვრების მოპოვების. ჩვენ მხოლოდ ამ მოტივების ზოგიერთ ასპექტს შევეხეთ.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ახალი ადთქეუმაი, საქართველოს საპატიო-არქოს გამომცემლობა, თბილისი, 1955.
2. ფარულავა გრივერ, მხატვრული სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ პროზაში, თბილისი, 1982.
3. ჭავჭავაძე ილია, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. I, „მეცნიერება“, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1987.
4. ჭავჭავაძე ილია, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. II, „მეცნიერება“, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1987.

**Anna Dolidze**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Faculty of Humanities, First year

**Some Aspects of Religious Motives In the Literary Works of  
Ilia Chavchavadze**

**Summary**

This paper analyzes religious motives in the literary works of XIX century Georgian classical author Ilia Chavchavadze. These motives are not represented in his works perfectly; author speaks only about some of them: about the closeness of the Father and Son; the achievement of the happiness by the way of torture, preaching the Divine commandments, love one's neighbor and enemy – the way which shows us how to attain the perfection - to conceive the God - and to achieve the eternal life by faith.

დავით რეკვაგა  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
სპეციალობა: თურქული ენა და ლიტერატურა  
III კურსი

## სათხმის განსახლებისა და ეთნიკური ვინაობის საკითხი ბიბლიის მიხედვით

თანამედროვე თურქთოს აზიური ნაწილი – ანატოლია, რომელსაც ძველთაგანვე უწოდებდნენ აგრეთვე „მცირე აზიას“, კაცობრიობის ცივილიზაციის ერთ-ერთ უძველეს კურადაა არიარებული. ეს არის საკმაოდ ვრცელი ტერიტორია, სადაც ათასწლეულთა მანძილზე ხდებოდა სხვადასხვა წარმოშობის ტომთა თუ ხალხთა შერევა. ძვ. ადმოსავლეთ ხანაში აქ არაერთი დიდი თუ პატარა სახელმწიფო წარმოიქმნა, მაგრამ სხვადსხვა გარემოებათა გამო ისინითნდათან გაქრნენ ისტორიის ასპაერეზიდან ისე, რომ ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოაღწია ჩვენს ეპოქამდე.

ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე კულტურულად უძველესი ხანებიდანვე დაწინაურდა აღ. ანატოლია, განსაკუთრებით კი მცირე აზიის ცენტრალური ნაწილი, სადაც ჩამოყალიბდა სახელმწიფო, რომელიც ერთ-ერთ უდიდეს პოლიტიკურ ძალად გადაიქცა არა მარტო მცირე აზიაში, არამედ მაშინდელ ახლო აღმო-

საგლეთშიც. ეს იყო ხეთების სამეფო ანუ ხ ა თ ი, რომელიც ძვ. წ II ათასწლეულში არსებობდა და მცირე აზიის ძველ ისტორიაში მოელი ეპოქა შექმნა.

„ძველ აღთქმაში“ „ხეთები“ რამდენიმეჯერაა ნახსენები, მაგრამ აქ იგულისხმებიან არა II ათასწლეულის ცენტრალურ მცირე აზიაში მოსახლე ტომები, არამედ ის ხეთები, რომლებიც ჩრდ. სირიაში ცხოვრობდნენ ძვ. წ. I ათასწლეულში, კ.წ. „გვიანდელი ხეთები“.

„ძველი აღთქმის“ ხეთების შესახებ არსებულ ცნობათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მითო-თებებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ხეთების განსახლების არეალი სირია-პალესტინაში. „დაბადება“ (10,15) გვანმცნობს, რომ ხეთები ქანაანის შვილის ქატელის შთამომავლებად ითვლებოან და სხვა მომმე ქანაანის ტომებთან ერთად მოსახლეობენ სიდონიდან გერასამდე, ანუ სამხრეთ სირიიდან სამხეთ პალესტინამდე გადაჭიმულ ტერიტორიაზე.

ასურულ ბაბილონურ წყაროებში „ხათის“ უძველესი მოხსენიება განეკუთვნება სამსუდითანას მეფობის ხანას, როცა ხეთებმაბაბილონს ილაშქრეს და ბოლო მოუდეს ბაბილონის I დინასტიას.

ძვ. წ. I ათასწლეულის დროინდელი ასურული და ურარტული წყაროები ჩრდ. სირიისა და მცირე აზიის აღ. ნაწილს „ხათეს ქვეყანას“ უწოდებდნენ.

სწორედ ეს გარემოება აისახა „ძველ აღთქმაში“, რომლის მიხედვით „ძენი ქატისნი“ ჩრდ. სირიის მცხოვრები გამოდიან.

„დაბადებაში“ (15,18) მოთხოვბილია დმერთსა და აბრაამს შორის დადებული პირობის შესახებ, რომლის ძალითაც: „მას დღესა შინა აღუთქვა უფალმან აღთქუმავ მეტ ველმან: „თესლსა შენსა მივსცნე ქვეყანა ეს ემდინარითგან ეგვიპტისად, ვიდრე მდინარედმდე დიდად ევფრატად. კინეველნი და კენეზელნი და კედმაზელნი და ქეტელნი და ფერეზელნი...“

ამგვარად დმერთის პირობის თანახმად აბრაამის შთამომავლობის ე.ი. ებრაელების ხელში უნდა გადავიდეს ქანაანური ტომებით და მათ შორის დსახლებული ტერიტორია ნილოსიდან ევფრატამდე, ე.ი. სირია-პალესტინა შუამდინარეთამდე. ადრე განხილული ცნობის მსგავსად ეს მითითებაც არ გვაძლევს საშუალებას კონკრეტულად განვსაზღვროთ ხეთების ადგილმდებარეობა სირია-პალესტინაში.

„დაბადებაში“ ხეთები კიდევ სამ ადგილას არიან მოხსენიებულნი. I ცნობა ეხება აბრაამის დაკრძალვას (25,9), მეორე გვამცნობს იაკობის ანდერძის (49,29), ხოლო მესამე მოგვითხობს იაკობის დაკრძალვის შესახებ (50,13).

“გამოსვლათა წიგნში“ ხეთები 6 ადგილას არიან მოხსენიებულნი. ექვსივე ცნობა ჩვენთვის საინტერესო პრობლემას ეხება.

„ძველი აღთქმის“ პირველი 2 წიგნისგან განსხვავებით, დანარჩენი 3 წიგნი მწირ ცნობებს გვაწვდის ხეთების ოაობაზე.

...და კიდევ ერთი ცნობა, რომელიც ხეთების ადგილმდებარეობაზე მიგვითითებს. ცნობა, რომელშიც ჩამოთვლილია ისო ნავეს („ძველი აღთქმის“ VI წიგნი) მიერ იორდანის დასავლეთ მხარეს დაპყრობილ სამეფოთა სახელები. (თ. 12,7-8): „და ესე მეფენი ამორეველნი, რომელნი მოისრნა ისო და ძეთა ისრაელისათა წიაღ იორდანესა და ზღუასა თანა ბალგადს, ველსა ზედა ლიბანისასა ვიდრე მთადმდე ალეგისად აღმავალთასა სეირად და მისცა იგი ისო ნათესავთა ისრაელისათა სამკვიდრებელად ნაწილად მათა“.

ამრიგად, ეს მითითება ხეთების სამკვდრო ადგილად პალესტინის ჩრდ. ნაწილს ასახელებს.

სხვა ქანაანუირ ტომებთან ერთად ხეთები ცხოვრობდნენ პალესტინის ისეთ ქალაქებში, როგორიცაა იერუსალიმი, სოდომი სამარია, რაზეც მოწმობს იეზეკიელის წიგნში დაცული 2 ცნობა: აღნიშნულ ქალაქებში, დასახლებულმა ებრაელებმა დაივიწყეს ის ადათ-წესები, რომლის მიხედვითაც ეკრძალებოდათ უცხო ტომებთან ქორწინება. ამას კი შედეგად ის მოჰ-

ყვა, რომ ხალხი გადაგვარდა და გამოიწვია წინასწარმეტყველ იქთევიელის მიერ იერუსალიმის მცხოვრებთა დაწყევლა: „ძირი შენი და შობა შენი ქუეყანისაგან ქანაანისა. მამა შენი ამორეველი და დედა შენი ქეტტელა“ (თ. 16,3).

ამრიგად, ხეთები მოსახლეობდნენ ზემოაღნიშნულ ქალაქებში, ხშირად ქორწინდებოდნენ ებრაელებზე, რისთვისაც ამ უკანასკნელთ დმერთი რისხვა დაატყდათ თავს.

„ძველ აღთქმაში“ მრავლად მოიპოვება ცნობები ხეთებიოს ეთნიკური ვინაობის შესახებ. „დაბადება“ (თ 10,15) მოგვითხრობს: „ესე შობანი ძეთა ნოესთან: სემ, ქამ და იაფეტ. და იყვნეს მათდა ძენი შემდგომად წყლით რღუნისა... ხოლო ქანან შვა სიდონ პირმშოდ და ქეტელი და იობოსლელი და ამორეველი და გერგესეველი... შემდგომად განეთესნეს ტომნი ქანაანელთანი“. ამ

ცნობის მიხედვით, ხეთების წინაპარი ქეტელი, ნოეს შვილიშვილის-ქანაანის ძეა, ხოლო მისი მმები ქანაანური-სემიტური ტომრბის მამამთავრები.

ამგვარად, თუ ზემოხსენებულ მითითება სვერწმუნებით, მაშინ ხეთები ქანაანურ-სემიტურ წარმომავლობის ეთნიკურ ჯგუფად უნდა მივიჩნიოთ, აქედან გამომდინარე ბიბლია ხეთებს სემიტებად თვლის. მიუხედავად იმისა, რომ ებრაელები წარმომავლობით იმავე ქანაანურ-სემიტურ ჯგუფს მიეკუთვნებიან, როგორც

ზემოთ ჩამოთვლილი ტომები. „ძველი ადთქმა“ მათ აშკარად აპირისპიურებს ერთმანეთთან. ხეთების ეთნიკური დაპირისპირება სემიტ-ებრაელებთან აშკარად ვლინდება „მეფეთა III წგნში“ (11,3): „და მეფე სოლომონ იყო დედათმოყუარე და მოიყვანნა ცოლნი უცხოთესლთაგან მრავალნი და ასული იგი ფარაოსი და მოაველთა და ამონიოტელთა და იდუმელთა და ასურასტანი და ქატელთა და ამორეველთა“.

აქედან გამომდინარე ბიბლიური ტრადიცია ხეთებს მიაკუთვნებს ქანაანურ-სემიტურ წარმომავლობის ტომებს, თუმცა აშკარად მიჯნავს სემიტ-ებრაელებისაგან.

ხეთების ეთნიკური ვინაობის გარკვევისთვის აუცილებელია შევისწავლოთ თუ რას ნიშნავს საკუთრივ ტერმინი “ჰატტი” და ძველ ადთქმაში მოხსენიებული ხეთური საკუთარი სახელები.

ისტორიულად დადასტურებული, რომ ტერმინი “ჰატტი”-ს ქვეშ მოიაზრებოდა ხათის ქვეყანა, ქალაქი ხათუსა და ამ ქალაქის უძველესი მოსახლეობა „ხათები“ ან კიდევ „პროტოხეთები“. ტერმინი “ჰატტი” აღნიშნავდა იმ სამეფოს, რომლის დედაქალაქიც იყო “ჰატტუტას” ანუ „ხეთების სამეფო“.

ასურული, ელამური, გვიანბაბილონური და ურარტული წყაროები ამავე ტერმინის ქვეშ გულის-

ხმობენ ხეთების იმპერიის ყოფილი ტერიტორიის მოსახლეობას (მცირე აზია, სირია-პალესტინა).

პირველად „ხეთური“ საქუთარი სახელები გვხვდება „დაბადების“ 23-ე თავში, სადაც ლაპარაკია აბრაამის მეუღლის სარას დასაფლავების შესახებ.

არაბულად „აბუ“ ნიშნავს მამას, ხოლო „მელიქი“ მეფეს. აშკარაა, რომეს სახელიც სემიტური წარმომავლობისაა. სახელი „ურია“ ასევე სემიტურია და ითრაგმნება, როგორც „ნათელი ღვთისა“.

ყოველივე ეს სულაც არ გულისხმობს იმას, რომ ამ სახელის მატარებელი ხალხი აუცილებლად სემიტები უნდა ყოფილიყვნენ. სავარაუდოა ისიც, რომ ტერმინში „ხეთი“ „ძველი აღთქმა“ მიიჩნევს არა რომელიმე განსაზღვრულ ხალხს, არამედ არასემიტური ზედაფენის წარმომადგენლებს.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, § 5 – ხეთების ძველი სამეფო, გვ. 218-223, ობ. 1988წ;
2. ერეპლე ასტახიშვილი – ხეთები ბიბლიაში, ობ. 2005წ;
3. ერეპლე ასტახიშვილი – ხეთების ადგილმდებარეობა ბიბლიის მიხედვით, ობ. 2005წ;

4. ერებლე ასტახიშვილი – ხეთების ეთნოგრაფიი ვინაობა, ობ. 2005წ;
5. ბიბლია, ძველი აღთქმა.

**David Rekvava**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Faculty of Humanities, Direction Turkish  
Language and Literature.Third year

**The question of the localization an the etnic personality of Hittes by  
the Bible  
S u m m a r y**

In the work I discussed the living site of the “hitites” tribe. There is discussed historical events and notifications of the first millenium B. C. as well.

I have also directed my attention to the “hitites” ethical personality and to the origin of the word “hatti”.

არჩილ ხაჩიძე  
თბილისის სასულიერო აკადემია,  
დვოისმეტყველების ფაკულტეტი  
III კურსი

**საეკლესიო შემოსავლების განკარგვის და  
პლირიკონსტა შენახვის საკითხები  
ჩრდ. აფრიკის ეკლესიაში**

სხვადასხვა ადგილობრივ ეკლესიებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი და გამორჩეული ჩრდილოეთ აფრიკის ეკლესია იყო. ამ ეკლესიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა კანონშემოქმედებით პროცესს და საეკლესიო ცხოვრების პრაქტიკული მხარის ასეთი სახით ფიქსაციას. ამაზე ამ ეკლესიაში გამართული მრავალი საეკლესიო კრებაც მეტყველებს, რომლებზე განხილულთა შორის უმნიშვნელოვანეს საკითხთაგანი შემოსავლების განკარგვა იყო. მსგავსად ყველა სხვა ეკლესიისა, აფრიკის ეკლესიაშიც სამღვდელოებისათვის, როგორც საეროთაგან განხვავებული კლასის ადამიანებზე, რომლებიც დმრთისმსახურებას აღასრულებდნენ, შემოწირულობით არსებობა იყო დადგენილი. ნეტარი ავგუსტინე სამღვდელოების ასეთ რჩენას მაცხოვრისა და მისი მოწაფეების მაგალითთან აკავშირებს. აფრიკელი სამღვდელოების რჩენის პირველ წყაროს მორწმუნეთა ნებაყოფლობითი შე-

მოწირულობა წარმოადგენდა. მეტად სარწმუნოა, რომ II და III საუკუნეებში სასულიერო წოდების შენახვისათვის როგორც იუდევლებიდან ისე წარმართებიდან ახალმოქცეულთაგან მეტად უხვი შემოწირულობები შედიოდა ეკლესიაში. ეს შესაწირავები უპირატესად ფულის სახის იყო, რისთვისაც უპე ტერტულიანეს დროს ეკლესიებში არსებობდა განსაკუთრებული ჭურჭელი, რომელშიც ყოველთვიური ნებაყოფლობითი შესაწირავი იკრიბებოდა. ფულადი შესაწირავების გარდა წირავდნენ ხილს და მიწის ნაყოფს, ღვინოს, რძეს და პურს, რომლებიც როგორც წესი კვირა დღეს მიჰქონდათ ხოლმე ეკლესიაში. კართაგენის მესამე საეკლესიო კრებაშ დაადგინა, რომ ტრაპეზისათვის ღვინო და პური შეეწირათ. კართაგენის IV კრების დადგენილებები გვაძლევს საფუძველს ვიგარაუდოთ, რომ არსებობდა ორი სახის შესაწირავი, ერთი ტრაპეზისათვის, საკურთხევლისათვის, ხოლო მეორე – ეკლესის სალაროსათვის. საკურთხეველს ღვინის და პურის გარდა არაფერს სწირავდნენ. გამონაკლისს წარმოადგენდა რძე და თაფლი, რომელსაც ეკლესია ლოცვით აკურთხებდა, მათ იყენებდნენ კათაკმეველთა ნათლობისას, რომლებსაც სთავაზობდნენ შეესვათ რძე და თაფლი, როგორც ქრისტიანთა უცოდველობის ნიშანი და აგრეთვე სიმბოლო ნათლობის გზით აღთქმულ მიწაზე დამკვიდრებისა, სადაც მოედინება რძე და თაფლი, ანუ

ქრისტეს ეკლესიაში. ნებარი ავგუსტინე ასევე ახსენებს კერძო საცავებს – სალაროებს, სადაც ინახავდნენ სელს, სელის შესამოსელს და სხვ. იყო თუ არა აფრიკის ეკლესიაში მეათედის წესი გავრცელებული პირველი სამი საუკუნის განმავლობაში, დაზუსტებით თქმა არ შეგვიძლია, ამ საკითხს გარკვევით პირველი ავგუსტინე ახება. როგორც ჩანს, აფრიკის ეკლესიაში გარდა მუდმივი შემოსავლისა, რასაც მეათედი და შესაწირავები წარმოადგენდა, არსებობდა გადასახადი მღვდელმოქმედებისათვისაც, ასეთი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ნებარი ავგუსტინეს წუხილი და ჩივილი იმასთან დაკავშირებით, რომ ბევრი ასრულებს მღვდელმოქმედებას და ქადაგებს არა იმდენად თავისი ვალდებულების განცდით და თავად ამ მოქმედებების მნიშვნელობის შეგნებით, რამდენადაც ამაში გარკვეული გადასახადის აღების სურვილით. გარდა ყოველთვიური და ყოველდღიური ნებაყოფლობითი შესაწირავისა სამღვდელოებისათვის, განსაკუთრებულ შემთხვევებში ხდებოდა ხოლმე მორწმუნეთაგან ექსტრაორდინალური შესაკრებელის მოკრებაც. ასეთ შესაკრებელს ახსენებს კვიპრიანეც, რომელმაც, როცა შეიტყო ნუმიდიელი ქრისტიანების ბარბაროსების მიერ დატყვევების ამბავი, მათ გამოსასყიდად ამგვარი ხერხით 1 000 000 სესტერცია შეაგროვა. ხანდახან იყო ხოლმე შემთხვევითი შემოწირულობებიც ხელისუფლების მხრიდან. მა-

გალითად უნდა აღვნიშნოთ კონსტანტინე დიდის შეწირულობა აფრიკალი სამდვდელოებისათვის. ასეთი შემთხვევითი შემოსავალების გარდა სამდვდელოება მუდმივ შემოსავალს იღებდა მისთვის შეწირული მიწებიდან, აგარაკებიდან, სავარგულებიდან, სახლებიდან და იმ ყველაფრიდან, რასაც უძრავი ქონება ქვია. ჩრდილოეთ აფრიკის სამდვდელოების სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ასეთი სახის შემოწირულობებს ისინი მხოლოდ მაშინ იღებდნენ, როცა იგი ნებაყოფლობით იყო გაცემული და არანაირ წყენას არ გააჩენდა შემწირველის ნათესავებში. თავად ავგუსტინეც, რომელიც ხშირად კიცხავდა მავანთ, რომ მათ მეტად მცირედით გაამდირეს ეკლესია, აცხადებდა, რომ მან, ვისაც სურს საკუთარ ძეს დააკლოს მემკვიდრეობა და ეკლესია ჩანაცვლოს მას (როგორც მემკვიდრე), ჯობია სხვა ვინმე მოძებნოს, ვინც ასეთ მემკვიდრეობას მიიღებს, ოდონდ არა ავგუსტინე; იგი ურთავდა კიდეც, რომ: „ღმერთმა ქნას, რომ ვერავინ ვერ ნახოს“. ამიტომ, როცა ერთმა პიპონიელმა წარჩინებულმა თავისთვის მხოლოდ მცირე შემოსავალი დაიტოვა და თითქმის მთელი ქონება ეკლესიას გადასცა, შემდეგ კი ინანა საქციელი, უკან გამოითხოვა ნაჩუქრობის ფურცელი და მის ნაცვლად გარკვეული თანხა გააგზავნა, ავგუსტინემ მას ერთიც დაუბრუნა და მეორეც, და დაუმატა, რომ ეკლესია მიიღებს მხოლოდ ნებაყოფლობით შემო-

წირულობას და არასოდეს იძულებითს. სასულიერო წოდების შენახვის საუკეთესო საშუალებად აგგუსტინეს არ მიაჩნდა მიწები, უძრავი ქონება და ა.შ. არამედ ამტკიცებდა, რომ ურჩევნია იცხოვროს მრევლის შემოწირულობით, ვიდრე მართოს საეკლესიო ქონება და მზადაა გასცეს კიდეც იგი, თუკი ეკლესის მსახურები ძველი აღთქმის ღვთისმსახურთა მსგავსად იცხოვრებდნენ და მათივე მსგავსად ტრაპეზიდანვე გამოიკვებებოდნენ. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ეკლესია არ მიიჩნევდა არცერთ შემოწირულობას მხოლოდ თავის საკუთრებად, არამედ მის დიდ ნაწილს იყენებდა ქვრივების, ობლების, დარიბების, პატიმრების და სხვების შესანახად და გამოსაკვებად. ეკლესის ამ მსახურებისათვის ავგუსტინე არავითარ საზღვარს არ ცნობდა და სასწრაფოდ ცდილობდა მათ დაკმაყოფილებას, რადგან შესაწირის მესაპუთრეებად მიაჩნდა არა მხოლოდ კლირიკოსები, არამედ დარიბები და გაჭირვებულები.

საეკლესიო ქონების მთავარი განმკარგველი ეპისკოპოსი იყო, რაც კვიპრიანეს არაერთი წერილითაც დასტურდება. მაგალითად ერთგან ის ამბობს, რომ ორ აღმსარებელს – ცელერინეს და ავრელიუსს, რომლებიც წიგნისმკითხველებად დანიშნა, პრესვიტერის წილი მიეღოთ. სხვაგან ის ამბობს, რომ დევნულებაში მყოფ პრესვიტერებსა და დიაკნებს შეუნარჩუნდეთ თა-

ვისი წილი საეკლესიო შემოსავლებიდან. იგი ასევე სჯის ზოგიერთ ურჩ და გამოუსწორებელ კლირიკოსს ერთოვიანი ანაზღაურების დაკავებით. შეუძლებელია არ ვთქვათ, რომ ეპისკოპოსი არ იყო უკონტროლო ბატონი და განმკარგველი და არ შეეძლო ამ ქონების თავის ნებაზე ხარჯვა, არამედ უნდა გაფრთხილებოდა მას და შეენახა დარიბები. საერთოდ კი აფრიკის ეპლესიაში სასულიერო პირები საეკლესიო ქონების განკარგვის მოვალეობას ერთ-ერთ ყველაზე მძიმე და თავისთვის უსიამოვნო საქმედ თვლიდნენ, რადგან იგი წყვეტდა მათი ძირითადი მოვალეობის აღსრულებას. იმისათვის, რომ ეპისკოპოსისათვის საეკლესიო ქონების განკარგვის მძიმე საქმე შეემსუბუქებინათ, ამ ეპლესიის კრებებზე დადგინდა, რომ მის დამხმარედ არქიპეპიტერი და არქიდიაკონი გამორჩეულიყვნენ, რომლებიც დარიბებზე და ობლებზე იზრუნებდნენ. ამავე კრებამ განსაზღვრა, რომ მათ, ვინც ქრისტეს-თვის ეწამა, დიაკვნებისაგან მიეღოთ თავისი არსებობისათვის საჭირო სახსარი. ჩანს რომ საეკლესიო ქონების განმკარგველი გარკვეული ორგანო აფრიკის ეპლესიაში ნამდვილად არსებობდა. ზოგიერთ აფრიკულ ეპლესიაში საგარაუდოა ეკონომოსის სპეციალური თანამდებობის არსებობაც. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ ნეტარმა აგაუსტინემ სიკვდილის წინ მთელი თავისი ქინება ერთ პრესვიტერს გადასცა, რომელსაც მის სი-

ცოცხლეშივე ებარა საეკლესიო სახლი, ევალებოდა შემოსავლებზე ზრუნვა და მათ შემოდინება-გადინებაზე ანგარიშის ჩაბარება.

ერთ-ერთი ყველაზე ბუნდოვანი საკითხია, თუ როგორ იყოფოდა საეკლესიო შემოსავლები კლირიკოსებს შორის. აგვისტინესაგან ვიგებთ, რომ შემოსავლების გაყოფისას განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდა ეპისკოპოსი, თუმცა ისიც აუცილებლად ჯდებოდა სამართლიანობისა და კაცომოყვარეობის ჩარჩოებში. ცოტა მეტს ვიგებთ კვიპრიანესაგან. ის გვამცნობს, რომ თავის კართაგენელ კლირიკოსებს თვეში ერთხელ უნაწილებდა შემოსავალს, მღვდლებს კი ორჯერ უფრო მეტს აძლევდა ვიდრე სხვებს, პავლე მოციქულის სიტყვების თანახმად: „რომელი კეთილად ძლიდიან ხუცესნი, რის ნაწილისა პატივისა დირს იყვნედ, უფროდს ხოლო, რომელი შურებიან სიტყვითა და მოძლურებითა“ (1 ტიმ. 5. 17). სხვათა შორის დიდი წილი და თვით პრესვიტერების ოდენიც კი შეეძლოთ მიეღოთ დაბალ კლირიკოსებს, თუ ისინი განსაკუთრებულ გულმოდგინებას გამოიჩენდნენ, ან თავდადებით დაამოწმებდნენ ქრისტეს სარწმუნოებას. საფიქრებელია, რომ ყოველთვიურად იყოფოდა მხოლოდ ფული, სხვაგვარი შესაწირავები კი ყოველდღიურად, უკიდურეს შემთხვევაში კი ყოველკვირეულად ნაწილდებოდა. მაგ. პური და დვინო. თუმცა კი ყველანაირი შესაწირავიდან

გარევეული წილი გაჭირვებულებისათვის იყო განკუთ-  
ვნილი და ამაში ეკლესიის გულმოწყალებას არ შეიძ-  
ლებოდა საზღვრები პქონოდა, კართაგენის IV კრებამ  
დაადგინა, რომ ეკლესიაში მომსახურე დარიბებს, მო-  
ხუცებს და ყველა უძლურ ადამიანს მეტი მისცემოდა,  
ვიდრე ახალგაზრდასა და ჯანმრთელს. თუ ეკლესიის  
შემოსავალი ვერ აკმაყოფილებდა კლირიკოსთა შენახ-  
ვის მოთხოვნებს, ეპისკოპოსს ნება ეძლეოდა გაეყიდა  
ეკლესიის ქონება მათი ცხოვრებისეული მოთხოვნების  
დასაკმაყოფილებლად. მაგრამ რათა ამ უფლებით რო-  
მელიმე ეპისკოპოსს ბოროტად არ ესარგებლა, კანონე-  
ბით განსაზღვრული იყო, რომ ეკლესიის ქონების გა-  
ყიდვამდე იგი ჯერ საკუთარ სამდვდელოებას დაკით-  
ხოდა, შემდეგ მხარის პრიმასს და სხვა მეზობელ  
ეპისკოპოსებს, იმის დასადგენად, მართლა საჭიროა  
თუ არა ისეთი უკიდურესი ზომებისათვის მიმართვა,  
როგორიცაა ეკლესიის ქონების გაყიდვა.

ჩრდილოეთ აფრიკის ეკლესიაში არა მარტო ნება-  
დართული, არამედ რეკომენდირებულიც კი იყო, რომ  
კლირიკოსები დამატებითი ხელობით დაკავებულიყვნენ.  
სავარაუდოა, რომ ეს წესი მხოლოდ დაბალ კლირიკო-  
სებზე ვრცელდებოდა, რომლებსაც ნაკლები ვალდებუ-  
ლება პქონდათ ეკლესიის წინაშე და ამასთან ხშირად  
საკმაოდ დიდი ოჯახის რჩენაც უწევდათ, რასაც საეპ-  
ლესიო შემოსავალი და წილი ვერ ეყოფოდა. ნეტარი

ავგუსტინე არამარტო ემხრობოდა, არამედ მოითხოვდა კიდევ როგორც სამდგდელოებისაგან, ისე მონაზვნებისაგან რამე ხელობით დაკავებას. თვითონ კი წუხდა, რომ ქრისტიანთა შორის დავების მუდმივი მომრიგებლობის გამო ვერ ახერხებდა თვითონაც დაკავებულიყო რამე საქმით. იგივეს ემხრობოდა რუსპიის ეპისკოპოსი ფულგანციუსი და მონაზვნებს მონასტრებთან ბადების გაშენებას ავალებდა, რითაც არა მარტო თითონ იქმაყოფილებდნენ საჭიროებებს, არამედ ეხმარებოდნენ სხვებსაც.

თუმცა სამდგდელოებას ნება პქონდა დართული დაკავებულიყო ხელსაქმით და სხვადასხვა სასარგებლო ხელობით, მეორეს მხრივ მას ეკრძალებოდა იმგვარი საქმიანობა, რასაც შეეძლო ჩრდილი მიეკუნებინა ან ჟევი გაეჩინა მისი ავტორიტეტის მიმართ. ქრისტეს მღვდლისათვის შეუფერებლად იყო მიჩნეული და უპაშ კვიპრიანეს დროს ეკრძალებოდა სამდგდელოებას რაიმე სახის საერო ვალდებულებების, მაგალითად მეურვეობის ან თავდებობის კისრება, რადგან, ვინც ერთხელ თავი შესწირა ტრაპეზეს, შემდეგში ლოცვითა და კურთხევით უნდა ეცხოვრა. სხვა მრავალ მოთხოვნებს შორის უნდა გამოვყოთ, რომ განსაკუთრებით იკრძალებოდა მევახშეობა. სამდგდელო წოდების წარმომადგენელს ასევე ეკრძალებოდა ვაჭრობა, რადგან ამას შეეძლო იგი სიხარბისაკენ მიედრიკა, რასაც თან სიც-

რუე და ტყეული სდევდა. ასევე ეპრძალებოდათ სარჩხოს შოგნა თეატრალურ წარმოდგენებში მონაწილეობით. იმისათვის, რომ სასულიერო წოდების გამორჩენისაკენ სწრაფვა შეეზღუდათ, კართაგენის ადგილობრივი კრების 41-ე კანონით დადგინდა, რომ ის კლირიკოსები, რომლებსაც არანაირი ქონება არ გააჩნდათ თავის სახელზე ხარისხში აყვანამდე და შემდეგში გახდნენ მიწების და სხვა სახის ქონების მფლობელები, უფლის სალაროს მმარცველებად იქნებოდნენ გამოცხადებულნი თუ ამ ყველაფერს ეკლესიას არ გადასცემდნენ. თავის ნებაზე კლირიკოსებს შეეძლოთ გამოყენებინათ ის, რაც მემკვიდრეობით, ან ვინმესაგან საჩუქრად ჰქონდათ მიღებული. ასევე ეპისკოპოსებს ეპრძალებოდათ მემკვიდრედ წარმართის გამოცხადება და ვალდებულნი იყვნენ დაუტოვათ ანდერძი, რათა ტიტულის შესაფერისი ქონება სწორად მიემართათ. მაგალითად, რუსპიის კაისკოპოსმა ფულგენციუსმა თავისი ეკლესიის ეკონომოსს სიკვდილის წინ დაუტოვა ზუსტად გაწერილი ანდერძი, სადაც მითითებული იყო რამდენ თანხას ტოვებდა და რადგან ქონებას დარიბეზე ანაწილებდა, სახელებით ჩამოთვლიდა თითოეულ მათგანს და იმას, თუ ვის რამდენი რჩებოდა. ნეტარმა ავგუსტინემ ნათესავებს არაფერი დაუტოვა, რადგან მხოლოდ ბიბლიოთეკა გაჩნდა და ისიც ჰიპონის ეკლესიას უანდერძა. იგი ფულს ნათესავებს სიცოცხლეშიც

მხოლოდ მაშინ და იმდენს აძლევდა, რამდენსაც პიპონის ეკლესიის სხვა გაჭირვებულს მისცემდა.

ზოგადად ჩრდ. აფრიკის ეკლესიის კლირიკოსებს თავისი ნება-სურვილით მხოლოდ იმ ქონების განკარგვა შეეძლოთ, რომელიც სასულიერო წოდებაში შესვლამდე ჰქონდათ შეძენილი, ან ამის შემდეგ, მხოლოდ მემკვიდრეობის ან საჩუქრის სახით მიღებული, სხვა შემთხვევაში, ანუ, როცა ქონება სასულიერო წოდებაში ყოფნისას იყო შეძენილი, ის ეკლესიას უნდა დარჩენოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლებოდა სასულიერო პირი განკვეთილიყო კიდევ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Извеков Николай, Иерархия Северо-Африканской церкви. Вильна. 1884.

Archil Khachidze  
Tbilisi Theological Academy  
Faculty of Theology  
Third year

**To manage church income and klerguman keeping questions  
in the church of north Africa  
Summary**

The subject is about the one of the oldest church of north Africa and the practice of Carthage church to distribute incomes and about the feeding of members of the church. in the subject is shortly retell about bishops and the meaning of clergymans and the place according this.

**თამარ ადამია**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუბლიცისტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
I კურსი

## **“ომინდა ნინოს ცხოვრების” პარადიგმატული სახისმეტყველება. ხის სიმბოლიკა**

მე-4 საუკუნე ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდია საქართველოს ისტორიაში .ამ ეპოქას უკავშირდება მოვლენა, რომელმაც, შეიძლება ითქვას, განსაზღვრა ერის შემდგომი ბედი, განვითარების გზა და ერთგვარი გადატრიალება მოახდინა ადამიანთა ცნობიერებაში. ეს საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება იყო.

უდავოა, რომ წარმარტობიდან ქრისტიანობაზე გადასვლა არ არის იოლი, იგი უმტკივნეულეს ძვრებს უკავშირდება. ამასთანავე, ბალიან საინტერესოა კულტურათა ცნობიერებების შერწყმის, გარდასახვა-გადამუშავების პროცესი, რაც ცხადად თუ დაფარულადაა გამოვლენილი უნიკალურ ქართულ აგიოგრაფიულ ნაწარმოებში— ”წმ. ნინოს ცხოვრება”.

მართალია, ძეგლი მე-9 საუკუნით თარიღდება მაგრამ მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ “ნინოს ცხოვრების” ტექსტი სხვადასხვა დროსაა შესრულებული და მასში უძველესი პასაჟების გამოვლენაა შესაძლებე-

ლი.რ.სირაძემ “ნინოს ცხოვრების” მხატვრულ სახეობა სისტემას მნიშვნელოვანი გამოკვლევა უძღვნა, რომელშიც გამოკვეთილია თხზულების არაერთი სახე-სიმბოლო. ამ მრავალსახეობიდან ჩვენ ვარჩევთ ხის სიმბოლიკას ჩვენი თემის მიზანია, გამოვკვეთოთ “ნინოს ცხოვრების” რედაქციათა მიხედვით ხეთა სიმბოლური დატვირთვა. შევისაწავლოთ, თუ რამდენად მიჰყვება იგი მითოსს და როგორ ხდება მისი “მოქცევა”; ბიბლიური წიგნების, საღვთისმეტყველო ლიტერატურის მოშგელიებით დავძებნოთ მისი წინამდღვრები და ვაჩვენოთ მისი პარადიგმული შინაარსი.

სხვადასხვა ტრადიციაში ბევრი ხე ითვლებოდა წმინდად ან მაგიურად. ასეთი დამოკიდებულება ხეების ჯადოსნური ძალისადმი წარმომდგარია პრიმიტიული რწმენისაგან, რომ ხეში ცხოვრობენ დვთაებები ან სულები. გასულიერებული ხეების სიმბოლიკა შემონახულია უკროპულ ფოლკლორში ადამიანი-ხის და მწვანე ადამიანის სახით. ხის ჯადოსნური ძალა არაერთხელ ვლინდება ზღაპრებში.

თანდათანობით ძლევამოსილი ხის იდეა, როგორც დვთაებრივი ძალის გამოვლინება და შემაერთებელი ცისა და მიწისა გადაიქცა სიმბოლურ გამოხატულებად სიცოცხლისა და კოსმოგონიური ხისა. მისი ფესვები არის ქვესკნელში, დერო ამოდის სკნელში, ხოლო მისი წვერო ზეცას სწვდება. ეს სიმბოლო თითქმის ყველა

ხალხის მითოლოგიაშია.ეს ხე,სხვადასხვა ტრადიციაში იზრდება წმინდა მთაზე ან სამოთხეში და მისი ფესვებიდან მოედინება ღვთაებრივი წყარო(2,82).ადამინი ოდიოგანვე ეთაყვანებოდა ამ საოცარ ქმნილებას.

ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში დაცული საკმარის კრცელი მასალა კი მიუთითებს,რომ არანაკლებ პოპულარული უნდა ყოფილიყო ხის კულტი ჩვენშიც.

ალ.ოჩიაურის ხევსურულ მასალებში დაცულია გადმოცემა შუბნურის ხატის დაარსების თაობაზე.ერთ-ერთი ოჯახის კერაში ამოსულა იფნის ხე,რაც იმის ნიშანი იყო,რომ ამ ადგილს ღვთაება დაეპატრონა.მართლაც,მოსახლეობას მიუტოვებია იგი და აქ შუბნურის ხატი დამკვიდრებულა.საინტერესო წარმოდგენები უკავშირდება ხევსურთა სახლის თავხეს,რომელსაც კეზი ეწოდება.კეზი ძალიან მსხვილი ხეა და ძირს ბოძები უდგას.იგი მთელ სახლს ამაგრებს,რის გამოც სახლში მთავარ საყრდენად თვლიან.ამბობენ,რომ ყველა სახლს ყავს “შეკეზისწვრე ანგელოზი”,რომელსაც ოჯახის მფარველობას შესთხოვენ.

ამ ორი შემთხვევიდან – ერთგან კერაში ამოსული ხე ღვთაების გამოვლინებას წარმოადგენს,ხოლო მეორეგან სახლის საყრდენში დამკვიდრებულია ოჯახის მფარველი სული.

ორივე მაგალითი ცხადჰყოფს,რომ სახლის არქიტექტურაში შესული ხის საკრალური ხასითი უკავშირ-

დება ბუნებაში არსებული,გადმერთებული ხეების  
რწმენას.ხის კულტის ფართოდ გავრცაელებას საქარ-  
თველოში მიუთითებენ ივჯავახიშვილი,ნ.მარი და  
ვ.ბარდაველიძე.მათ ხის კულტის გადმონაშთები დაა-  
დასტურეს ორგორც ყოფაში,ისე წერილობით წყაროებ-  
ში კულტმსახურებაში,ენობრივ მონაცემებსა და ტოპო-  
ნიმიკაში აღსანიშნავია,რომ საქართველოს მთიელთა  
შორის ხის დარგვა სალოცავში ბევრად უფრო მნიშ-  
ვნელოვან სამსახურად ითვლებოდა,ვიდრე ცხოველის  
შეწირვა(3,98)

ხის კულტთან დაკავშირებული ლეგენდები გვიჩ-  
ვენებს,რომ ჩვენი წინაპრების კოსმოგონიურ შესედუ-  
ლებებში ხეს გარდამავალი რგოლის ფუნქციაც ეკის-  
რებოდა.მისი ან ხიდან ცაში ასული შიბის საშუალე-  
ბით დვთაებები,რომლებიც ხშირად ასტრალურ სხეუ-  
ლებს განასახიერებდნენ,ციდან ეშვებოდნენ და ხეზე  
დაივანებდნენ(4,187).ხე მოიაზრებოდა ორგორც კავშირი  
ცასა და მიწას შორის,როგორც დედაბოძი,რომელიც  
სამყაროს ცენტრში იყო აღმართული და ბიბლიური  
იაკობის კიბის დატვირთვას იმეორებდა.ხე იყო ნაყოფი-  
ერებისა და სიცოცხლის ძალთა გამგებელი,სამყაროსა  
და,შესაბამისად,კულტურის ცენტრი.

“წმინდა ნინოს ცხოვრების” უძველეს,შატბერ-  
დულ-ჭელიშურ რედაქციაში გვხვდება ხის კულტთან  
დაკავშირებული არაერთი ეპიზოდი,რომელთა შესწავ-

ლითა და ამავე ნაწარმოების სხვადასხვა რედაქციებთან შედარებით არაერთი საინტერესო შეხედულება და ვარაუდი წარმოიშვა.

წმ.ნინოს მიერ ბრინჯის ხისთვის თავის შეფარება და მასზე ჯვრის გამოსახვა დაგუკავშირეთ ქართულ-ხალხურ წარმოდგენებში შემონახულ ლეგენდას,რომლის თანახმადაც,მე-17 ს. ლანჩხუთში,ეკლესიის დანგრევის შემდეგ წმ.გიორგის ხატი დავანებულა იქვე მდგომი მუხის ხის ტოტებზე. ხატი იქიდან ახლადაშენებულ ეკლესიაში გადაუსვენებიათ,მაგრამ ის ისევ ხეზე დაბრუნებულა.ასე გრძელდებოდა მანამ,სანამ მუხის ადგილას ახალი ეკლესია არ ააგეს,სადაც ხატი საბოლოოდ დამკვიდრებულა(4.187).

როგორც ვხედავთ,დვთაების მიწიერი სადგომი არის საკულტო ხერომელიც თავისთავად პულტის ობიექტია ან საკულტო ნაგებობასთან დგას.”წმ.ნინოს ცხოვრებაში” ნახსენები ბრინჯის ხეც საკულტო ადგილას,არმაზის მთაზე იდგა.წმ.ნინო სწორედ ამ საკრალურ ადგილას მივიდა და ჯვრის გამოსახვით ერთგვარად ქრისტეს რწმენით დაბეჭდა,სული შთაბერა,ახალი შინაარსით დატვირთა ეს მითოლოგემა.ნაწარმოებში პირველად სწორედ ამ ეპიზოდშია წარმოდგენილი მოთოსური ხის ქრისტიანული ადაპტაცია.მხატვრული და სახისმეტყველებითი თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია წმ.ნინოს სიზმრის ეპიზოდი,სადაც საუბარია

სამეფო ბადზე,რომლის აღწერილობაც საცმაოდ დამა-  
ჯერებლად ჰგავს ბიბლიური სამოთხის ბაღს,და  
ფრინველებზე ,რომლებიც მდინარეში ჩადიან,”ბაბილო-  
სა მოისთულებდიან” და ამბობენ,რომ წმ.ნინოს გვუთ-  
ვნის სამოთხე.საყურადღებოა ის მომენტი,რომ სხვადას-  
ხვა რედაქციაში სხვადასხვა ხეზეა საუბარი და ზო-  
გან,მისი სახელი საერთოდ არ იხსენიება.ეს ფაქტი შე-  
იძლება სამეფო ბადის ბიბლიური სამოთხის ბადთან  
მსგავსების კიდევ ერთ მაგალითად მივიჩნიოთ,რადგან  
ზუსტად არ არის ცნობილი თუ რისი ხე იდგა სამოთ-  
ხეში.როგორც ბიბლიური,ისე ამ სიუკეტში ყურადღება  
გამახვილებულია არა ხეების სახეობაზე,არამედ მათ  
მნიშვნელობაზე,ასევე შესაძლებელია,ის მდინარე,რომე-  
ლიც სამეფო ბადში მოედინებოდა და რომელშიც ჩი-  
ტები ჩადიოდნენ,სამოთხის ბადის ოთხ მდინარეს დაუუ-  
კავშიროთ.ფრინველი სულიწმინდის სიმბოლოა,რომე-  
ლიც მდინარეში ჩადის,ანუ ერთგვარად სიმბოლურად  
მადლს გადასცემს,რომელიც შემდგომ მოედ ბადს მოე-  
ფინება.სამოთხის ოთხ მდინარესაც,რომლებიც სიცოც-  
ხლის ხესთან იდებდა სათავეს,სასიცოცხლო ენერგია  
გადაჰქონდა სამყაროს ოთხივე კუთხეში(8,73).თუ წინა  
ეპიზოდს ქართული ხალხური ლეგენდა დავუკავში-  
რეთ,როგორც კხედავთ,ამ შემთხვევაში უკვე ბიბლიურ  
წინამდღვრებთან გვაქვს საქმე .

ძალიან საინტერესოა სამეფო ბადში სპარსი ხურას განკურნების ეპიზოდი,რადგან აღნიშნულ მონაკვეთში კარგად ჩანს,თუ რაოდენ დიდი ძალის მატარებელია ოდესაც წარმართული ხის კულტი,როგორი სიწმინდითა და სასწაულებრივი ძალით გამოირჩევა.კურნება სწორედ ამ გამორჩეული ხეების სამყოფელში აღესრულება,რადგან ის ქრისტიანული მადლით აივსო,ძველს დაეფუძნა ახალი,ქრისტიანული ცნობიერება.

სახისმეტყველების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აბიათარ მღვდლის მონათხრობი მცხეთელი ურიგბის მიერ მის “ბაგინთან” მდგარი ხის მოჭრის შესახებ,რადგან ამ ეპიზოდში შეგვიძლია აღმოვაჩინოთ წარმართული რწმენის კვალი,რომლის მიხედვითაც ხის წაქცევა,მოჭრა ნიშნავდა ხის სულის მოკვლას,რწმენის შერყევას.შესაძლოა ამ აქტით მცხეთელი ურიები მღვდლისთვის სარწმუნოებრივი ზიანის მიყენებას აპირებდნენ.დ.ფრეზერი წიგნში “ზოლოტაია ვეტვი” აღნიშნავს,რომ ძველი სლავები მუხას ეთაყვანებოდნენ და როცა ქრისტიანებს ამ წმინდა ხეების მოჭრა დაუწყიათ,ხალხი ძალიან განიცდიდა,რადგან ეს მათი რწმენის მოსპობას ნიშნავდათ.

საყურადღებოა საჯვრე ხესთან დაკავშირებული ეპიზოდი,რომლის მოჭრის თარიღად მიჩნეულია 25 მარტი და ძალის საინტერესოა,რომ სწორედ ამ დგეს

ხდებოდა წარმართული კულტის მიხედვით საკულტო ხის მოჭრა.ეს ხე თაგისუფლად შეგვიძლია დავუპავშიროთ ბიბლიურ სიცოცხლის ხეს,რომლის შესახებ წარმოდგენები ფართოდ ჩანს გავრცელებული მთელ საქათველოში.გ.ბარდაველიძის მიხედვით,სიცოცხლის ხის ვარიანტებია ჩიჩილაკი,ასევე საქორწინო რიტუალებში გავრცელებული “მაშხალა” ან “ჩირადდანი”.როგორც ვხედავთ,ერთი და ოგივე მონაკვეთი ერთდროულად ბიბლიურ სიმბოლიკასაც ატარებს და ძველ ქართულ ხალხურ წარმოდგენებსაც ეხმაურება.ჩვენ შეგვიძლია დავიმოწმოთ რ.სირაძის მოსაზრება,რომ “წმ.ნინოს ცხოვრებაში “ უშუალო შეხვედრა გვაქვს მითოსური და შუასაუკუნეობრივი სახისმეტყველებისა.

ეოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ,რომ ხე უძველესი მითოლოგიური კულტმსახურების ობიექტია როგორც მსოფლიოში,ისე საქართველოში.სხვადასხვა ტრადიციაში ის იყო გააზრებული,როგორც სიცოცხლის,სიკვდილისა და განახლების,დინამიური ზრდის,ცისა დამ იწის კავშირის,ღვთაებათა სადგურის და თვითონ ღვთაების სიმბოლო.და ბოლოს,რაც ყველაზე მნიშვნელოვანია,ქრისტიანულმა სარწმუნოებამ ეს წარმართული სიმბოლო კი არ აქრძალა და უარყო – შეითვისა და ახლებურად გაიაზრა,ქრისტიანულ კანონიკას მოარგო.ამ ორი კულტურის შერწყმა-მორიგების მაგალითები კი თვალსაჩი-

ნოდაა წარმოდგენილი უნიკალურ ქართულ აგიოგრაფიულ ნაწარმოებში “წმინდა ნინოს ცხოვრება”.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

- 1.რევაზ სირაძე; “ქართული აგიოგრაფია”; ნაკადული თბილისი; 1987წ.
- 2.სიმბოლოთა ლექსიკონი; ჯეპ ტრესიდერი; მოსკოვი; 2001წ.
- 3.გ.ბარდაველიძე; ”უძველესი რელიგიური წარმოდგენები”; 1957წ.
- 4.ი.სურგულაძე;” ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა”; თბილისი; 1993წ.
- 5.ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები; ტ. 1; თბილისი; 1963წ.
- 6.”ცხოვრება წმინდა ნინოსი შედგენილი დიდის არსებიც ქართლისა კათალიკოზისა მიერ”; გამოცემა საეპლესიო მუზეუმისა; თბილისი; 1902წ.
- 7.”ცნობი ავტორის “ნინოს ცხოვრება”; ქართული პროზა; თბილისი; 1982წ.
- 8.სიმბოლოთა, ნიშანთა და ემბლემათა ენციკლოპედია; მოსკოვი; 2 000წ.
- 9.”მოქცევაი ქართლისაი”; ახლადაღმოჩენილი სინური რედაქციები ; თბილისი; 2007წ.

- 10.ა.შანიძე; ქართული ხალხური პოეზია;ხევსურული;თბილისი; 1931წ.

11. ძველი ქართული მწერლობის ძეგლები;შატბერდის კრებული; მეცნიერება;თბილისი;1979წ.

12.კ.კეკელიძე; ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან; თბილისი;1956წ.

Tamar Adamia  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Faculty of Humanities, First year

## Summary

It's a known fact, that in old times some people adored trees.  
The tree is one of the Symbols in christian religion too.

Imaging coposition is about threes heathenish and Christian symbolic which is shown in “Life of saint Nino”

გვანცა ბურდული  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
მაგისტრატურის I კურსი,  
სპეციალობა—საქართველოს ისტორია

**მინიჭებულის მამათა სტავლებაზე სიყვარულისა და  
სიცავლისათვის  
(ბასილი ლილი, იორა რძელიანი,  
ეფრემ ასური)**

ქრისტიანობის უმთავრესი მცნება სიყვარულია. განკაცებული უფალი არის ყოველის არსების მიზეზი და პირობა. ქრისტიანობამ სულ სხვა სახით დაგვანახა დვთის არსი: “დმერთი სიყვარულ არს” (იოანე 4,8) – ვკითხულობთ სახარებაში. ესაა ყველაზე საუკეთესო განსზღვრა დვთის ბუნებისა და ჩვენდამი მისი დამოკიდებულებისა. ამიტომაც ნამდვილი ქრისტიანის მთელი მოღვაწეობა განსახიერებაა ჰეშმარიტი სიყვარულისა და საონებისა, რადგანაც იგი გრძნობს, რომ უფალი მისი უსაზღვროდ მოსიყვარულე, მოწყალე და ცოდვათა მიმტევებელია.

მხოლოდ უფლის სიყვარული არის ერთადერთი გზა, რომელსაც ადამიანი ჰეშმარიტების შეცნობამდე მიჰყავს. მხოლოდ დვთის სიყვარული ანიჭებს ადამი-

ანს იმ მადლს, რომელიც მას სიკეთის სამსახურში აყენებს.

როდესაც მოციქულება პკითხეს მაცხოვარს, თუ რა იყო ყველაზე უმთავრესი მცნება, მაცხოვარმა უპასუხა: “შეიყვარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა. ესე არს დიდი და პირველი მცნებაი და მეორე, მსგავსი მისი: “შეიყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი.” (მათე, 37-39) უმთავრესი მაინც სიყვარულის მცნებაა.

ქრისტიანული ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები საფეხურია სინანული და აღსარება. ქრისტიანი მუდამ უნდა ფიქრობდეს თავის ცოდვებზე. უურადღებით უნდა ჩხრეკდეს არა მარტო საქციელს, არამედ გულის სიღმესაც.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა წმინდა მამათა სწავლებები. ამჯერად მხოლოდ ბასილი დიდისა, იოანე ოქროპირისა და ეფრემ მცირეს სწავლებებზე შეგჩერდები რომელიც სიყვარულსა და სინანულს ეხება.

ბასილი დიდი წერდა, რომ ადამიანის დაცემა და უფლისაგან მოშორება ცოდვით იწყება, ამიტომაც ყოველი ადამიანი თავის-თავში უნდა ებრძოდეს ცოდვას და განეშოროს მას. პირველ რიგში ადამიანმა უნდა

მოსპოს თავის-თავში ცოდვის მიზეზი, რისი საშვალებაც ადამიანებს თავდად უფალმა უბოძა.

წმინდა მამა თვლის, რომ ცოდვით დაცემა ადამიანება პირველ რიგში გუდის დაბინძურებით იწყება. უკეთური საქმეები ბოროტი განზრახვიდან მოდის, ხოლო უფალმა კი ადამიანებს ყოველი უკეთურის დასათრგუუნდა სიკეთე უბოძა.

უფალმა ყოველ ბოროტებას სიკეთე დაუპირისპირა და ადამიანებსაც ცხოვრებაში ამ პრინციპით ხელმძღვანელობა ურჩია. მანკიერებების დაძლევა სხვადასხვა საშუალებებით შეიძლება. აი, რას წერს ბასილი დიდი ამის

შესახებ: “ღმერთს მოუცია ჩექნდა საბრძოლველად, განსარომელად ყოვლისაგან ბოროტისა, თითოეულად წინა-აღსადგომლი: წინააღსადგომლად ბნელისანათელი, და სიმწარისა- სიტქბოებაი, და ძილისა წინააღსადგომლად – მღვიძარებაი და შიმშილისა- განძღომაი, გემოთმოყვარებისა- მარხვაი, შურისა – სიყვარული, ამპარტავნებისა – სიმდაბლე და სინანული.”<sup>21</sup>

ადამიანის ცხოვრებაში მოვლენილი განსაცდელი თუ სიხარული უფლის მიერაა დაშვებული, ამიტომაც წმინდა მამაები გვასწავლიან, რომ ყოველივე სიხარული იქნება თუ სატანჯველი მადლობით შეეხდეთ,

<sup>21</sup> წმინდა მამათა სწავლანი; გვ. 187. ობ. 2002

რადგან დვთის ნების გარეშე არაფერი ხდება ცხოვრებაში.

უფლისმიერ დაწესებული კანონებით ცხოვრება და ამ გზაზე სიარული არც ისეთი ადვილია, როგორც შეიძლება ერთი შეხედვთ ჩანდეს, მაგრამ როცა ადამიანი ერთხელ ამ გზას დაადგება, სხვაგან აღარ უნდა გადაუხვიოს, რადგან მაშინ სასჯელი უფრო დიდია.

“უკეთუ განეწეოს კაცი მარჯვენით, არა მიიდრიკოს იგი მარცხენით და უკეთუ არა უგარ-ყოს სამართალი არა შეერთოს იგი საცდურსა უსამართლობისასა.”

ბასილი დიდი წერდა, რომ ქრისტეს მცნებათა დაცვა იყო პირველი გამომხატველი უფლისმიერი საფარულისა, ხოლო ვინც არ იცავდა ქრისტეს მცნებებს, მას არც უფალი უყვარდა.<sup>22</sup>

წმინდა მამა ოოანე ოქროპირი თვლიდა, რომ ადამიანის განწმენდის ერთადერთი საშვალება სინანულია, რადგან სინანულში მყოფ ადამიანს უფალი შეუნდობს და შეიწყალებს. ასე შაეწყალა უფალმა სინანულში მყოფი პეტრე.

ოოანე ოქროპირი სინანულში მყოფ ადამიანს დასხეულებულს, სიკვდილის პირას მისულს ადარებდა, რომელიც მკურნალისა და მოძღვრის მეშვეობით განი-

<sup>22</sup> დვთისათნო ცხოვრების წესები- წმინდა ბასილი დიდი; თბ. 2005

კურა, ისე ცოდვილს, ცოდვით დაცემულს აღადგენს უფალი შენანების შემდეგ.

“მოვისწრაფოთ ცრემლთა სინანულად, რამეთუ ცრემლთა მიერ აღადგინა ქრისტემან საფალვით დაზარე ოთხისა დღისა მკუდარი, რაჯამს-იგი მარიამ დაი მისი ცრემლოდა წინაშე მისა.”

“მოვისწრაფოთ სინანულად მოწყალებითა გლახაპთა, ობოლთა და ქვრივთა და რომელნი-იგი დაგლახაპნეს მერმისისათვის სიმდიდრისა. მიეცით მას, რომელმან იგი თქვა, ვითარმედ “მშიოდა და არა მეცით მე ჭამადი; მწყუროდა და არა მასვით; უცხო ვიყავ და არა შემიწყნარეთ მე; შიშუელ ვიყავ და არა შემმოსეთ მე; საპყრობილეს ვიყავ და არა მოხვედ ჩემდა.” ( მათე 25, 42-42)

იოანე თქროპირის სწავლებით გზა ხსნისა და ცოდვით დაცემულის აღდგომისა არის მოწყალება და ქველმოქმედება, რადგან თავად უფალი არის მოწყალე და სახიერი, რადგანაც უფალი შეუნდობს კაცო მრავალ შეცოდებას, ასევე ადამიანებსაც მისცა ძალა შეწყლებისა და შენდობისა.

ცოდვა უდიდესი სატანჯველია, რადგან ყოველგავრი ცოდვა ნებაყოფილებით უარის თქმაა ღვთაებრივ ნათელზე, ხოლო ყოველგვარი ცოდვა შეცოდებაა თავად სიყვარულის წინააღმდეგ, იმდენად რამდენადაც უფალი თავად სიყვარულია.

რაც შეეხება სიყვარულს, იოანე ოქროპირმა ასე მარტივად განმარტა იგი: “სიყვარული არის საძირკვლი, წყარო და დედა ყოველთა კეთილთა”, რასაც სხვა წმინდა მამებიც ეთანხმებიან. ისააკ ასურმა სიყვარული ზეციურ სამოთხეს შეადარა, ხეს ცხოვრებისას, სუფევას უფლისას, რაც ფასალმუნით გავმცნო. (ფს. 109,15)

როგორც ჩვენი წმინდა მამები ასევე ეფრემ ასურიც ადამიანის ცხოვრების გამსაზღვრელ ფაქტორად სიყვარულს მიიჩნევს და მას უმთავრეს ადგილს მიაკუთვნებს. ეფრემ ასურის სწავლებით სიყვარულით გაკათებულ საქმეებს უფალი შეიწირავს, სიყვარული არის ის ძალა, რომელიც იხსნის ადამიანებს ცოდვისაგან, მაგარამ წმინდა მამა გვასწავლის ასევე იმასაც, რომ ცრუა ის ადამიანი ვინც ამბობს უფალი მიყვარსო და გვერდში მდგომი მოყვასის სიყვარული არ გააჩნია.

“ მტყუარ არს და ჭეშმარიტებაი არა არს მის თანა, რამეთუ რომელასა არა უყვარდეს ძმაი თვისი, რომელ იხილა, ვითარ უყვარდეს ღმერთი, რომელ არა უხილავს?” ( იოანე, 4,20)

ცხადია, რომ უფლის სიყვარული მოყვასის სიყვარულს გულისხმობს, თვით რჯულიც ამაზეა დამყარებული, რადგან ლვთის მცნებათა შესრულება სიყვარულით შეიძლება მხოლოდ.

წმინდა ეფრემ მცირეს სწავლებით არ არსებობს ქვეყანაზე და არც ცათა შინა უპატიოსნესი იმაზე, როგორიც სიყვარულია. საღმრთო სიყვარული არის სათავე ყოველივე სიკეთისა, სიყვარული არის მიზეზი სათხოებისა და უდიდესი მაგალითი სიყვარულისა და მისკენ მოწოდებისა თვითონ უფალია.

უფალმა სიყვარულით სიკვდილი დათრგუნა. სიყვარულმა სამოთხის კარი გაადო და ცათა სასუფეველი შეამზადა მოკვდავთათვის. იოანეს სახარება კი გვამცნობს, რომ იმაზე დიდი სიყვარული არ არსებობს ამ ქვეყანაზე, როცა მოყვასისათვის თავგანწირვა შეუძლია ადამიანს.

უფლისმიერ სიყვარულთან დაკაქშირებით მართებული იქნება თუ გავიხსენებთ უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის სიტყვებს:

“ ახალშობილი ყრმის, იქსო ქრისტეს სახით ღვთაებრივი სიყვარული გარდამოვიდა ქვეყნად, რათა ადამიანი საუფლო დიდიების თანაზიარი გამხდარიყო. ღვთის განკაცების დიად საიდუმლოს ბოლომდე ვერასდროს შეიცნობს ჩვენი გონება. უფალმა განხორციელებით ცხადყო თავისი უნაპირო სიყვარული კაცთა მოდგმისათვის, სიყვარული, რომელი არის აღმადგინებელი, მკურნალი, შემაკავშირებელი, გადამრჩენელი. ბეთლემის გამოქვაბულის ბაგაში მწოლი ჩვილი, მაც-

ხოვარი მარადიული მაგალითია თავმდაბლობისა, მასწავლებელი თანადომისა, ძმობისა, თანასწორობისა, თანხმობისა და სიყვარულისა.

ამ სათნოებებით, რომ შევიმოსოთ, ჯერ საკუთარ სულში ჩახედვა უნდა შევძლოთ, უნდა შევიცნოთ თავი თვისი.”<sup>23</sup>

და მართლაც სიყვარული ძნელად ასახსნელი გრძნობაა, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია, რომ სიყვარული დვთისაგან გამოდის და ამავე დროს ჩვენი მიმყვანებელია ღმერთთან.

### გამოყენებული ლიტერატურა

- 1) საქართველოს ეკლესიის კალენდარი; თბილისი; 1989
- 2) საქართველოს ეკლესიის კალენდარი; თბილისი; 1995
- 3) საღვთიმეტყველო კრებული №2; თბილისი; 1897
- 4) ლვისათნო ცხოვრების წესები – წმინდა მამა ბასილი დიდი კესარია- კაბადოკიის არქიეპისკოპოსი; თბილისი; 2005
- 5) წმინდანთა ცხოვრება; ტ. I; თბილისი; 2003
- 6) წმინდა მამათა სწავლანი (ბასილი დიდი, იოანე ოქროპირი, წმ. ეფრემ ასური და სხვანი); თბილისი; 2002
- 7) ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია; თბილისი; 1979

---

<sup>23</sup> საღვთისმეტყველო კრებული ; თბილისი; 1987

**Gvana Burduli**

The first year MA student of Ivane Javakhishvili  
Tbilisi State University,  
Faculty of humanities,  
direction of history of Georgia

### **Saint Fathers tought about love and regert**

It is very interesting to know saint fathers explanation about real love and regert. The main point af this work is that fact that “God is love.”

It is very difficult to explaine what is love but it is clear that it comes from God and it is the oniy way which lead people away to God.

გიორგი გელუტაშვილი  
თბილისის სახელიქორო აკადემია,  
ლოთისმეტყველების ფაკულტეტი  
II კურსი

## იმპუსალიმის ჯვრის მონასტრის მეტოქი

### ჯვარისმამის ეპლენია თბილისში

მრავალსაუკუნოვანი ქართული სახელმწიფოს ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის საერთაშორისო კონტაქტებსა და კავშირ-ურთიერთობებს.

საერთაშორისო სარბიელზე უძველესი დროიდან დიდ როლს ასრულებდნენ, როგორც საერო, ისე სასულიერო მოღვაწენი.

უფლის მოღვაწეობის ვრცელი არეალი პალესტინა-იერუსალიმი ადრევე მოუქცა ჩვენს გონიერ წინაპართა კურადღების სფეროში. ისინი დიდად ზრუნავდნენ ”წმიდა მიწაზე” ქართველთა საქმიანობის გასაფართოებლად.

იერუსალიმთან საქართველოს ურთიერთობა საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს.

ქართველ სახელმწიფო და სასულიერო მოღვაწეთა ერთობლივმა ძალისხმევამ დაამშვენა პალესტინის სხვადასხვა ადგილი, განსაკუთრებით ”წმინდა ქალაქი” – იერუსალიმი.

ქრისტიანობის გავრცელებას თან მოჰყვა ეპლესია-მონასტრების მშენებლობა, როგორც საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ.

იერუსალიმის ეპლესია-მონასტრებში ქართველების მოღვაწეობის ხანა, ანუ როგორც ხშირად იხსენიება, იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორია, მოიცავს დაახლოებით ოთრმეტსაუკუნოვან პერიოდს: V ს-ის პირველი ნახევრიდან, პეტრე იბერის მიერ იერუსალიმში და მის მახლობლად ქართული მონასტრების დაარსებიდან, XVIII ს-ის დასაწყისამდე, როდესაც ქართველებმა დაკარგეს უფლებები თავიანთ მონასტრებზე.(1, 69-92)

საქართველოს პოლიტიკური შესუსტებისა და სამეფო-სამთავროებად დაშლას უცხოეთში მდებარე ქართულ მონასტრებსაც დაეტყო. შემცირდა საქართველოდან წასული ბერებისა და მომლოცველების რაოდენობაც, რის გამოც მძიმე ეკონომიკურ ვითარებაში აღმოჩნდა იერუსალიმის ჯვრის მონასტერი.

ქართველი მეფეები და დიდებულები ხშირად სწორავდნენ იერუსალიმის წმინდა ადგილებს სხვადასხვა შეწირულობებს. (2,14)

თანდათანობით, საქართველოს მეფე-მთავრების გადებული შეწირულობა აღარ კმაროდა სამეურნეო ხარჯებისა და ოსმალთაგან დადებული გადასახადების დასაფარავად.

ამიტომ თავისი ეკონომიკური მდგომარეობის განსამტკიცებლად მონასტრებს სჭირდებოდათ (სტაბილური) შემოსავალი, რაც უმთავრესად მხოლოდ უძრავი ქონების მესაკუთრეობას შეეძლო უზრუნველეყო.

ცნობები იერუსალიმის მეტოქი ეკლესიების შესახებ ქართულ ისტორიულ წყაროებში დადასტურებულია XVI-XVII საუკუნიდან და დაკავშირებულია ყმა-მამულის შეწირვასთან იერუსალიმისადმი, რომელიც დაიწყო ამ დროიდან საქართველოს ტერიტორიაზე. XVI სის დასასრულზე უფრო ადრინდელი ცნობები ჯვრის მონასტრის კუთვნილი ეკლესიებისა და ყმა-მამულების შესახებ, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოში (და საერთოდ საქართველოში) მდებარეობდნენ, არ მოგვეპოვება. საინტერესოა, რომ ასეთი ცნობები არ შეუნახავთ ჯვრის მონასტრის სვინაქსარულ აღაპებს, მაშინ, როდესაც ეს აღაპები წარმოგვიდგენენ მდიდარ მასალას იმ შეწირულებათა შესახებ, რომლებიც მისდიოდა ჯვარს XI-XVII საუკუნეების მანილზე. მათ შორის არის ცნობები იმ უძრავი ქონების შესახებ, რომელსაც ფლობდა ჯვარი პალესტინაში (3,14)

მეტოქი, როგორც ამ სიტყვას სულხან-საბა განმარტავს, არის “სამყოფი მონაცელე”. (4) ძველი ქართული ენის ლექსიკონში მეტოქის შესახებ წერია: “მონასტრის კუთვნილი დაქვემდებარებული ეკლესია მამულით” (5)

ივ. ჯავახიშვილი „ცხოვრება იოანესი და ეფთკმესი“ და ათონის აღაპებიდან მოტანილი მაგალითების განხილვისას წერდა: “მეტოქის დამახასიათებელ თვისებას ის გარემოება შეადგენს, რომ იგი მონასტრის „გარეთ“ მდებარეობდა, ხშირად მოშორებითაც მეტოქებში ხილნარები და სასოფლო მეურნეობის სხვა დარგის უძრავი ქონება ჰქონდათ, რასაკვირველია, ეკლესიაც იყო. ამგვარად, ირკვევა, რომ მეტოქი მონასტრის ერთნაირი ახალშენი იყო, რომელიც მთავარი დედა მონასტრისაგანსაჭირო სამეურნეო, ან სხვა რაიმე მიზნებს ემსახურებოდა, მაგალითად მიმოსვლისას, როგორც გზაზე სადგომი სასტუმრო. (6,25-26) ამგვარად, მეტოქი ანუ ნაცვალი ეკლესიები, შენდებოდა მთავარი მონასტრისაგან შორს მდებარე სამონასტრო მამულში და წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ცენტრს მათი მართვა-გამგეობის საქმეში. ჯვრის მონასტერი აღმ. საქართველოში მიწებს ფლობდა ქართლისა და კახეთის სამეფოში, შესაბამისად თოთოვეულ ამ კუთხეში ჯვარს ეკუთვნოდა ერთი ან რამდენიმე ეკლესია. (7,116-120)



### **ჯვარის მამის ეკლესია**

იერუსალიმის ჯვრის მონასტერს თბილისში ეკუთვნოდა ჯვარის მამის ეკლესია, როგორც სახელწოდება

მიგვანიშნებს ის იყო იერუსალიმის არქიმანდრიტის, ჯვრის მონასტრის წინამდღვრის და ყმა-მამულების გამ-გებლის, ჯვარის მამის რეზიდენცია, “იერუსალიმის მა-მათა სადგური.” (8,5) ეკლესია მდებარეობს ძველ თბი-ლისში, სიონის მოპირდაპირე მხარეს. ვახუშტი ბაგრა-ტიონი მის შესახებ ამბობს: “ეკლესია ჯვარის, გუმბა-თიანი, მშვენიერი.” (9,55) იგი მიჩნეულია XVI ს-ის მეო-რე ნახევრის ნაგებობად. (10,32.;51) პლატონ იოსელიანი ჩვენთვის უცნობ, რომელიდაც წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ იერუსალიმის საპატრიარქოს უკვე V საუ-კუნეშივე პქონია თბილისში თავისი მეტოქი ეკლესია, რომელიც დანგრეულა XIV ს-ის ბოლოს თემურ-ლენ-გის შემოსევის შედეგად. მოგვიანებით, მის ნანგრევებ-ზე აშენებულა ახალი დღემდე არსებული. გარდა ამი-სა, ჯვარის მამის ეკლესია თავისი არსებობის მანძილ-ზე იყო მეტოქი იერუსალიმის სამი ქართული მონას-ტრისა: ილია წინასწარმეტყველისა, ჯვარისა და წმინ-და იაკობისა. ჯვარის მამის ისტორიის ასეთი ადრეუ-ლი ხანის შესახებ გარდა პლატონ იოსელიანის ამ ცნობისა, სხვა რაიმე საბუთი არ მოგვეპოვება. (11,27) დოკუმენტურად დადასტურებული ცნობები ჯვარის მა-მის ეკლესიის შესახებ გვხვდება XVII ს-ის დასასრუ-ლიდან. იერუსალიმის პატრიარქი დოსითეონი (1666-1707წ.) ერთ-ერთ თავის წერილში თხოვს ერეპლე I-ს, რომ მან გამოუყოს ჯვრის მონასტერს ერთი ეკლესია

თბილისში, სადაც მისი წარმომადგენელი პაპა სერგი მოაწყობდა სენაკებს წმინდა საფლავის მამებისათვის. ნაზარალიხანის(ერეკლე I) მიერ 1692 წელს გაცემულ ერთ საბუთში ნათქვამია: “მოკითხულ ვქენით და აქ ქალაქში, ჯვარის მონასტრის მეტოქი საყდარი ყოფილიყო. უამთა ვითარებისაგან იქ, იმ საყდრის გარშემო, სომხები დასახლებულიყვნენ. ისინი იქდან ავყარეთ და ის ადგილი, ვითაც ჯვარის მონასტრისა ყოფილიყო, ის ჯვარის მონასტერს შეუწირეთ და ჯვარის მამა პართენს უბოძეთ”(12) დისიოთეოს პატრიარქის წერილს ეხმაურება 1694 წელს ნაზარალიხანის მიერ გაცემული კიდევ ერთი საბუთი, სადაც წერია: ”ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ რაითამცა მცირედ რაიმე შსახურებაბინა ტაძრისა თქვენისათვის, აწე ვიხილეთ ტფილის ქალაქსა შინა მეტოქი ჯვარის მონასტრისა ეკლესია უამთა ვითარებისაგან გაოხრებულიყო, განვაწმენდინეთ და წმინდით აიაზმით გაკურთხებინეთ ტფილელ მიტროპოლიტ დომენტის.”(13) იმავე საბუთში აღნიშნულია, რომ ეკლესიის მახლობლად მცხოვრები ორი კომლი ეროვნებით სომხები, ვინმე უუთლუაშვილები ჯვრის მონასტრისათვის შეუწირავთ და, როგორც ამგვარ შემთხვევაში ხდებოდა ხოლმე, ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადებისაგან გაუთავისუფლებიათ.

აღნიშნულ საბუთებში ყურადღებას იქცევს ეკლესიის მახლობლად მცხოვრები სომხების აყრა, ხოლო

შემდეგ მათი შეწირვა ჯვრის მონასტრისადმი. ბ. არველაძის აზრით ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო შემდეგი მიზეზით: სომეხი მოქალაქეების კომპაქტურად დასახლება ქართული ეკლესიების მახლობლად ხშირად მთავრდებოდა იმით, რომ ისინი ეპატრონებოდნენ ხოლმე ამ ეკლესიებს და გადააქცევდნენ მათ სომხურ ეკლესიებად, სხვა შემთხვევაში მართლაც გაუგებარია, რატომ უნდა მოეთხოვა ნაზარალისანს ამ ტერიტორიების სომეხი მოქალაქეებისაგან გათავისუფლება. (14,28)

იმავე საბუთში აღნიშნულია, რომ ეკლესიის მახლობლად მცხოვრები ორი კომლი ეროვნებით სომხები, ვინმე ყუთლუაშვილები ჯვრის მონასტრისათვის შეუწირავთ და, როგორც ამგვარ შემთხვევაში ხდებოდა ხოლმე, ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადებისაგან გაუთავისუფლებიათ.

აღნიშნულ საბუთებში ყურადღებას იქცევს ეკლესიის მახლობლად მცხოვრები სომხების აყრა, ხოლო შემდეგ მათი შეწირვა ჯვრის მონასტრისადმი. ბ. არველაძის აზრით ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო შემდეგი მიზეზით: სომეხი მოქალაქეების კომპაქტურად დასახლება ქართული ეკლესიების მახლობლად ხშირად მთავრდებოდა იმით, რომ ისინი ეპატრონებოდნენ ხოლმე ამ ეკლესიებს და გადააქცევდნენ მათ სომხურ ეკლესიებად, სხვა შემთხვევაში მართლაც გაუგებარია,

რატომ უნდა მოეთხოვა ნაზარალისანს ამ ტერიტორიულის სომები მოქალაქეებისაგან გათავისუფლება (15,28).

როგორც ამ წარწერიდან ირკვევა კარიბჭე და სახლები აუშენებიათ 1825 წ.-ს. ეს კარიბჭე XX საუკუნის 20-იან წლებამდე ჯერ კიდევ არსებობდა.(16,28) (ამჟამად აღნიშნული კარიბჭეის ქვა სამრეკლოს კარიბჭეშია ჩაშენებული. გ. გ.).\

ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე მარცხენა მხარეს არის ქვის ფილა ბერძნულ-რუსულ-ქართული წარწერით. ბერძნული წარწერის ქართული თარგმანი ასეთია: “ არქიმანდრიტი იეროთეოსის სამოსელი განისვენებს ღმერთში. 12 ნოემბერი 1896 წ.”

უურადღებას იქცევს, აგრეთვე, ერთი გარემოება: საისტორიო წყაროებში იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მეტოქი ეკლესია თბილისში რამდენიმენაირადაა მოხსენიებული. ნაზარალისანის მიერ გაცემულ საბუთში იგი იწოდება “ჯვრის მონასტრის მეტოქი საყდარი.” (17)

ანტონ კათალიკოსი უწოდებს “ჯვრის მამის მონასტერს”, ხოლო 1844 წელს შედგენილ ეკლესიათა ნუსხაში მექქსე ადგილზე დგას და იხსენიება “იერუსალიმის ჯვარის ამაღლების ეკლესია.” (18)

საისტორიო საბუთებიდან აშკარაა, რომ საქართველოში იერუსალიმის მიწისმფლობელობა ძირითადად ჩამოყალიბდა XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან, XVII ს-ის მეორე ნახევრამდე და მიწების შეწირვის პარალე-

ლურად ხდებოდა ეკლესიების შეწირვაც. ჯვარისმამის გალესია წარმოადგენდა ყმა-მამულების მმართველი ბერძენი სასულიერო პირის რეზიდენციას. მისი აშენების დრო XVI საუკუნის მეორე ნახევრითაა დათარიღებული და ამავე დროისათვის უნდა იყოს შეწირული იერუსალიმისადმი.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ე. მამისთვალისშვილი. ქართველები და ბიბლიური სამყარო, თბ., 1998,
2. ელ. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII საუკუნეები), თბ., 1962,
3. იქვე
4. სულხან-საბა თრბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბ., 1991
5. ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973
6. ხუციშვილი, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწის მფლობელობა საქართველოში, თბ., 1999,
7. ხ. ხუციშვილი, ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული, თბ., 1997, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მეტოქი ეკლესიები
8. პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XII, თბ., 1978,

9. ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997
10. ვ. ბერიძე, XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეპლესიო ხუროთმოძღვრება, თბ., 1999
11. ვ. ბერიძე, იქვე; ნ. ხუციშვილი, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწის მფლობელობა საქართველოში, თბ., 1999,
12. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა), 1450-51/183
13. სცსა, 1450-51/177
14. 6. ხუციშვილი, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწის მფლობელობა საქართველოში, თბ., 1999
15. ვ. დონდუა. კალმასობა, როგორც ყოფა-ცხოვრებითი მოვლენა ძველ საქართველოში, ვ. ბერიძე. XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეპლესიო ხუროთმოძღვრება, თბ., 1999,
16. ვ. ბერიძე, იქვე
17. სცსა, 1450-51/188
18. ხელნაწერთა ინსტიტუტი. -799

## **Summary**

In the work presented us we discussed as fast as possible the church (dependent on the Jerusalem Cross Monastery), the history of the Cross Father church. The exact date of the church's construction is not known, but it is considered to be built in the second half of the 16<sup>th</sup> century.

Supposedly Cross Father Church was donated to the Jerusalem Cross Monastery immediately after it was built and was the residence of the archimandrites who had arrived from Jerusalem and were the rulers of patrimony.

ნათია შეუბულიანი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
იურიდიული ფაკულტეტი  
I კურსი

**მცირე სჯულისკანონისა”  
და თანამაზროვანი ქართული სისხლის  
სამართლის კოდექსის შედარებითი  
ანალიზისათვის  
(მკვლელობის შესახებ)**

საეკლესიო შინაარსის ძეგლებს ქრისტიანულ ქვეყნებში, და კერძოდ, საქართველოში, მოქმედი სამართლის მნიშვნელობა პქონდათ. ასეთი ძეგლები ორგანია: მსოფლიო კრებების კანონმდებლობა, რომელიც გადმოთარგმნილი იყო ქართულად და ქართული, ე.ი. ადგილობრივი საეკლესიო კრებების დადგენილებები. “მცირე სჯულისკანონი” სწორედ მსოფლიო კრებების კანონმდებლობას მიეკუთვნება, რომელიც ათონის ივერთა მონასტერში მოღვაწე ქართველმა საეკლესიო სამართლის ცნობილმა სპეციალისტმა ექვთიმე მთაწმინდელმა შეადგინა, ბერძნული კანონიკური სამართლის სხვადასხვა წყაროს გადამუშავებისა და მასში ქართული მასალების შეტანის გზით. ძეგლი შედგენილია 1005-1028 წლებში.

სასურველი იქნება, ორიოდე სიტყვით განვიხილოთ რა კაგშირია “მცირე სჯულისკანონსა” და “დიდ სჯულისკანონს” შორის. ამ ორი ძეგლის შედარებისას

ირკვევა, რომ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით მათი ავტორები ერთი და იმავე წყაროებით სარგებლობდნენ. ბრალის საკითხი თრივე ძეგლში ერთნაირად არის გადმოცემული. მათ შორის განსხვავება ტერმინებში შეინიშნება. “დიდი სჯულისკანონი” განსაკუთრებით მდიდარია სამართლებრივი შინაარსის ტერმინებით.

“მცირე სჯულისკანონი” ოთხი ნაწილისგან შედგება: 1) მექქსე მსოფლიო კრების (ტრულის 692წ. კრება) კანონები. 2) კანონი შეცოდებულთანი იოანე მმარხველისა. 3) კანონი დღითი-დღეთა ცდომათანი. 4) ძეგლის წერა სარწმუნოებისა. ექვთიმე მთაწმინდელმა მსოფლიო საეკლესიო კრების კანონები გადაამუშავა და ქართულ სინამდვილეს მიუსადაგა. ამ ძეგლში მრავალი მუხლი თავად ექვთიმეს დაწერილია. “მცირე სჯულისკანონი” მეტად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს სისხლის სამართლის პრობლემების შესახებ. კერძოდ, დანაშაულის, სასჯელის შესახებ და რაც მთავარია, მასში დამუშავებულია ბრალის პრობლემა და მისი ცალკეული სახეები.

იოანე მონაზონი თავის შრომაში – “კანონი შეცოდებულთანი” – აცხადებს, რომ ამქვეყნად რვა ხორციელი ცოდვა არსებობს, როგორიცაა სიძვა, მრუ-შობა, მამათმავლობა, სისხლაღრევა, უასაკოთგამ-ხრწნელობა და ა.შ. თუმცა, ყველაზე უარეს ცოდვად

ნებსით და უნებლიერ მკვლელობას მიიჩნევს. სწორედ ამ დანაშაულის საკითხს განვიხილავთ წინამდებარე ნაშრომში და შევეცდებით, აქ მოყვანილი მკვლელობის სახეები და სასჯელები დღევანდელობისას შევადაროთ.

უპრიანი იქნება, “მცირე სჯულისკანონთან” ერთად მოკლედ განვიხილოთ თანამედროვე სისხლის სამართლის კოდექსი. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 26 დეკემბრის განკარგულებით დაფუძნდა სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისია, რომელმაც მიზნად დაისახა სამართლის ძირითად დარგებში ფუნდამენტური საკანონმდებლო აქტების – კოდექსების მომზადება. ქართული სისხლის სამართლის კოდექსის შემმუშავებელი დარგობრივი კომისიის შრომის შედეგად შეიქმნა კოდექსი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 1999 წლის 22 ივნისს მიიღო. ხოლო უკვე 2000 წლის 1 ივნისიდან სისხლის სამართლის კოდექსი ძალაში შევიდა და ამოქმედდა. ამ საკანონმდებლო აქტის შექმნა მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.\*

იოანე მონაზონი თავის შრომაში მკვლელობის შესახებ ძალზედ მცირე ინფორმაციას გვაწვდის. მას ერთმანეთისაგან გამიჯნული აქვს ნებსითი და უნებ-

---

\* საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 2007 წ.

ლიე მკვლელობა და არ საუბრობს მის სხვა სახეებზე. დანაშაულის ასეთ დაყოფას დღეგანდელი ტერმინოლოგიით განზრახვა და გაუფრთხილებლობა შეესაბამება. ავტორის აზრით, “ნებსითი მკვლელობის ცოდვა არის ყველაზე უფრო გაუმართლებელი, თუმცა არც ესაა მიუტევებელი. რაც შეეხება უნებლიერ მკვლელობას, იგი ღირსია ყოველგვარი შენდობისა როგორც ადგილად გასამართლებელი.”\* აღსანიშნავია ის გარემოება, რომ XI საუკუნის დასაწყისში, ანუ იმ პერიოდში, როდესაც “მცირე სჯულისკანონი” შეიქმნა, სასჯელის ძირითად სახეს უზიარებლობა წარმოადგენდა. ამის შესაბამისად, ნებსითი მკვლელობის ეპიტომია ოც წელიწადს შეადგენდა, ხოლო უნებლიერი – ათს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მიხედვით, სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი. იგი უზენაეს სამართლებრივ ღირებულებას წარმოადგენს.\* სისხლის სამართლის კოდექსიც, რა თქმა უნდა, შეესაბამება კონსტიტუციას და სიცოცხლის მოსპობისთვის განსაკუთრებით მძიმე სასჯელებს აწესებს. განზრახი მკვლელობა ისჯება თავისუფლების ადგენოით ვადით შვიდიდან თხუტმეტ წლამდე და მას გააჩნია სხვადასხვა სახეები: განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში, მკვლელობა

\* “მცირე სჯულისკანონი”. თბილისი.2003წ. გვ 3

მსხვერპლის თხოვნით, მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი ადგლებტის მდგომარეობაში, ადამიანის თვითმკვლელობამდე მიყვანა, დედის მიერ ახალშობილის განზრახი მკვლელობა და ა.შ. ხოლო სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ხუთ წლამდე ან თავისუფლების ადგვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

როგორც ვხედავთ, თანამედროვე კანონმდებლობა მკვლელობას უფრო ფართო მასშტაბით განიხილავს და არ შემოიფარგლება მხოლოდ და მხოლოდ განზრახი და გაუფრთხილებლობითი მკვლელობით. სასჯელის დანიშვნის დროს ყურადღება უქცევა მრავალ გარემოებას: როგორ სულიერ მდგომარეობაში იმყოფებოდა დამნაშავე დანაშაულის ჩადენის დროს, სურდა თუ არა მას ამ შედეგის დადგომა, ჩაიდინა თუ არა მან ეს დანაშაული იძულებით, მუქარით, შანჩაჟით და ა.შ. “მცირე სჯულისკანონში” კი მკვლელობა ასე დაკონკრეტებით არ არის განხილული. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, მრავალი გარემოებით არის გამოწვეული, მათგან ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ექვთიმე მთაწმინდელის ნაშრომსა და თანამედროვე კანონმდებლობას ერთმანეთს 9 საუკუნე აშორებს.

“მცირე სჯულისკანონის” მესამე ნაწილში – “ყოველდღიურ შეცოდებათა კანონებში” – ბასილი დიდს, იოანეს მსგავსად, მოხსენიებული აქვს ნებსითი

და უნებლიერ მკვლელობა. თუმცა, ამის გარდა, იგი მკვლელობის სხვა რამდენიმე სახესაც განიხილავს. მაგალითად, ყაჩაღური მკვლელობა, რომელიც ისჯებოდა 21 წლის უზიარებლობით, ბრძოლაში კვლა - ისჯებოდა 14 წლის უზიარებლობით და ა.შ. აღსანიშნავია, რომ მკვლელს სასჯელი უმსუბუქდებოდა იმ შემთხვევაში, თუ იგი თავის ჩადენილ ცოდვას სინანულით ეკოდებოდა. ეს მოვლენა შეგვიძლია შევადაროთ იმ გარემოებას, რომ დღევანდელი კანონმდებლობის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, თუ მკვლელი დანაშაულს აღიარებს, მას შედარებით მსუბუქი სასჯელი შეუფარდება.

წმინდა ბასილი დიდი ცალკე მუხლებში საუბრობს ჩვილ და უშობელ ბავშვთა მკვლელობაზე და განასხვავებს სასჯელებს იმის მიხედვით, თუ როგორ არის ჩადენილი დანაშაული. მაგ.: “თუ ვინმე ჩვილს შობს, მაგრამ უგულებელყოფს მას და ამის გამო ჩვილი მოკვდება, მკვლელობის სასჯელს დაექვემდებაროს.”\* ხოლო ისინი, ვინც წამლების მიღებით კლავენ უშობელ ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ვადით ორას ორმოც საათამდე, ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე. უფრო მძიმე სასჯელი ედება აბორტის ჩამ-

დენს იმ შემთხვევაში, თუ ის გამოიწვევს შვილოსნობის სამუდამო მოშდას ან სიცოცხლის მოსპობას.\*

საინტერესოა ის ფაქტი, რომ წმინდა ბასილი დიდი ერთ-ერთ მუხლში ამბობს: “ის ქალი, რომელიც ძალდატანებული იქნება და იძულებით გაიხრწება ვინმესგან, თუ მშველელი არავინ იყო, ასეთი ქალწული უდანაშაულოა, ხოლო მოძალადე – მკვლელი.”\*\*\* ანუ ავტორი ამ ცოდვას მკვლალობას ადარებს და ისეთსავე სასჯელს უწესებს მის ჩამდენს, როგორც სიცოცხლის მომსპობას.

“მცირე სჯულისკანონს” ერთიანი საკანონმდებლო აქტის მნიშვნელობა არ აქვს, რადგანაც იგი ექვთიმე მთაწმინდელმა სხვადასხვა ბერძნული წყაროდან თარგმნა, თუმცა იგი XI საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამართლის ძეგლია. ძალზედ სამწუხაროა ის ფაქტი, რომ დღეისათვის XI საუკუნეში უკულაზე გავრცელებულ სასჯელს – უზიარებლობას – არ გააჩნია რაიმე

დატვირთვა და ეს სასჯელი თავისუფლების აღკვეთამ შეცვალა. თუმცა, ყურადსადებია ის გარემოებაც, რომ “მცირე სჯულისკანონში” მოხსენიებულ ძირითად სასჯელს არ გააჩნია სამართლებრივი დატვირთვა და სა-

---

\* საქართველოს კონსტიტუცია. 2007წ. მუხლი 15

ეჭვოა, ამ სასჯელმა თანამედროვე ეპოქაში დანაშაულის რაოდენობის შემცირება ან ადგენტა გამოიწვიოს.

---

\* „მცირე სჯულისკანონი”. თბილისი. 2003წ. გვ.113

\* საქართველოს კონსტიტუცია. 2008 წ. მუხლი 15

\* „მცირე სჯულისკანონი“. თბილისი. 2003წ. გვ.132.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. “მცირე სჯულისკანონი”, თბ., 2003
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. გამ. „სამართალი”. 2007წ.
3. საქართველოს კონსტიტუცია.
4. ივანე სურგულაძე – “ქართული სამართლის ისტორიის წყაროები”..
5. “საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია”. -ვალერიან მეტრეველი. გამ. “მერიდიანი”. 2003 წ.
6. “საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი”. – ავტორთა კოლექტივი.
7. ”სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი.” – ავტორთა კოლექტივი ( ა. გაბიანი, ნ. გვენეტაძე, ი. დგალიძე, ნ. თოდუა, მ. მამულაშვილი, გ.ნაჭყებია, გ. ტყეშელაძე, გ. ხუროშვილი.) გამ. „მერიდიანი“. 2007წ.

**Natia Shkubuliani**  
Ivane Javakhishvili  
Tbilisi State University,  
Faculty of law,  
first year

**“Mcire sjuliskanoni”comparative  
analysis of Georgian Criminal Law.**

**(About murder)**

**S ummary**

Comparative analysis about crimiy against the propersty between church law “mcire sjuliskanoni” and conterprorrary Georgian Criminal Law is discussed in this work the similarities and differences are marked between the old and todays Georgian Law.

ეთერ ბოკელაგაძე  
ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარულ  
მეცნიერებათა ფაკულტეტი.  
სპეციალობა ისტორია IV კურსი

**საეპლესიო-ისტორიულ საფუძველთა  
ფალსიფიკაციისათვის პოსოვოსა და  
აფხაზეთში  
(ისტორიული პარალელები)**

კოსოვოსა და აფხაზეთის პრობლემათა შინა-  
არსობრივი მსგავსებების შესახებ უკანასკნელი  
ათწლეულის მანძილზე მრავალი მოსაზრება იქნა-  
გამოთქმული როგორც ქართულ, ისე უცხოურ სა-  
მეცნიერო წრეებში. მკვლევართა ნაწილი მათ  
იდენტურობას უსვამს ხაზს, ნაწილის აზრითი კი,  
მათ ურთიერთგამიჯვნას დიდი მნიშვნელობა აქვს  
რიგი პოლიტიკური პროცესების რეგულირების  
კუთხით. ადსანიშნავია ის, რომ კოსოვოსა და აფ-  
ხაზეთის საკითხთა ირგვლივ გამოქვეყნებულ ნაშ-  
რომთა უმრავლესობა მის პოლიტიკურ ჭრილში  
განხილვასა და უმთავრესად, პოლიტიკურ ასპექ-  
ტებზე აქცენტირებას მოიცავს. აღნიშნულის ფონ-

ზე, საინტერესოდ მოგვაჩნია საკითხის დასმა და გაანალიზება სარწმუნოებრივ-კულტურული ფაქტორის ფართოდ განხილვის საფუძველზე.

კოსოვოსა და აფხაზეთის რეგიონები ძველთა-განვე სერბულ და ქართულ სახელმწიფოთა უმნიშვნელოვანეს გეოპოლიტიკურ და კულტურულ ცენტრებს წარმოადგენდნენ. გეოგრაფიულმა მდებარეობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მათ დაწინაურებას სავაჭრო-ეკონომიკური კუთხით ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან; მოგვიანებით კი, რომის, ბიზანტიისა თუ ნაციონალურ სახელმწიფოთა საზღვრებში, მათ უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური და კულტურული როლი მიენიჭათ.

კოსოვოსა და აფხაზეთის ტერიტორია ითვლება მაცხოვრის მოციქულთა მიერ განათლებულ მიწებად. კერძოდ, სახარებისეული გადმოცემებითა და ისტორიული წყაროთა მოწმობით, ცნობილია, რომ ბალკანეთის ნ/კის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილში ქრისტეს სიტყვა იქადაგეს წმინდა ანდრიაპირველწოდებულმა და პავლე მოციქულმა, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში კი მოციქულმა ანდრიამ და სვიმონ კანანელმა. I-IV სს-ში ამ ტერი-

ტორიებზე უკვე ჩამოყალიბდა ქრისტიანული საეპისკოპოსოები. ას. წ. V-VI სს-ში სერბთა ბალკანეთის ნ/კ-ზე დამკვიდრებისათანავე კოსოვოსა და მეტოქის ტერიტორია (“კოსოვო” წარმოდგება სერბული სიტყვისაგან “კოს:”, რაც ქართულად “შავ შაშვეს” ნიშნავს, “მეტოქია“ კი ბერძნული სიტყვაა და სამონასტრო მიწას აღნიშნავს) იქცა სერბთა განახლებისა და კულტურის მნიშვნელოვან პუნქტად.

ისტორიულად ცნობილია, რომ სერბთა მასობრივი ქრისტიანიზაცია დაიწყო VII-ს-ის პირველ ნახევარში ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს მმართველობის უამს. ცნობილი რუსი მკვლევარის სკურატის მიხედვით, საწყის ეტაპზე სერბთა ქრისტიანული თემები რომის ეკლესიის სამწყსოს წარმოადგენდნენ, თუმცა მას შემდეგ, რაც 732 წელს იმპერატორმა ლეონ ისავრიელმა რომის პაპს ჩამოართვა სერბებით დასახლებული აღმოსავლეთ ილირიის ტერიტორია, სერბები კონსტანტინეპოლის საპატიოარქოს დაქვემდებარებაში გადავიდნენ (13, 100). აღნიშნულ ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ალბანურ ისტორიოგრაფიაში ძველი ილირიის მკვიდრ ალბანელთა კათოლი-

კობისა და უშუალოდ კოსოვოს ტერიტორიაზე შეასაუგუნოვანი ალბანური კათოლიკური ეკლესია-მონასტრების არსებობის შესახებ მოსაზრების ფართოდ გავრცელების პირობებში. კერძოდ, ალბანელ მკვლევართა ნაწილი (ი. რაგოვა, მ. სოპი) “ილირიზმის” ოქორიაზე დაყრდნობით, მიიჩნევს, რა ალბანელებს კოსოვოს ავტოქტონურ მოსახლეობად, აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებულ შეასაუკუნოვან ქრისტიანულ ტაძრებს ალბანურ კათოლიკურ კერებად ნათლავს. საინტერესოა ის, რომ მათი გარკვეული ნაწილი კოსოვოში პრიშტინას ახლოს, ქ. ულპიანაში ასახელებს პირველ ალბანელ ქრისტიან მოწამეებს. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ისტორიულ წყაროებში ალბანელთა მოხსენიებას “არბერების” სახელწოდებით, ვხვდებით მხოლოდ ახ. წ. XI საუკუნიდან, ბიზანტიურ ქრონიკებში, რომელთა მიხედვითაც არბერია მდებარეობდა თანამედროვე ალბანეთის ცენტრალურ ნაწილში. სერბული წყაროები კი მხოლოდ XIV საუკუნიდან იცნობენ ინფორმაციას კოსოვოს ტერიტორიაზე ალბანურ ტომთა განსახლების შესახებ. რაც შეეხება კოსოვოში ულპიანას პირველმოწამეებსა და კათოლიკური ეკლესია-

მონასტრების არსებობის ფაქტს უნდა აღინიშნოს, ის რომ ქ. ულპიანაში III-ში მართლაც ვხვდებით პირველმოწამეებს ფლორასსა და ლორასს, რომელთაც ორთოდოქსალური ეკლესია პატივს მიაგებს. კოსოვოელ ალბანელთა შორის კი არცერთი წყარო არ ადასტურებს ამ წმინდანთა კულტის არსებობას. ნიშანდობლივია აგრეთვე ისიც, რომ კათოლიკურ ეკლესია-მონასტრებს კოსოვოს ტერიტორიაზე ვხვდებით ჯერ კიდევ XIII-დან, უშუალოდ სერბეთის სამეფო დინასტიის წარმომადგენელთა ინიციატივითა და მფარველობით აგებულს (23).

ალბანელ ისტორიკოსთა მხრიდან შუა საუკუნოვან სერბულ ტაძართა საკუთარ სარწმუნოებრივ-კულტურულ ცენტრებად გამოცხადების ტენდენციას საინტერესო პარალელი შეიძლება მოეძებნოს ქართულ სინამდვილეში აფხაზეთის საკითხის სახით. კოსოვოსაგან განსხვავებულმა პირობებმა და უმთავრესად საერთო რწმენის ფაქტორმა აქ დღის წესრიგში დააყენა აფხაზეთის დამოუკიდებელი ეკლესიის არსებობის საკითხი. გასული საუკუნის 90-იანი წლებში აფხაზეთის ხელისუფლების ინიციატივით, კვლავ განახლდა აფ-

ხაზეთის ეკლესიის საქართველოს საპატრიარქოს-  
გან გამოყოფის პროცესი. კერძოდ, ცნობილია,  
რომ 1995 წელს აფხაზეთის ხელისუფლების მეთა-  
ურმა (პ. არძინბა) ოხოვნით მიმართა მოსკოვისა  
და სრულიად რუსეთის პატრიარქს ალექსი II-ს  
აფხაზეთის ეპარქიის რუსეთის ეკლესიასთან შე-  
ერთების შესახებ. 1997 წლის იანვარში კი გაიმარ-  
თა ცხუმ-აფხაზეთის სამდვდელოების კრება, რო-  
მელმაც მიიღო დადგენილება საქართველოს სა-  
პატრიარქოს იურისდიქციიდან გასვლისა და ეწ.  
ჩრდილოეთ კავკასიის ეპარქიასთან მიერთების შე-  
სახებ (სინამდვიულში, რუსეთის ეკლესიასთან შე-  
ერთების შესახებ, რადგან ჩრდ. კავკასიის ყველა  
ეპარქია შედის რუსეთის მართლმადიდებელი ეკ-  
ლესიის იურისდიქციაში) (1,3-5). აღნიშნული პრო-  
ცესების პარალელურად, აფხაზურ და რუსულ სა-  
მეცნიერო წრეებში დაიწყო აფხაზეთის ეპარქიის  
საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისაგან  
გამოყოფის ისტორიული საფუძვლების ძიება. რაც  
მათი მხრიდან (ე. აჯინჯალი, დ. დბარი, გ. სმირი,  
დ. სარსანია) აფხაზეთის საკათალიკოსო-აფხაზურ  
ეკლესიად, ხოლო აფხაზეთის ტერიტორიაზე არ-  
სებულ ქართულ ეკლესია-მონასტერთა – აფხაზურ

ქრისტიანულ ცენტრებად გამოცხადებაში გამოიხა-  
ტა. შემუშავებულ იქნა თეორია აფსუათა I-VI სს-  
ში მონათვლის შესახებ (1, 9-16).

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მო-  
საზრების თანახმად, მოციქულთა ქადაგების შემ-  
დეგ, აფხაზეთის მიწაზე ქრისტიანული სარწმუნო-  
ების კვლავ განვრცობა და განმტკიცება დაკავში-  
რებულია რომის იმპერიისაგან დევნილი ქრისტია-  
ნი მეომრებისა (მაგ. ორენტიოსი) და მღვდელმთავ-  
რების (კლიმენტი რომაელი (ІІ), იოანე ოქროპირი)  
სახელებთან (1, 51-55). აფხაზეთში ქრისტიანობის  
ფართოდ გავრცელების უდავო ფაქტზე მეტყვე-  
ლებს ბიჭვინთის ეპისკოპოს სტრატოფილეს მონა-  
წილეობა I მსოფლიო საეკლესიო კრებაზე. ქარ-  
თულ და უცხოურ წყაროთა მიხედვით, აღნიშნუ-  
ლი პერიოდისათვის თანამედროვე აფხაზეთის ტე-  
რიტორია დასახლებული იყო დასავლურ ქართუ-  
ლი-კოლხური ტომებით. ცხადია, სწორედ ისინი  
წარმოადგენდენ ჩრდ-დას საქართველოს ტერიტო-  
რიაზე არსებული ეკლესიის სამწყსოს. რაც შეეხ-  
ბა აფხაზებს, მათი I-VI სს-ში მონათვლის ფაქტი  
სერიოზულ ეჭვს ბადებს, რადგან აღნიშნული პე-  
რიოდისათვის მათი აფხაზეთში განსახლების ფაქ-

ტი არცერთი საისტორიო წყაროთი არ დასტურდება.

სერბეთისა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიათა ისტორიიდან ფართოდაა ცნობილი ის სამონასტრო კერები თუ საეპისკოპოსო კათედრები, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე სერბული და ქართული სასულიერო მწერლობისა და საეკლესიო-დიპლომატიურ ცენტრებს წარმოადგენდნენ და, რომლებიც სწორედ კოსოვოსა და აფხაზეთის ტერიტორიაზეა განვითარებული. აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა კოსოვოში პეტი, ხოლო აფხაზეთში – ბიჭვინთის საკათედრო ტაძრები. პეტი სამონასტრო კომპლექსი XIII-ის შუა ხანებში, სერბეთის არქიეპისკოპოს არსენ I-ის მიერ იქნა აგებული. 1253 წელს აქ ქ. უიჩიდან გადატანილ იქნა საარქიეპისკოპოსო რეზიდენცია. 1346 წლიდან კი როდესაც სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესია საარქიეპისკოპოსოდან აყვანილ იქნა საპატრიარქო რანგში, პეტის მონასტერმა “პეტის საპატრიარქოს” სახელწოდება მიიღო (13, 19).



၃၇ၮၦ

აღნიშნული სახელწოდება შემდგომში სრულიად სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის აღმნიშვნელ სინონიმად იქცა. ნიშანდობლივია ის, რომ პეტის საპატრიარქოს არსებობა არ შეუწყვეტია ოსმალთა ბატონობის პერიოდშიც და თანამედროვე ეტაპზე, უადრესად საინტერესო ფაქტს წარმოადგენს, ის რომ, სერბეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში არსებული ტრადიციის თანახმად, ყოველი ახალი სერბი პატრიარქის ბელგრადში ინტრონიზაციის შემდეგ, მისი აღსაყდრება ხდება პეტის მონასტერშიც (პეტის არქიეპისკოპოსის ტახტზე) (13, 115). სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმცყრობელი კი იწოდება “პეტის მთავარეპისკოპოსად, ბელგრად-კარლოვაცის მიტროპოლიტად და სრულიად სერბეთის პატრიარქად“.

პეტრის საპატრიარქო ტაძართან შედარებით გაცილებით მეტ საუკუნეს ითვლის ბიჭვინთის კათედრა აფხაზეთში, რომელიც ჯერ კიდევ ადრექტრისტიანულ ხანაში დაარსებულა. საქართველოს გაერთიანების პერიოდში იგი მანამდე არსებულ ბერძნული ეკლესიის იურისდიქციისადმი დაქვემდებარებული კათედრიდან ქართულ საეპისკოპოსო



### ბიჭვინთა

კათედრად გადაიქცა. IXს-ში ბიჭვინთა უკვე დასაგლეთ საქართველოს საკათალიკოსო რეზიდენციას წარმოადგენდა. ბიჭვინთის (აფხაზეთის) საკათალიკოსოს არსებობა არ შეუწყვეტია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო რანგში აყვანის შემდეგ, არამედ იგი წარმოადგენდა საქართველოს საპატრიარქოში შემავალ საეპლესიო სამთავროს (3, 45). XVს-ის 70-იან წლებში საქართველოს ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებ-

ბად დაშლის პირობებში, აფხაზეთის საკათალიკოსო დაწინაურდა. მან თვით იქრუსალიმელ-ანტიოქიელი პატრიარქისგან მიიღო ავტოკეფალია და მიტროპოლიტ ანანიას შეფასებით, თავი “ქრისტეს მიერ“ დადგენილ “ყოვლისა საქართველოს“ მწყემსად გამოაცხადა. ჩვენამდე მოაღწია ერთმა საბუთმა დადასტურებულმა ბიჭვინთის მამამთავარ გრიგოლის მიერ, სადაც იგი “ყოვლისა საქართველოს კათალიკოზად“ იწოდება (3, 49). XVIIს-ში აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩრდ. კავკასიურ ტომთა და მათ შორის აფხაზთა ჩამოწოლის შედეგად ბიჭვინთის კათედრა გაუქმებულ იქნა.. საკათალიკოსო რეზიდენციამ კი ბიჭვინთიდან გელათში გადმოინაცვლა (3, 55).

კოსოვოსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე უმნიშვნელოვანეს სერბულ და ქართულ საეპლესიო ცენტრებს წარმოადგენდნენ აგრეთვე სტუდენტა და ბედია. სტუდენტას მონასტერი XII ს-ის მიწურულსა და XIII ს-ის დამდეგს, სერბეთის დიდი მთავრის სტეფანე ნემანის მიერ იქნა აგებული. ამავე ტაძარში აღიკვეცა იგი ბერად სვიმეონის სახელით და აქვე იქნა დაბრძანებული მისი მირონ-მდინარე სხეულიც. სტუდენტას მონასტერში მოღ-

გაწეობდა სტეფანე ნემანის ვაჟი და სერბეთის მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის პირველი საჭეომპყრობელი წმინდა საბა (რასტის-ლავ ნემანი) (7, 24).



სტეფანიცა



სტეფანე ნემანი  
(უმცროსი)

სტეფანიცას მონასტერში დღემდეა შემორჩენილი ნემანთა სამეფო დინასტიის წარმომადგენელთა გამოსახულებანი და, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, აქ განისვენებს გაერთიანებული სერბეთის პირველი მეფე—სტეფანე ნემანი (უმცროსი) (7, 36).

თავისი მნიშვნელობით სტეფანიცას მონასტერს აფხაზეთში უტოლდება ბედიის ტაძარი. ცნობილია, რომ იგი “აფხაზთა მეფემ” და შემდგომში ერთიანი საქართველოს პირველმა



ბეჭია




ბაგრატ III

ხელისუფალმა ბაგრატ III-მ ააგო X საუკუნეში. მანვე დაარსა ბეჭიას საეპისკოპოსო კათედრაც. ტაძარში შემონახულია ბაგრატ III-ის გამოსახულება ეკლესიის მოდელით ხელში (სამხრეთ კედლის აღმოსავლეთ ნაწილში) (9, 21-22). 1014 წელს ბეჭიას ტაძარში დაკრძალულ იქნა გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III, რის გამოც შემდგომში ბეჭია მეტად ითვლებოდა. (“ხელმწიფის კარის გარიგება” ) (9, 24).

აფხაზეთისა და კოსოვოს ტერიტორიაზე გარდა ზემოააღნიშნულის სამონასტრო კერძისა, ფუნქციონირებდა ისეთი მნიშვნელობის საეკლესიო-დიპლომატიური ცენტრები, როგორებიცაა ჟიჩისა და პრიზრენის საეპისკოპოსოები კოსოვოში,

ხოლო დრანდისა და მოქვის საეპისკოპოსოები აფხაზეთში.

ჟიჩის მონასტრის დაარსება სერბული ეკლესიის დიდი რეფორმატორის წმინდა საბასა და მისი ძმის (შემდგომში სერბეთის პირველი მეფე) სტეფანე პირველკურთხეულის სახელებთან არის დაკავშირებული. სერბეთის მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის დაფუძნების დღიდან (1219წ.) ვიდრე 1253 წლამდე იგი სერბეთის მთავარეპისკოპოსის საკათედრო ტაძარს წარმოადგენდა.



ეთი




პრიზრენი


სერბი ხალხი მას დღემდე “სერბულ ეკლესიათა დედას” უწოდებს (17). რაც შეეხება პრიზრენის საეპისკოპოსოს იგი ჯერ კიდევ წმინდა საბას მოდვაწეობამდე წარმოადგენდა მნიშვნელოვან საეპისკოპოსო კათედრას კოსოვოს ცენტრში. განვითარებულ შეა საუკუნებში კი მან სერბეთის

მძლავრი ეკონომიკური და პოლიტიკურ-დიპლომატიური ცენტრის ფუნქციები შეითავსა. სერბეთის ნაციონალურ პოეზიაში მას ხშირად “სერბეთის კონსტანტინეპოლადაც“ კი მოიხსენიებენ (40).

არანაკლები მნიშვნელობის მქონე იყო დასავლურ ქართული სამეფოსათვის შეა საუკუნოვანი მოქვისა და დრანდის საეპისკოპოსოები. ორივე მათგანი Xს-ში იქნა დაარსებული. მსგავსად პრიზრენისა, ცნობილია, რომ მოქვის საეპისკოპოსო გარდა სასულიერო დანიშნულებისა, სახელმწიფო მნიშვნელობის დიპლომატიურ ფუნქციებს ასრულებდა გვიან შუასაუკუნეებში. კერძოდ, ცნობილია, რუსი ელჩების პავლე ზახარიევისა და



*მოქვი*



*დრანდა*

ფედოტ ელჩინის ვიზიტი 1640 წელს მოქვის საეპისკოპოსოში, სამეგრელოს მმართველ ლევან II

დადიანთან დიპლომატიური მოლაპარაკების მიზნით (12, 117-118). მოქვის ტაძარი XIX საუკუნეში წარმოადგენდა შარვაშიძეთა საგვარეულო საძვალეს (33, 65). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ როგორც მოქვის, ისე დრანდის საეპისკოპოსოებმა არსებობა შეწყვიტეს XVII-XVIII საუკუნეებში ჩრდილო კავკასიოდან აფხაზურ ტომთა მოძალების გამო (ბ. ლომინაძე, თ. ქორდანია).

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვფიქრობთ, ნათელი უნდა იყოს თანამედროვე აფხაზ (და მათთან ერთად რუს) თუ ალბანელ მკვლევართა არგუმენტაციის უსაფუძლობა, ქართულ და სერბულ ქრისტიანულ კერათა საკუთარ ეროვნული კულტურის ძეგლებად წარმოჩენის საკითხში. ისტორიის ფალსიფიკაციის უტყუარ დასტურს წარმოადგენს თავად კოსოვოს (დეჩანი, ბანშეკა, მიტროვიცა, ლუჟვიშეკა, პრიშტინას მონასტერი) და აფხაზურ მიწებზე (ლიხნი, ილორი, ძველი გაგრა, კომანი, სოხუმის საკათედრო ტაძარი) არსებულ ეკლესია-მონასტერთა არქიტექტურული სტილი; არქეოლოგიური, ლინგვისტური, ეპიგრაფიკული, ანთროპო-გეოგრაფიული მონაცემები და სხვ.

კოსოვოსა და აფხაზეთის მიწათა უდიდესი სარწმუნოებრივ-კულტურული და ისტორიული მნიშვნელობის გააზრება ქმნის საფუძველს სერბ და ქართველ მკვლევართა შორის ხშირ შემთხვევაში, ტენდენციურ შეფასებათა ჩამოყალიბებისათვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს ის, რომ მათი უმრავლესობა ობიექტურ, ისტორიულ საფუძვლებს ეყრდნობა. ასე, მაგ: ცნობილი სერბი მკვლევარი დუზან ბატაკოვიჩი თავის ნაშრომში “კოსოვოსა და მეტოქის შესახებ” წერს: “იგი წარმოადგენს იმ შენობის ქვაკუთხედს, როგორიცაა სერბეთის ეროვნული პანთეონი. როდესაც საუბრობენ, რომ კოსოვოს გარეშე არ არსებობს არავითარი სერბეთი და სერბი ერი, ეს არ არის მარტო XIX ს-ის ეროვნული რომანტიზმის აღორძინება, იგი გულისხმობს გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე მხოლოდ ტერიტორიას, რომელიც დაფარულია მისი კულტურისა და ცივილიზაციის ძეგლებით, უფრო მეტია, ვიდრე მყარად წარმოდგენილი ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, – მიიჩნევენ, რომ კოსოვო და მეტოქია სერბთა იდენტურობის გასაღებია” (14).

დ. ბატაკოვიჩის შეფასებას ეხმიანება ამერიკული მკვლევარის პროტოპრესვიტერ თომას პოპკოს შეხედულება კოსოვოსა და მეტოქიის შესახებ: “კოსოვოს ოლქი არის სერბული ქრისტიანობისა და ეროვნული თვითმყოფადობის აკვანი. . . კოსოვო იგივეა სერბებისთვის, რაც იერუსალიმი და სიონი ებრაელთათვის, ბოსტონი და ახალი ინგლისი-თეთრი რასის ანგლოსაქსი პროტესტანტი ამერიკელებისათვის” (The Newspaper “OCA”, 1999, june).

ვფიქრობთ, მსგავს შეფასებათა განვრცობა შესაძლებელია აფხაზეთზეც. ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ტერიტორია, რომელიც ერთიანი ქართული სამეფოს შექმნისთანავე იქცა ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის განუყოფელ ნაწილად, წარმოადგენს საქართველოს ეკლესიისა და ქართული სულიერების საძირკველს. საქამანოდ ცნობილ ზოგად სრულიად საქრისტიანო სიწმინდეთა (წმინდა მოციქულ სვიმონ კანანელის საფლავი, წმინდა იოანე ოქროპირის განსასვენებელი(ამჟამად მხოლოდ სარკოფაგი ინახება აფხაზეთში), წმინდა ლვთისმშობლის სარტყელი ბედიაში და სხვ.) მის წიაღში არსებობის ფაქტი კიდევ

ერთხელ ადასტურებს მის უსაზღვრო მნიშვნელობას როგორც საკუთრივ ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობისათვის, ისე მსოფლიო ქრისტიანული სამყაროსათვის.

### **ბ ი ბ ლ ი თ გ რ ა ფ ი ა**

#### **სამეცნიერო ლიტერატურა და წყაროები**

1. გამასარია ჯ, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (Iს.-1921), ობ., 2005
2. გასვიანი გ. “მცნებაი სასჯულო” ქრისტიანული სარწმუნოების მდგომარეობისა და აფხაზეთის ცნებაზე. მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები, ობ., 2005
3. მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, აფხაზეთი, ქართველთა გააფხაზება, ობ., 2007
4. “მოსახსენებელი მიმოსვლათათვის და ქადაგებათა ყოვლადქებულისა და დიდებულისა მოციქულისა ანდრიასი”.
5. მღვდელმთავარი ინოკენტი ხერსონელი, “წმინდა მოციქულ პავლეს ცხოვრება, ღვაწლი, დასჯა” თარგმანი გ. როჭვა, ობ., 2004

6. პავლიაშვილი ქ, მართლმადიდებლური აფხაზეთი (რეცენზია მ. ი. გარნაგას ნაშრომზე), “აფხაზეთი” №1, ობ., 2004
7. “ცხოვრება წმინდა საბასი, სერბეთის მთავარეპისკოპოსისა, ობ., 2003
8. ხვისტანი რ, ბედია-შუა საუკუნეების საქართველოს რელიგიურ-პოლიტიკური ცენტრი, ჟურნ. “საისტორიო ძიებანი”, №3, ობ., 2000
9. ხორავა ბ, ბედიის საეპისკოპოსო, ჟურნ. “საისტორიო ძიებანი”, №3, ობ., 2000
10. ხორავა ბ, დრანდის საეპისკოპოსო, მართლმადიდებლობა. აფხაზეთში და ეროვნული თვითიდებითიფიკაციის საკითხები, ობ., 2005
11. ჯოჯუა დ, კოსოვოს პრეცენდენტი, ჟურნ. “საისტორიო ძიებანი”, №8-9, ობ., 2006
12. Воронов Ю.Н,В Мире архитектурных Памятников Абхазии, М.,1978
13. Скурат К.Е. История поместных Православных Церквей,М., 1994,т,1
14. Batakovic D, Kosovo and Metohia (ინტერნეტ ვერსია)
15. Bogdanovic D, The Kosovo Question: Past and Present (ინტერნეტ ვერსია)
16. Cirkovic S, Rises and Falls of the Serbian Statehood in Middleages. (ინტერნეტ ვერსია)

17. Dragnic A, Todorovic S, The Saga of Kosovo (ინტერ-ნები ვერსია)
18. Non-Albanian Elements within the Fabric of Albanian People(ინტერნები ვერსია)
19. Patriachate of Pec(ინტერნები ვერსია)
20. Patriachate of Serbia(ინტერნები ვერსია)
21. Popovic R, Serbian church in History(ინტერნები ვერსია)
22. Theolojikal V, Kosovo in the History of Serbian Church(ინტერნები ვერსია)
23. The Spiritual and Cultural heritage of Kosovo and Metofia. (ინტერნები ვერსია)

პერიოდული გამოცემები:

24. გამ. “მადლი” თბ. 1996 №6(111)
25. გამ. “მრევლი” თბ. 1999 №1
26. გამ. “საპატრიარქოს უწყებანი” თბ. 1999 №18
27. გამ. “საპატრიარქოს უწყებანი” თბ. 2000 №11
28. გამ. “საპატრიარქოს უწყებანი” თბ. 2008 №8
29. ქურნ. “გუმბათი” თბ. 2007 №4
30. ქურნ. “კარიბჭე” თბ. 2006 №4 (39)
31. ქურნ. “კარიბჭე” თბ. 2006 №8 (43)

32. ЈУРБ. “Карактеристика” тб. 2008 №9 (96)
33. ЈУРБ. “Хвасаро гаџијеса” тб. 1995 №1

официјалније  
свеопшто

34. [www.rastko.org.yu/kosovo/pecarsija/istorijat/img/jpg](http://www.rastko.org.yu/kosovo/pecarsija/istorijat/img/jpg)
35. [http://en.wikipedia.org/wiki/Patriarch of Serbia](http://en.wikipedia.org/wiki/Patriarch_of_Serbia)
36. <http://www.serbianorthodoxchurch.net/historyofchurch>
37. <http://lamar.coostate.edu/~grjan/kosovohistory.html>
38. <http://www.rastko.org.yu/kosovo/pecarsija/istorijat/index-eng.html>
39. <http://www.kosovo.net/kosovo1.html>
40. <http://www.kosovo.net/default3.html>
41. <http://religion.ng.ru/facts/2004-04-07/1-albania.html>

**Eter Bokelavadze**

Ivane Javakhishvili

Tbilisi State University,

Faculty of humanities,

specialization –history

IV year

## **Temperal and historical fountations's falsification in Kosovo and in Abkhazia (historical paralels)**

### **Summary**

In this article is discussed very important question in modern historiographie- temperal and historical fountations's falsification and historical parallels in Kosovo and in Abkhazia, the questions learn's actuality and importance . The basic of this researches are modern theoretical and methodological approaches and scientific researches.

ცირა შალოშვილი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტი  
I კურსი

**“დიდი სჯულისპანონისა“ და  
საქართველოს სისხლისა და სამოქალაქო  
კოდექსების შედარებითი ანალიზი  
(ქონებრივი—საკუთრების წინააღმდეგ მიმართული  
დანაშაულებები)**

საქართველო ერთ—ერთი ძირძველი ქრისტიანული ქვეყანაა. ჩვენს სამშობლოში ქრისტიანობას მისი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში, დიდი გავლენა აქვს ცხოვრების ყველა სფეროზე, მათ შორის სამართალზეც. საუკუნეთა მანილზე ქვეყანაში იქმნებოდა და ითარგმნებოდა სამართლის საეკლესიო ძეგლები და ეჭვგარეშეა, რომ მოქმედებდა კიდეც; ამჯერად თქვენს ყურადღებას მივაძყრობთ “დიდ სკულისკანონს“ და კუცდებით, აღმოგაჩინოთ მსგავსება თუ განსხვავება იმდროინდელ რეალობასა და თანამედროვეობას შორის. აღნიშნული ძეგლი მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის ძირითადი კანონიკური კოდექსია და საბოლოოდ ჩამოყალიბდა IX საუკუნის უკანასკნელ მეოხედში 14-ტიტულოვანი ნომოკანონის ე.წ. 883 წლის რედაქციის სახით. კონსტანტინოპოლის 980 წლის საკლესიო კრებაზე კი ზოგადქრისტიანული სახელ-

მძღვანელოს სახე მიიღო.<sup>1</sup> ქეგლი ქართულად თარგმნა არსებ იყალთოელმა XI–XII საუკუნეების მიჯნაზე. ბერძნულად “სჯულისკანონი” არის ნომოკანონი, რაც ნიშნავს კანონს, წესს; ნომოკანონები ეწოდებოდა მართლმადიდებლური საეკლესიო სამართლის კრებულებს, რომლებიც შეიცავენ ეკლესიის შინაგანაწესს, აგრეთვე, ყოფა–ცხოვრებისა და საოჯახო სამართლის დებულებებს.<sup>2</sup> “დიდი სჯულისკანონი” პირობითად იყოფა ოთხ ნაწილად: “მოციქულთა”, “მსოფლიო საეკლესო კრებების კანონები”, “ადგილობრივი საეკლესიო კანონები”, “ადგილობრივ საეკლესიო მოღვაწეთა ეპისტოლარული კანონმდებლობა”.

უპრიანი იქნება, ნაშრომში რამდენიმე სიტყვით დავახასიათოთ საქართველოს სისხლისა და სამოქალაქო კოდექსებიც. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 26 დეკემბრის განკარგულებით, დაფუძნდა სამართლებრივი რეფორმის სახელწიფო კომისია, რომელმაც მიზნად დაისახა სამართლის ძირითად დარგებში ფუნდამენტური საკანონმდებლო აქტების – კოდექსების – მომზადება. ქართული სისხლის სამართლის კოდექსის შემმუშავებელი დარგობრივი კომისია თავდაუზოგავად შრომობდა, რის შედეგადაც შეიქმნა კოდექსი, რომელიც 1999 წლის 22 ივნისს მიიღო სა-

<sup>1</sup> “დიდი სჯულისკანონი”, ქ. გაბიძაშვილი, რედ. თბ., 1975. გვ 5

<sup>2</sup> ქ. პეტრიძე, “ძველი ქართული მწერლობის ისტორია”, თბ., 1957, ტომი I, გვ 531

ქართველოს პარლამენტი, ხოლო ძალაში შევიდა 2000 წლის 1-ელ იგნისს. უნდა აღინიშნოს, რომ ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების შესატრყვისი სისხლის სამართლის კანონმდებლობის შექმნამ, არსებული სამართლებრივი ტრადიციებისა და დასავლურ სამართლთან ჰარმონიზაციის გათვალისწინებით, დიდი გარჯა და ძალისხმევა მოითხოვა. კანონშემოქმედთა აზრით, სისხლის სამართლის კოდექსი გარდამავალი პერიოდის საკანონმდებლო აქტია, რომელიც ამოქმედების შემდეგ თანდათან იხვეწება, თუმცა არ ეგების იმის შეუმჩნევლობა, რომ ის პირველი სისხლის სამართლის კოდექსია, რომელშიც ქართველ კანონშემოქმედთა დამოუკიდებელი საკანონმდებლო ნება გამჟღავნდა.<sup>3</sup>

რაც შეეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსს, იგი 1997 წლის 25 ნოემბერს ამოქმედდა. მისი მიღება უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტია ქვეყნის კანონშემოქმედების განვითარებაში. ახალი კოდექსით, ადმინისტრაციულ – მბრძანებლური ეკონომიკის დომინირებული მდგომარეობის ნაცვლად, წესრიგდება ცივილიზებული სამართლებრივი ურთიერთობანი. სამოქალაქო

---

<sup>3</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, გამომცემლობა “სამართალი”, 2007, გვ. 3

კოდექსი ყოველდღიურობის მომწესრიგებელ ნორმებს ყველასა და თითოეულს ეხება.<sup>4</sup>

როგორც ნაშრომის სათაურში აღინიშნა, განვიხილავთ ქონებრივ – საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან დაკავშირებულ მუხლებს “დიდი სჯულისკანონსა“ და ახალ კანონმდებლობაში. დასაწყისისათვის უპრიანი იქნება, მოვახდინოთ ქონებისა და საკუთრების ცნებების დეფინიცია: “ქონება, ამ კოდექსის მიხედვით, არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით, და არ ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს, – ამბობს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლი.<sup>5</sup> “დიდი სჯული-კანონში“ არ არის საუბარი ქონების ცნებაზე; ძველი ქართული სამართლის მკვლევარები ქონების შემდეგანაირ განმარტებას იძლევიან: ტერმინი “საქონელი“ სხვადასხვა მნიშვნელობისა და შინაარსის მატარებელი იყო. ძველ ეპოქაში “საქონელი“ ნიშნავდა როგორც სულიერ, ისე უსულო სიკეთეს, დირებულებას. ძალზე იშ-

<sup>4</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი–გამომცემლობა “სამართალი“, 2002, წიგნი პირველი, გვ 7

<sup>5</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი– გამომცემლობა “ბონა კაუზა“, თბ, 1007. გვ 47

ვიათად, მაგრამ იგი ზოგადად ქონების აღმნიშვნელი ტერმინიცაა, – ამბობს ვალერიან მეტრეველი,<sup>6</sup> თუმცა არ აკონკრეტებს ზუსტ ტერმინს, რომელიც ამ ცნებას გამოხატავდა. რაც შეეხება საკუთრებას, საქართველოს სამოქალაქო კოდედექსის 170-ე მუხლის მიხედვით: “მე-საკუთრებ შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერ-ძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავი-სუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივ-თით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარ-გებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ იღახება მე-ზობლებისა ან სხვა მესამე პირთა უფლებები ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბორო-ტად გამოყენებას.”<sup>7</sup> ივ. ჯავახიშვილის აზრით, პირადი საკუთრების აღმნიშვნელი ტერმინი იყო “საზეპურო”. იგი წარჩინებულ პირთა საკუთრების აღსანიშნავად გა-მოიყენებოდა, თუმცა ეს არ არის ამ უფლების ზოგადი ცნების გამომხატველი ტერმინი. “საკუთრება”, რო-გორც ასეთი, პირველად V საუკუნეში გვხვდება “შუ-შანიკის წამებაში”. ვ. მეტრეველი სხვადასახვა სამარ-თლის ძეგლების დაკვირვების შედეგად საკუთრების ცნების ასეთ დეფინიციას ახდენს: “ქართულ სამარ-

<sup>6</sup> ვ. მეტრეველი—საქართველოს სახელმწიფოსა და სამარ-თლის ისტორია— გამ. „მერიდიანი“2003, გვ307

<sup>7</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი— გამომცემლობა “ბო-ნა კაუზა“, თბ, 1007. გვ51

თალში საკუთრება განსაზღვრულია, როგორც სრული და განსაკუთრებული ბატონობა სხვადასხვა სახის სიკეთებები, ანუ საკუთრების უფლების ობიექტებზე<sup>8</sup>.

ქართული თანამედროვე სამართალი გამოყოფს ქონებრივი – საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების რამდენიმე სახეს: ქურდობა, ყაჩაღობა, ძარცვა, თაღლითობა, გამოძალვა... საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მიხედვით: “ქურდობა, ესე იგი სხვისი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, –

– ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ერთოდან სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.”<sup>9</sup>

აქვე აღვნიშნავთ, რომ სისხლის სამართალში ყოველი დანაშაული, რომელიც წადენილია განმეორებით ან დამამდიმებელ გარემოებებში, ამკაცრებს სასჯელს.

“დიდი სჯულისკანონში” ვკითხულობთ: “თუ ქურდმა თვითონ მოინანიოს და თავი თვითონ გაამჟღავნოს, მხოლოდ ერთი წელი აეკრძალოს მას სიწ-

<sup>8</sup> ვ. მეტრეველი—საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია— გამ. „მერიდიანი“2003, გვ309

<sup>9</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, გამომცემლობა “სამართალი“, 2007. გვ 124

მინდეთა ზიარება“<sup>10</sup> – ბასილი დიდი, მუხლი 61. – ძეგლი ერთმანეთისაგან მიჯნაგს საფლავთა და მკლებ-სიათა გაქურდვას და უფრო მკაცრ სასჯელს აწესებს: “საფლავთა მძარცველება განიყოფება შესანდობლად და შეუნდობლად. თუ ვინმე ცხედარს მოერიდოს, და-მარხული სხეული ხელუხლებლად დატოვოს და და-მარხოს ისევ... თუმცა საქებელი არც ეს იყოს, მაგრამ ჩვეულებას ეს მიუჩნევია შესანდობლად... ხოლო გაჩ-ხრევა, მტვრად და მიწადქცეული ხორცისა და ძვლე-ბის აქეთ–იქით მიმოყრა... უნდა დაისაჯოს იმ კანონის მიხედვით, რომლითაც განაკანონებენ მარტივ სიძვას.“<sup>11</sup> ქართული სისხლის სამართლის კოდექსი არ განარ-ჩებს ერთმანეთისაგან საფლავების, ტაძრებისა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებსა თუ კერძო საკუთრბაში მომხდარ ქურდობას. ალბათ, იმიტომ, რომ თვითონ ფაქტი უპვე მართლსაწინააღმდეგო და დასჯადია; პა-სუხისმგებლობის დამძიმება დამნაშავის ინტერესებს ეწინააღმდეგება; . თანამედროვე კანონმდებლობისა და სასჯელალსრულების სისტემაში კი ერთ–ერთი ყველა-ზე აქტუალური დამნაშავეთა და პატიმართა უფლებე-ბია. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში, ხშირად, მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის ადგილს.

<sup>10</sup> საქართველოს ეკლესიის კალენდარი – საპატრიარ-ქოს გამოცემა, 1987, გვ. 418

<sup>11</sup> იქვე: 441

დიდი სჯულისკანონში“ ვგითხულობთ: “სიწმინდეთა მკრეხელობა, საექლესიო ნივთების მიტაცება, ძველი აღთქმის მიხედვით, ღირსია, არანაკლები სასჯელისა, ვიდრე მკვლელობა, რადგან კაცისმკვლელიცა და ლვთისათვის შეწირული ქონების მომხვეჭელიც ჩაქოლვით ისჯება”<sup>12</sup>, – ბასილი დიდი.

სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით ვახტანგის სამართლის წიგნი ახდენს დიფერენცირებას ქურდობისა, იმის მიხედვით, თუ სად არის ჩადენილი იგი. 155-ე მუხლი საყდრის გატეხვას, ჯვრისა და ხატის დამტვრევას, ხელმწიფის სალაროს გატეხვას ჩვეულებრივ ქურდობაზე მძიმე დანაშაულად მიიჩნევს, თუმცა სასჯელის გადაწყვეტას მეფესა და კათალიკოსს მიანდობს.<sup>13</sup> ამ მუხლით ირკვევა, რომ ძველად მსგავს დანაშაულებს საერო ხასიათის ძეგლებშიც ენიჭებოდა მნიშვნელობა, რაც, ალბათ, საერო და საულიერო ხელისუფლების ერთიანობაზე მიანიშნებს; ეს ტენდენცია, საუბედუროდ, დღეს აღარ არის გამოკვეთილი. “დიდი სჯულისკანონში“ საკმაოდ ხანგრძლივი ძიების შედეგადაც ვერსად წავაწყდით სხვა ქონებრივ დანაშაულებს, თუმცა დღევანდელობაში ამ ქმედებათა სტატისტიკა საკმაოდ დიდ რიცხვებს ხატავს,

<sup>12</sup> ოქტ: 441

<sup>13</sup> პ.მეტრეველი “საქართველოს სახელმწიგოსა და სამართლის ისტორია”, გამ “მერიდიანი” 2003, გვ

რის გამოც მივიჩნევთ, რომ საჭიროა თითოეული გან-  
ვიხილოთ ცალ—ცალკე. აქეე დაგძენთ დანანებით, რომ,  
როგორც ჩანს, ეს ქმედებები დღევანდელობაში გახდა  
ასეთი “აქტუალური”, “დიდი სჯულისკანონის” შემ-  
ქმნელთ კი საჭიროდ არ ჩათვალეს მისი მოხსენიება.  
შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იმ ეპოქაში საერთოდ არ  
ხდებოდა მსგავსი დანაშაულები, ან იმდენად უმნიშვნე-  
ლო რაოდენობით, რომ ძეგლში არ ასახულა. ახლა კი  
განვიხილოთ თითოეული: “ძარცვა, ესე იგი, სხვისი  
მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღ-  
მდეგო მისაკუთრების მიზნით, —

—ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით  
ორიდან სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით  
ვადით სამადან ხუთ წლამდე, — ვკითხულობთ სის-  
ხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლში. კოდექსის  
179-ე მუხლით ყაჩადობა განიმარტება, როგორც ქმედე-  
ბა სხვისი მოძრავი ნივთის მართსაწინააღმდეგო მიტა-  
ცების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯან-  
მრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძა-  
ლადობის გამოყენების მუქარით.

თაღლითობაზე საუბარია 180-ე მუხლში. თაღლი-  
თობა ეწოდება სხვისი ნივთის ან ქონებრივი სიკეთის  
მოტყუებით მიღებას, ხოლო გამოძალვა (181-ე მუხლი)  
ეს არის პირისათვის ნივთის, ქონებრივი სიკეთის, ან  
ქონებით სარგებლობის მოთხოვნა, რასაც თან ახლავს

დაზარალებულის ან მისი ახლობლების ლიკვიდაციის და მათი ჯამრთლელობის დაზიანების ან რამე სხვა მუქარა.<sup>14</sup> აქ კიდევ ერთხელ გავავლებთ პარალელს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთან; ამჯერად ყაჩაღობასთან დაკავშირებით?... ღეღდაკაცს რომ ზედ შებმული ან კიდებული იარაღი ან თმა, ან თმის სატანი, რაც რამ ფერი სამკაული ზედ შეხსნას ან შეაჭრას, მონაპარიც შვიდეულად მისცეს და სისხლის ნახევარიცა”<sup>15</sup> – აქედან ვარკვევთ, რომ ამ ქმედებას ძეგლი ლამის მკვლელობამდე ამძიმებს. დასაფიქრებელია ის ფაქტიც, რატომ არის მოხსენიებული ქმედება მხოლოდ საერთ ხასიათის სამართლის წყაროებში. რთული დასაჯერებელია ჩვენთვის რომ “დიდი სჯულიკანონის” შექმნის პერიოდში საერთოდ არ გვხვდებოდა ქმედება და მხოლოდ მოგვიანებით იჩინა თავი.

გველი ქართული სამართალი მკაცრად ებრძოდა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს. დაწესებული იყო შემდეგნაირი სასჯელი – ნაპარავის ჩამორთმევა და პატრონისათვის დაბრუნება. გარდა ამისა, პარვისათვის ნაქურდალის შვიდმაგი ღირებულება უნდა გადაეხადა ქურდს. ივ. ჯავახიშვილის აზრით,

<sup>14</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, გამომცემლბა “სამართალი”, 2007. გვ. 124–127

<sup>15</sup> პ.მეტრეველი “საქართველოს სახელმწიგოსა და სამართლის ისტორია”, გამ “მერიდიანი” 2003, გვ. 303

ასეთი სასჯელი პირველად ჩადენილი დანაშაულისათვის იყო დაწესებული, ხოლო თუ ქურდობა მეორედ ან წარმდებობით (მიღრეკილებით) იყო ჩადენილი, იგი უფრო მკაცრად ისჯებოდა.<sup>16</sup> დასანანია, რომ აღნიშნული დანაშაულები არ არის მოხსენიებული “დიდი სჯულისკანონში”, რადგან საინტერესო იქნებოდა სასულიერო პირების მიერ ქმედებათა დეფინიცია და დაკვაფიცირება, მათი შედარება თანამედროვეობასთან. აღნიშნული საკითხის კვლევას შევეცადეთ იმიტომ, რომ გაგვერიკვია მიზეზი, თუ რატომ არ არის მოხსენიებული ქონებრივი დანაშაულების ბევრი სახე ძველ სასულიერო კანონმდებლობაში. მიუხედავად ჩვენ მიერ წამოყენებული რამდენიმე ვარაუდისა, დაზუსტებით ვერაფერს ვიტყვით. აგრეთვე საინტერესოა ისიც, თუ რატომ არ არის დღევანდელ კანონმდებლობაში დიუგრენცირებული ჩვეულებრივი ქურდობა და საფლავებისა და ტაძრების გაქურდვა. ეს ფაქტი გარკვეულწილად იცავს სისხლის სამართლის საერთაშორისო “ჰუმანიზმის პრინციპს” – რომელიც არის ორმაგი გაგების; ერთი მხრივ ეს პრინციპი გამოიყენება იმ პირების მიმართ, რომელთაც პირველად და არც თუ ისე მძიმე დანაშაული ჩაიდინეს, მათ წინააღმდეგ იყენებენ ჰუმანურ ღონისძიებებს. ჰუმანიზმის მეორე არც თუ უმნიშ-

<sup>16</sup> იქვე : გვ 272

ვნელო მხარეს წარმოადგენს – საზოგადოების და მისი წევრების დაცვა დანაშაულისაგან. ამ შემთხვევაში პუმანიზმი გამოიხატება დაუნდობელ ბრძოლაში იმ პირების მიმართ, რომელთაც მრავალჯერ ჩაიდინეს მძიმე დანაშაული. პუმანიზმის პრინციპის პირველ შემთხვევაში, ალბათ, ისიც მოიაზრება, რომ დანაშაულის სიმძიმის განსაზღვრისას მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს მისი ჩადენის ადგილს. ამას მოწმობს ისიც, რომ სამართლიანობის პრინციპის მიხედვით სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა უნდა ემყარებოდეს მხოლოდ ობიექტურ, დამაჯერებელ და კანონისადმი ზუსტად შესატყვის მონაცემებს. ობიექტურობაზე საუბარი შეუძლებელი იქნება თუ პირს სასჯელს დავუმძიმებთ დანაშაულის ადგილის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ზეობრივი თუ ქრისტიანული, ამ შემთხვევაში – სუბიექტური – პრინციპები, აბსოლუტურად სხვას გვკარნახობენ.

დანანებით დავძენთ, რომ თანამედროვე კანონმდებლობაში აღმოფხვრილია “დიდ სჯულისკანონში” მოხსენიებული სასჯელი – უზიარებლობა. რაც, საუბედუროდ, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო გვაფიქრებინებს, რომ საერო და სასულიერო ხელისუფლება გამიჯნულია ერთმანეთისაგან, ან უბრალოდ, მათი ერთიანობის დამადასტურებელი ფაქტები არ არის ასახული კანონმდებლობაში. თუმცა აქ ჩნდება კიდევ ერთი კითხვა,

რომელზეც პასუხს ვერ ვპოულობთ და ამას დროს მი-  
განდობთ: გაამართლებს კი დღეს ეს სასჯელი, ად-  
გვეთს დანაშაულს?!

### გამოყენებული ლიტერატურა:

- პ. კეკელიძე— “ძველი ქართული მწერლობის ის-  
ტორია”— თბ., 1957
- ე. გაბიძაშვილი— “დიდი სჯულისკანონი”, რედ.,  
1975
- “საქართველოს ეკლესიის კალენდარი”— საპატ-  
რიარქოს გამომცემლობა, 1987
- “საქართველოს სისხლის სამართლის კოდექ-  
სი”—გამ. “სამართალი”, 2007
- სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, სახელ-  
მძღვანელო, ავტორთა კოლეგია: ა. გაბიანი, ნ.  
გვენეტაძე, ი. დვალიძე, ნ. თოდუა, მგ. მამულაშ-  
ვილი, გ. ნაჭელია, გ. ტყეშელაიძე, გ. ხუროშვი-  
ლი. გამ. “მერიდიანი“, 2007
- “საქართველოს სამოქალაქო კოდექსი”— გამ.  
“ბონა კაუზა“, 2007
- “საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტა-  
რი”— I წიგნი. გამ. “სამართალი“ 2002

- გ. მეტრეველი – “საქართველოს სახელმწიფოსა  
და სამართლის ისტორია” – გამ, “მერიდიანი” –  
2003
- იგ. სურგულაძე – “ქართული სამართლის ისტო-  
რიის წყაროები”, 2002

**Cira Shaloshvili**

Ivane Javakhishvili  
Tbilisi State University,  
Faculty of law, first year

**“Didi sjuliskanoni” comparative analisis of Georgian  
Civil and criminal law. (Crime against the property)**

**S u m m a r y**

Comperative analysis about crimiy against the propersty  
beatween Church Low, “Didi sjuliskanoni” and conterprorrary  
Georgian civil low is discuced in this work the similarities and  
differenes are marked beatween the old and todays Georgian low.  
In several cases paralel is given with “book of Low” by King  
Vakhtang the VI.

გიორგი მეტრეველი  
თბილისის სასულიერო აკადემია,  
ღვთისმეტყველების ფაკულტეტი  
II კურსი

**საქართველოს საპატიო აღგილის  
ისტორიისათვის მსოფლიო  
მართლადიდებლურ დიატის ში**

დიპტიხი არის მართლმადიდებლური ღვთისმსახურების დროს ადგილობრივ ეკლესიათა მოხსენების რიგითობა, ანუ მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიათა მოხსენიების რიგი. თავდაპირველი დიპტიხის შექმნის მიზეზი აღმ. რომის იმპერიაში წარმოიქმნა. ეკლესიათა რიგი იმდენად დიდი იყო, რომ იმპერიის ერთიანობისა და დაუშლელობის საჭიროებამ მოითხოვა განსაზღვრულიყო ეკლესიათა რიგითობა და დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ. ადსანიშნავია, რომ სარწმუნოებრივთან ერთად ეკლესიათა მიმდევრობას და ამათუ იმ ეკლესიების ადგილს დიტიხში განსაზღვრავდა კონკრეტული კათედრის ან მისი სახელმწიფოს პოლიტური და ეკონომიკური სიძლიერე.

დიპტიხის შედგენას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა IV-V საუკუნის შემდეგ, კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსის ადგილის განსაზღვრისას (კონსტანტინეპოლისა და ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე) (6:275). ტრულის კრებამ კი განსაზღვრა V-VI სს-ში

არსებული ურთიერთდამოკიდებულება. იმპერიის ეპლე-სიათა შორის პირველი იყ რომის საყდარი, მეორე კონ-სტანტინეპოლის, მესამე ალექსანდრიის, მეოთხე ანტი-ოქიიმ მეხუთე კი იერუსალიმისა.

ბაგრატ III-ის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების გაერთიანებას საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ორი ადგილობრივი ეპლესის, “აფხაზეთისა“ და „მცხეთის“ საკათალიკოსოს გაერთიანება მოჰყვა. და-არსდა ერთიანი ქართული ეპლესია საქართველოს სა-პატრიარქოს სახელწოდებით, დაისვა საკითხი საქარ-თველოს საპატრიარქოს ადგილისა მსოფლიო მარ-თლმადიდებლურ დიპტიხში.

ჩვენს მიერ ზემოთმოყვანილ ქალკედონისა და ტრუ-ლის მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებებში დიპტიხის შესახებ, არაფერია ნათქვამი საქართველოს კათოლიკოსზე, რადგან ეს კრებები განსაზღვრავდნენ მხოლოდ იმპერიის შიგნით შემავალი ავტოკეფალური ეპლესიების მოხსენიების რიგითობას. ასეთ დროს იბა-დება კითხვა, თუ როთი ვიხელმძღვანელოთ საქართვე-ლოს მამამთავრის ადგილის ძიებაში.

სანამ უშუალოდ ადგილის ძიებას შევუდგებოდეთ, მოგახსენებთ თუ რომელ ადგილზე თვლიდნენ თავს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები და როგორი დიპტიხით სარგებლობდნენ ისინი.

საქართველოს ეკლესია, როგორც ყოველთვის ერთგული დამცველი მსოფლი საეკლესიო დადგენილებებისა, აღიარებდა ქალკედონისა და ტრულის კრებების დადგენილებებს, რომლითაც მსოფლიოს პირველი ხუთი ეკლესიის დიპტიხი განსაზღვრული იყო. თავის ადგილს კი ქართველი პატრიარქები ყოველთვის მათ შემდეგ თვლიდნენ.

1057 წელს მეფე ბაგრატ IV-ის შეწირულობის სიგელს შიომდვიმისადმი აქვს ეკლესიის მეთაურის მინაწერი, რომლის თანახმადაც ის თავს აყენებს მექქვე ადგილზე. ვინც ეს სიგელი დაარღვიოსო წერს პატრიარქი „კრულმცა არს. . . ხუთთა პატრიარქთა ჯუარითა. . . ჩემ გლახაკისა ჯუარითა“ (3;5-7)

1259 წლის შეწირულობის დაწერილს რკონის მონასტრისადმი ამტკიცებს საქართველოს ეკლესიის მეთაური “ჩუენცა, გლახაკნი, ქრისტეს მიერ შემდგომად ხუთთა პატრიარქთა... სუეტის ცხოველის მაეჭუსისა პატრიაქს და ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოს კათალიკოზი ნიკოლოზ ვამტკიცებ და წარგხსწერ...“ ზემოთ მოყვანილი ამონარიდებიდან ჩანს, რომ ქართველი პატრიარქები თავს მექქვე ადგილზე თვლიდნენ.

ცნობილა, რომ შუა საუკუნეების ისტორიის დასასრული ბიზანტიის დაცემის თარიღით არის განსაზღვრული, რის გამოც იტალიის ქალაქებში ფერარასა და ფლორენციაში 1437-39 წწ ჩატარდა გახმაურებელი

უნიატური კრება, რომელიც მიზნად ისახავდა დასაგლეთისა და აღმოსაგლეთის ეპლეისების გაერთიანებას. ამ გაერთიანების სანაცვლოდ ბიზანტიას ევროპისაგან არსებობის შენარჩუნებისათვის აუცილებელი დახმარების იმედი ჰქონდა.

მსოფლიო საეკლესიო კრებებმა XV ს. პირველ ნახევარში თავისი განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწიეს. ისი საერთაშორისო კანონმდებლობის ორგანოებს წარმოადგენდენ და განიხილავდნენ არამარტო სასულიერო, არამედ საერო და პოლიტიკურ საკითხებსაც (4;10)

ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების ჩვენამდე მოღწეულ წყაროებს წარმოადგენს აქტები, რომლებიც კათოლიკეთა და პროლათინურად განწყობილი ბერძნული დელეგაციის ნაწილის თვალსაზრისს გადმოგვცემს. მესამე წყაროს წარმოადგენს დიაკნისა და დიდი ეკლესიარხის სილვესტრის მემუარები, რომლებიც მან 1444 წ. ახლო ხანებში დაწერა. ლათინურ ვერსიას პირობითად „Acta Latina“-ს უწოდებენ, ხოლო ბერძნულს კი „Acta Graeca“-ს. ეს წყაროები განხილული აქვს ოლეგ შუშუნაძეს ნაშრომში „საქართველოს წარმომადგენელთა მონაწილეობა 1437-39 წლების ფერარა-ფლორენციის საეკლესო კრებაზე“.

სანამ უშუალოდ ჩვენთვის საინტერესო საკითხს შევუდგებოდეთ, გავიხსენოთ საქართველოს სამეფოსა და

მისი ეკლესიის მაშინდელი მდგომარეობა. ისეთ დროს, როცა ბიზანტიის იმპერია არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა საქართველოს სათავეში დიდად წოდებული მეფე ალექსანდრე იდგა. იგი ცდილობდა თვამურ ლენგის შემოსევებისაგან დასუსტებული საქართველოს მაქსიმალურ გაძლიერებას და მისი ეკლესიის უდიდესი მზრუნველი იყო. ფაქტებიდან ჩანს, რომ თუ ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ გაძლიერებას ექცევდა უფრო დიდი უურადღება, იგი ეკლესიის გაძლიერებსპეც იყო მიმართული. ამას ადასტურებს დიაკვან სიროპულოსის ცნობები. მემუარებიდან ვგებულობთ, რომ კონსტანტინეპოლის პატრიარქს სურვილი ჰქონდა კრების კონსტანტინეპოლში ჩატარებისა, რისთვისაც ის თანხების მიღებას რუსეთის შემდეგ საქართველოსა და სერბეთის არქიეპისკოპოსებისაგან იმედოვნებდა. იგივე მემუარებიდან ვგებულობთ ბერძენთა აზრს საქართველოს პატრიარქზე „მას უხვად აქვს სიმდიდრე, მასთან არქაუკლი მივიდა და მისგან მხოლოდ ოცი ათასი მიიღო... იგი მთელი ადმოსვლეთის პატრიარქია...“

საქართველოს სამეფოსა და ეკლესიის ასეთი პოლიტიკურ-ეკონომიკური სიძლიერის ფონზე არ უნდა იყოს გასაკვირი ეკლესიისათვის კუთვნილი მეექსე ადგილი ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზე, რომელიც გადმოცემულია „Acta Latina“-ში. მოგვივავს ნაწყვეტი

აქტებიდან: “პატრიარქის შემდეგ ოთხ სკამზე განლაგებული იყვნენ ჰერაკლიის არქიეპისკოპოსი (რომელსაც ალექსანდრიის პატრიარქის კანონიერი მანდატი ჰქონდა და მისი ადგილი ეკავა), ანტიოქიის პატრიარქის მიერ გამოგზავნილი ეფესოს არქიეპისკოპოსი, იერუსალიმის პატრიარქის წარმომადგენელი – მენეზის არქიეპისკოპოსი და იბერიის მეფის წარმომადგებელი-იბერიის მიტროპოლიტი” (5:214). მაშ ასე, საქართველოს ეპლესის წარმომადგენელს ფერარა-ფლორენციის საეპლესიო კრებაზე ეკავა მართლმადიდებელთა რიგში მეხუთე, ხოლო ზოგადად ეკლესათა დიპტიხში მეექვსე ადგილი.

ამ კრებით ჩვენ შეგვიძლია დაგასკვნათ, რომ შეასაუკუნეებში საქართველოს ეკლესიას თავისი სარწმუნოებრივი და პოლიტიკურ-ეკონომიკური სიძლიერის გამო მსოფლიო დიპტიხში მეექვსე ადგილი ეკავა.

1453 წელს დაუცა ბიზანტიის იმპერია. 1490 წლის აქტით ფაქტობრივად გაფორმდა საქართველოს დაშლა სამეფო სამთავროებად, ამიერიდან საქართველოს ეპლესიას საერთაშორისო ასპარეზზე ვეღარ უმაგრებდა ზურგს ძლიერი ქართული სახელმწიფო და ასეთ ვითარებაში მსოფლიოში გამოჩნდა ახალი ძალა რომელიც თავს „მესამე რომს“ უწოდებდა და თავს ბიზანტიის მემკვდრედ აცხადებდა. XVI-ს-ში რუსეთმა მანამდე არნახულ სიძლიერეს მიაღწია. მეფედ ნაკურთხმა ივანე

IV მრისხანებ (1553-1584) მთელი ეპოქა შექმნა რუსეთის ისტორიაში და იგი ძლიერ ცენტრალურ სამეფოდ ჩამოაყალიბდა. 1588 წელს მოსკოვში ჩავიდა კონსტანტინე პოლის პატრიარქი იერემია, რომელთანაც მოლაპარაკების შემდეგ, 1598 წელს მიტროპოლიტი იობი რუსეთის პატრიარქიად იკურთხა.

რუსეთის საპატრიარქოს დაარსებით სიტუაცია იცვლება დიპტიხშიც. ბიზანტიის დაცემით აღმოსავლური ქრისტიანობა ძლიერ ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა. რუსეთმა კი თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერით მოახერხა, რომ მსოფლო პატრიარქებს და მათ შორის საქართველოსაც, იგი მეტე ადგილზე ეღიარებინათ.

ამასვე ადასტურებს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I-იც, როცა მას რუსეთში ჩასულს სინოდის წევრების წინაშე მოუწია თავისი მართლმადიდებლობის დაცვა „რასაცა აღიარებს და დაამტკიცებს, შეიწყნარებს და მიიღებს დღეს წმინდა ეკლესია აღმოსავლეთისა, რომელ არს კონსტანტინეპოლისა, ალექსანდრიისა, ანტიოქიისაა და იერუსალიმისა და ყოვლისა რუსეთისა მეცა აღვიარებ ...“ ჩვენს მიერ მოყვანილი ეს დოკუმენტი ფაქტობრივად ასახავს მართლმადიდებლურ ეკლესიათა დიპტიხს შეა საუკუნეების შემდეგ. 1881 წელს, ანტონ II-ის რუსეთში გაწვევით მოიხსნა საქართველოს სა-

პატრიარქოს ადგილის საკითხი მართლმადიდებლურ ეკლესიათა რიგში.

დასასრულს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეა საუკუნე-ებში როცა საქართველო თავისი განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა და როდესაც საქალველოს საპატრიარქო ძლიერი ქვეყნის, ძლიერ ეკლესიას წარმოადგენდა, მას მოწინავე ადგილი ეკავა მსოფლიო ეკლესიათა რიგში. მისი ადგილი განისაზღვრებოდა მართლმადიდებლურ დიპტიხში მესუთე, ხოლო მსოფლიო ეკლესიათა რიგში მეექვესე ადგილით. დაშლილი საქართველოს არსებობის პერიოდში საქართველოს ეკლესიამ და მისმა საჭეთმცყრობელმა პუთინილი ადგილი რუსეთს დაუთმო და თვითონ ერთი ადგილით უკან გადაინაცვლა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტომი II, თბ. 1998.
2. მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული, რუსეთის ისტორია (უძველესი დროიდან 1801 წლამდე), თბ. 2004.
3. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, თბ. 1965.

4. ოლებ ქუშუნაძე, საქართველოს წარმომადგენელთა მონაწილეობა 1437-39 წლების ფერარაფლორენციის საეკლესო კრებაზე.
5. ილია ტაბადუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში (XIII-XVIIს), თბ. 1984.
6. დიდი სჯულისკანონი, თბ. 1975.
7. მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტომი III, თბ. 1999.
8. ევსევი ნიკოლაძე, საქართველოს ეკლესიის ისტორია, ტფ. 1918.

სანდრო ნიკოლაიშვილი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
მაგისტრატურის I კურსი,  
სკოლიალობა-მსოფლიო ისტორია

## სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა ბა აღრე შუა საუკუნეებში

სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა შუა საუკუნეების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია. საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანი იყო მოქლი შუა საუკუნეების განმავლობაში და მას აქტუალურობა დღესაც არ დაუკარგავს.

ამ პრობლემის განხილვისას, აუცილებლად მიგვაჩინია შევეხოთ საერო და სასულიერო ხელისუფლების ურთიერთობის ერთმანეთისაგან კარდინალურად განსხვავებულ ორ მოდელს: აღმოსავლურ (ბიზანტიურ) და დასავლურ ქრისტიანულ მოდელებს. მეცნიერობა გარკვეული ნაწილი ქრისტიანულ სამყაროში არსებული ურთიერთობის ზემოაღნიშნული მოდელების იდენტიფიკაციისას იყენებენ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა “ცეზაროპაპიზმი” და “თეოკრატია”.

ცეზაროპაპიზმს შეიძლება მივაკუთვნოთ მმართველობის ისეთი ფორმა, როდესაც საერო ხელისუფალი, ხშირ შემთხვევაში იმპერატორი, გვევლინება უმაღლეს

ავტორიტეტად რელიგიის სფეროში და აცხადებს პრეტენზიას პაპობაზე, ანუ ის არის მეფე-მდგდელი [4,2].

თეოკრატია, მმართველობის ისეთი ფორმაა, როდესაც უმაღლესი სასულიერო ხელისუფალი (რომის პაპი) ახორციელებს პოლიტიკურ ძალაუფლებას და თავის ავტორიტეტს საერო საქმეებში მეფეზე ან იმპერატორზე მაღლა აყენებს. შესაძლებელია, ეს კონცეფცია არ არის სრულყოფილი და რთულია მათი ასეთი ფორმით აღმოსავლურ ან დასავლურ ქრისტიანული სამყაროსთვის მიკუთვნება. ამ საკითხზე დღესაც აზრობა სხვადასხვაობაა.

ზემოაღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენს იმ მიზეზების დადგენა, რომლებმაც განაპირობა საერო და სასულიერო ხელისუფლების ურთიერთობის თავისებურებების ჩამოყალიბება ბიზანტიის იმპერიასა და დასავლეთ ევროპაში.

IV საუკუნეში რომის იმპერიაში არსებული კრიზისი არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ცხოვრების ყველა სფეროში ვლინდება. მოსახლეობის დიდი ნაწილის რელიგიური გრძნობები აშკარა კრიზისს განიცდის. წარმართული კულტები ვეღარ აკმაყოფილებს ხალხის სულიერ მოთხოვნილებებს, კარგავს რა პირვანდელ მნიშვნელობას, ისინი ჩვეულებრივ ყოფითი კულტურის ნაწილები ხდება. რომის იმპერიაში აშკარად მძლავრობს აღმოსავლური პროვინციებიდან შემოსული კულ-

ტები და ფილოსოფიურ-მისტიკური იდეები, ხდება დათაებების სინკრეტიზაცია. ხშირ შემთხვევაში, მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის გაუგებარია ახალი ფილოსოფიურ-მისტიკური იდეები. ახალი რელიგია – ქრისტიანობა, თავისი საყოველთაო, გასაგები იდეებითა და მონოთეიზმის წყალობით სწრაფად კრცელდება მოსახლეობაში.

ახ. წ. IV საუკუნეში რომის იმპერიაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ წარმართული სახელმწიფოს ტრანსფორმაცია გამოიწვია, რაც გამოიხატა როგორც რელიგიურ, ასევე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში მიმდინარე მნიშვნელოვანი გარდაქმნებით. განსაკუთრებული ძვრები სახელმწიფო წყობილებასა და პოლიტიკურ ინსტიტუტებში შეიმჩნეოდა.

ოქტავიანე ავგუსტუსის რეფორმის შედეგად ჩამოყალიბდა იმპერატორის ტრადიციული კულტი, რომელმაც ოდნავ სახელვალილი ფორმით მრავალი საუკუნე იარსება, მათ შორის ქრისტიანულ პერიოდშიც. იმპერატორი ერთპიროვნეული მმართველი, უმაღლესი ქურუმი (pontifex maximus) და ღვთებაც გახდა. პარალელურად შეიზღუდა სენატის უფლებები და მისი მნიშვნელობა პოლიტიკურ ცხოვრებაში ფორმალური გახდა. იმპერიის აღმოსავლური პროვინციების მზარდმა პროგრესმა იმპერატორის ყურადღებისა და პოლიტიკუ-

რი ცენტრის ამ მიმართულებით გადატანა გამოიწვია. დიოკლეტიანე თავისი რეზიდენციისათვის უკეთ აღმოსავლეთს ირჩევს, ცვლის მმართველობის სისტემას და რაც მთავარია, იმპერატორის კულტის სრულიად ახლებურ, აღმოსავლურ მოდელს ქმნის. მმართველობის აღმოსავლური სისტემის მიმზიდველობა აშკარად თვალშისაცემი გახდა – იმპერატორის თაყვანისცემა სპარსულ სტილში ხორციელდება, სულ უფრო იკარგება ძველი რომაული ხასიათი და საბოლოოდ, იმპერატორი კიდევ უფრო განყენებულ პიროვნებად გვევლინება. ყოველივე ეს აშკარად წარმატებული აღმოჩნდა იმპერატორის ძლიერებისა და დიდების ხაზგასასმელად.

კონსტანტინე I-მა კარგად მოირგო და შეითვისა დიოკლეტიანეს ნოგატორული იდეები და მისი სრულყოფაც მოახდინა.

როდესაც საკითხი ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ადრეულ ეტაპს შეეხება, გვერდს ვერ ავუვლით “პირველი ქრისტიანი იმპერატორის” – კონსტანტინე I დიდისა და მისი ეპოქის დახასიათებას. სწორედ კონსტანტინეს სახელთან არის დაკავშირებული ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება და მთელი რიგი კულტურულ-პოლიტიკური ხასიათის რეფორმები, რომელმაც წარმართული სახელმწიფოს ქრისტიანულ იმპერიად გარდაქმნას შეუწყო

ხელი. რა თქმა უნდა ძველი, წარმართული ტრადიციების, აზროვნების ფორმის და რელიგიური კულტების ტრანსპორტმაცია რთული და ხანგრძლივი პროცესი აღმოჩნდა. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების პირველსავე ეტაპზე გამოვლინდა ის სირთულეები, რომელიც დაკავშირებული იყო ახალი “ქრისტიანი იმპერატორის” კონცეფციის ჩამოყალიბებასთან, კერძოდ, იმდროინდელი საზოგადოებისათვის ძალზე პრობლემური აღმოჩნდა ანტიკურ-ელინური მსოფლმხედველობისაგან ერთბაშად გათავისუფლება. ყველაზე ნათლად ანტიკურ-ელინური იდეების გავლენა გამოიხატა იმპერატორის კულტის გარდაქმნისას, როდესაც მან ქრისტიანული იდეებიც შეითვისა. ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, სახელმწიფო და რელიგია ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად უნდა ყოფილოყო, ხოლო ეს აზრი ეწინააღმდეგებოდა იმას, რაც მთელი ანტიკური პერიოდის განმავლობაში ერთმანეთისაგან განუყოფელად და შერწყმულად არსებობდა[4,6]. კონსტანტინესა და იმდროინდელი პოლიტიკური ელიტისათვის რთული აღმოჩნდა ანტიკური მემკვიდრეობის უარყოფა, ამიტომაც “უმაღლესი ქურუმი” (pontifex maximus) გარდაიქმნა “ღვთით კურთხეულ მონარქად”, რომელსაც ძალაუფლება თვით უფლისაგან ჰქონდა ბოძებული. ამ შემთხვევაში, აშკარად ჰქონდა ადგილი წარმართული და ქრისტიანული იდეების

სინკრეტიზაციას, რაც იმპერატორს უფლებას აძლევდა გამხდარიყო უმაღლესი აგზორიტეტი საეკლესიო საქმე-ებშიც კი. ინტელექტუალური და იმპულსური აღმოსავ-ლეთისათვის იმპერატორი ეკლესიისა და იმპერიის ერ-თიანობის სიმბოლოდ ჩამოყალიბდა და IV საუკუნეში შექმნილი მმართველობის ეს მოდელი კარგა ხანს შე-მორჩა ბიზანტიელთა ცნობიერებაში.

ზემოაღნიშნული კონცეფციის შემუშავებაში დიდი წვლილი IV საუკუნის ისტორიკოსს, თეოლოგსა და საეკლესიო მოღვაწეს ევსევი კესარიელს მიუძღვის, რომელმაც ძალზე გადაჭარბებულად შეაფასა იმპერა-ტორის როლი თვით ქრისტიანი ხალხების გადარჩენის საქმეში და ამით პირდაპირ დაამკვიდრა ანტიკური გადმონაშთი ქრისტიანულ აზროვნებაში. მეცნიერთა გარკვეული ნაწილი, მათ შორის ფიუსტელ დე კულან-ჟი, მას ბიზანტიური “ცეზაროპაპიზმის” სულისჩამ-დგმელადაც მიიჩნევს[4,8]. თუმცა ხელადებით მტკიცება იმისა, რომ ბიზანტიაში ეკლესია და სახელმწიფო არ იყო ერთმანეთისაგან გამიჯნული, ისე, როგორ ამას დასავლელი მეცნიერები მიიჩნევენ, სიმართლეს არ შე-ესაბამება.

ქრისტიანობის გამარჯვების შემდეგ, იმპერიაში თავის ადგილის დამკვიდრება დაიწყო ძლიერმა და სა-ხელმწიფოს მსგავსად იერარქიულად ორგანიზებულმა ეკლესიამ, რომელიც საკუთარი ერთობით მკვეთრად

განსხვავდებოდა მისი წინამორბედი, წარმართული რელიგიური სისტემისაგან. საერო ხელისუფლების გვერდით აღმოცენდა ძლიერი, ორგანიზებული და მტკიცე იდეოლოგიის მქონე ინსტიტუტი. სწორედ აქედან მოყოლებული იწყება იმპერატორისა და ეპლესიის უფლებების არეალის განსაზღვრა.

325 წელს ქალაქ ნიკაში მოწვეულმა I მსოფლიო საეკლესიო კრებამ ზუსტად გამოხატა საერო და სასულიერო ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულების ის ფორმა, რომელიც აღმოსავლური ქრისტიანული სამყაროსათვის ხანგრძლივად უცვლელი დარჩა. არიოზულმა ერებმა სახელმწიფოს ორად გახლების საშიშროება შეუქმნა. სწორედ ამ კონკრეტულ სიტუაციაში, იმპერატორმა გამოიყენა თავისი ძალაუფლება და მისი ბრძანებით მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება. კრებას უშუალოდ იმპერატორი ადევნებდა თვალყურს, კრების სხდომასაც იგი სსნიდა და მისი ავტორიტეტიც საეკლესიო საქმეებში სასულიერო პირებისათვის აბსოლუტურად მისაღები იყო. საზეიმო სხდომაზე იმპერატორის მიერ წარმოთქმული მისასალმებელი სიტყვა მისი ავტორიტეტისა და ამავე დროს, კრების ლეგიტიმურობის კიდევ ერთი ხაზგასმაა. სწორედ აქედან მოყოლებული, აღმოსავლეთ რომის იმპერიაში საეკლესიო კრებები სასულიერო სფეროში უმაღლეს ავტორიტეტადაა მიჩნეული. სშირ შემთხვევაში, საეკლესიო

კრებების მოწვევის გადაწყვეტილებაც და მასზე საბოლოო სიტყვის წარმოთქმაც იმპერატორის პრეროგაბრიგას წარმოადგენს. კარდინალურად განსხვავებულია ვითარდება დასავლეთ ქრისტიანულ სამყაროში, სადაც უმაღლესი სასულიერო პირი - რომის პაპი პრეტენზიას აცხადებს იყოს უზანაესი ხელისუფალი არა მარტო საეკლესიო, არამედ პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. ამას რამოდენიმე მიზეზი განაპირობებდა. რომის იმპერიის კრიზისი უფრო თვალშისაცემია მის დასავლეთ ნაწილში და სწორედ ამით აიხსნება იმპერატორის აღმოსავლეთისაკენ სწრაფვა, რაც 330წ. ახალი დედაქალაქის – კონსტანტინოპოლის დაარსებით დაგირგვინდა.

ოდესდაც დიდებით მოსილი ქალაქი რომი და მთლიანად იტალია თავის პირვანდელ მნიშვნელობას კარგავს. ინტელექტუალურ-შემოქმედებითი უნარის მქონე მოსახლეობის ნაწილიც აღმოსავლეთისაკენ ისტრაფვის. გერმანელ ტომთა შემოსუვები სულ უფრო და უფრო აუტანელს ხდის პოლიტიკურ მდგომარეობას. ცენტრალური ხელისუფლება დეზორგანიზებულია. 476 წელს დასავლეთ რომის უკანასკნელი იმპერატორი გოთების მიერ ტახტიდან იქნა ჩამოგდებული, რითაც ხანგრძლივად დაესვა წერტილი იმპერიაში მშვიდობასა და სტაბილურობას. ანარქიის პერიოდში პაპის მნიშვნელობა თანდათანობით იზრდება. ხშირია შემთხვევები, როდესაც უმაღლესი სასულიერო პირი საკუთარი

ნიჭისა და უნარის წყალობით ახერხებს თავიდან ააცილოს მოსახლეობას მძიმე კრიზისი. 451 წელს ერთა-დერთი ძალა, რომელმაც მოლაპარაკებებისა და დიდი გამოსასყიდის საფასურად რომი კიდევ ერთი, ამჯერად ატილას, დარბევისაგან იხსნა პაპი ლეო I იყო. პოლიტიკური ანარქია და ცენტრალური ხელისუფლების სისუსტე პაპის, როგორც ერთადერთი ხელისუფლის როლის ზრდას მნიშვნელოვნად აჩქარებდა. ამავე დროს, დასავლეთ ქრისტიანულ სამყაროში რომი ერთადერთი სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესია იყო, რასაც ვერ ვიტყვით აღმოსავლეთზე, სადაც უკვე არსებობდა: ანტიოქიის, იერუსალიმის, ალექსანდრიისა და კონსტანტინოპოლის კათედრები.

დასავლეთის ინტელექტუალური შესაძლებლობების დაქვეითებას თან მოჰყვა ელინისტურ-ანტიკური ტრადიციებისა და მემკვიდრეობის უფრო მკვეთრი შესუსტება აქ, ვიდრე აღმოსავლეთში. აღმოსავლური სივრცისაგან განსხვავებით, სწავლა-განათლების სისტემა მთლიანად სასულიერო წოდების ხელში მოექცა, რამაც ეკლესიის ძლიერების არსებობას შეუწყო ხელი. ადრე შეა საუკუნეებში დასავლეთში აშკარად იგრძნობოდა ეკლესიის დომინირების პროცესი. საინტერესოა IV საუკუნის თეოლოგისა და საეკლესიო პირის ნეტარი აუგუსტინეს კონცეფცია სასულიერო და საერო ხელისუფლების შესახებ, რომელიც მან თავის „ღვთის

ქალაქში” ჩამოაყალიბა. მან სახელიერო ხელისუფლება საერთო მაღლა დააყენა ევსევი კესერიელისაგან განსხვავებით, რომელიც იმპერატორს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ნეტარი აუგუსტინე კათოლიკური ეკლესიისათვის უაღრესად დიდი ავტორიტეტი იყო და რომის პაპებიც წარმატებით იყენებდნენ მის ნაშრომებს საკუთარი უზენაესობის დასაბუთებისათვის.

ამგვარად, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული სისტემის ჩამოყალიბებას ქრისტიანულ სამყაროში რამოდგნიმე ფაქტორი განაპირობებდა: პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და მენტალური. აღმოსავლეთის ეკლესიის განსხვავებული მდგომარეობა განპირობებული იყო ბიზანტიის იმპერატორის განუზომელი ავტორიტეტით, მოსახლეობის განსხვავებული ცნობიერებითა და ძლიერი ანტიკური მემკვიდრეობის შენარჩუნების წყალობით. ხოლო დასავლეთში პოლიტიკური ხელისუფლების სისუსტემ, გერმანული ტომების მიგრაციამ და ერთადერთი რომის საეკლესიო კათედრის არსებობამ სახელმწიფოსა და ეკლესიის ხანგრძლივ დაპირისპირებას შეუწყო ხელი.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. В.В. Болотов, Лекции по истории Древней Церкви
- 2..А.А. Васильев, История Византийской империи, т. 1, М. 1996
3. Енё Гергей, История Папства, М, 1996
4. Жильбер Дагрон, Восточный цезаропапизм. [www.gummer.info](http://www.gummer.info).
5. Шарль Дильт, Основные проблемы византийской истории, М., 1947.
6. А.В. Карташев, Вселенские Соборы, М., 2006
7. А.П. Лебедев, Христианский Мир и Эллино-Римская Цивилизация, СП., 2005
8. Й.Лорти. История Церкви рассмотренная в связи с историей идей
9. М.Э. Поснов, История Христианской Церкви
10. Б.Рассел, История Западной философии, Новосибирск, 2003
11. CHRISTOPHER BRYAN. Render to Caesar: Jesus, the Early Church, and the Roman Superpower, Ooxford. 2005

**Sandro Nikolaishvili**

The first year MA student of Ivane Javakhishvili  
Tbilisi State University,  
Faculty of humanities,  
direction of history of World

## **The relationship between church and state in early middle ages**

### **Summary**

The relationship between church and state is one of the most important issues in Medieval History. When Christianity was declared as state religion in Roman Empire a newly formed church became the strongest organization. After division of the Roman Empire two different distinctive relations formed between secular and Church authorities. In the west, strong, ideological and political circumstances determined the Pope's dominant power. After the fall of Western Roman Empire in 5<sup>th</sup> century no signal secular power emerged in West and the Pope religious authority gained also secular functions.

Different process took place in Eastern Roman Empire also known as Byzantium. The strong secular power and authority of emperor didn't give possibility church to be dominant, on the contrary church and state were separate. Sometimes church was under the big influence of the state... It will be very useful finally to conclude and analyze the characteristic of ‘Caesaropapism’.

Was it typical for Western Europe in middle ages or for Byzantium?

When we are dealing with relationship between state and church we have to mention about Constantine I who transformed the religious and political ideology, created new Christian empire, with strong cult of Christian emperor.

The different cultural, religious and exceptional form of thinking which developed in Byzantium and in Europe was very important. Those issues determine the totally different relation between State and Church.

## თამარ ტლაშვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
სპეციალობა-ფილოსოფია  
IV კურსი

### მიმღებადოւნის განვითარების დასავლეთის ეპლესიაში

ქრისტიანული ეკლესია თავისი არსებობის ად-  
რეული საწყისებიდანვე პატივს მიაგებს იმ პიროვნე-  
ბებს, რომლებმაც საგანგებო დგაწლითა და სათხოე-  
ბით გამოიარა ამქვეყნიური ცხოვრება და დიდი მსახუ-  
რება გაუწია ეკლესიას. ხშირად ეს მოწამეობრივი ად-  
სასრულითაც კი გამოვლინდებოდა.

თავდაპირველად „წმინდანად“ იწოდაბოდა ყოვე-  
ლი მონათლული ქრისტიანი, ეკლესიის წევრი, მაგრამ  
IV საუკუნიდან ამ სიტყვამ საგანგებო შინაარსი შეიძი-  
ნა და მხოლოდ გარკვეულ პიროვნებებზე გავრცელდა.  
პირველნი, რომელთაც მიიღეს „წმინდანის“ სახელმწიფ-  
ბა, ამ სიტყვის საგანგებო მნიშვნელობით იყვნენ მოცი-  
ქულები და მოწამეები.

წმინდანთა დასში შერაცხვა, რომელიც X საუ-  
კუნიდან ლათინური სიტყვით „პანონიზაციით“ მოიხსე-  
ნიებოდა, წარმოადგენდა საეკლესიო ხელისუფლების  
გარკვეულ ქმედებას, აქტს, სარწმუნოების გარდაც-  
ვლილ მოღვაწეზე. ეკლესიის ისტორიაში პანონიზაცი-

ამ მრავალი სახეცვლილება განიცადა. სშირად მასთან იყო დაკაგშირებული მცდელობა აეცილებინათ წმინდანთა დასში სიწმინდით საეჭვო პირთა შერაცხვა.ასე მაგალითად, ძველ ეკლესიაში წმინდანად შერაცხულ ადამიანთა განცალკევებული აქტი არ მოითხოვებოდა და საქმე შემოიფარგლებოდა მხოლოდ მათი სახელების ზეპირი მოხსენიებითა და აღსასრულის დღეზე დღესასწაულის დაწესებით.

„კვე II საუკუნის საეკლესიო წყაროებში სახარებისეულ მოვლენათა აღსანიშნავად დაწესებული სადღესასწაულო დღეების გვერდით გვხვდება ცნობები მოწამეთა ხსენების დღეების აღნიშვნის შესახებ. აღრეული პერიოდის ეკლესიაში თაყვანისცემულ წმინდანთა რიცხვის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ ჩვენამდე მოღწეული კალენდრების, მარტიროლოგებისა და მონოლოგიების მიხედვით. მათ შორის ყველაზე აღრინდელი III–IV საუკუნის მარტიროლოგები ძირითადად ლათინური სასამართლო აქტების, ეწ. „პროკონსულთა აქტების“ თარგმანს, ან გადამუშავებულ ვარიანტს წარმოადგენენ.ეს აქტები იმპერატორ კონსტანტინეს ბრძანებით იმპერიის ყველა დიდ ქალაქში ინახებოდა. რომის ხელისუფლების ფაქტობრივი აქტების გარდა, I–II საკუნეებიდან ჩვენამდე შემორჩენილია ამათუ იმ მოწამის ცხოვრების აღწერის პირველი მცდე-

ლობები ეკლესიის მხრიდანაც, რაც მოწამეთა თაყვანისცემაზე მეტყველებს.

გველი ეკლესიის მოწამეთა შესახებ შემორჩენილი ჩანაწერები საკმაოდ მოკლეა, რადგან რომის სასამართლოზე სტენოგრაფისტთა მიერ ხდებოდა მხოლოდ მოსამართლეთა შეკითხვებისა და ბრალდებულთა პასუხების ჩაწერა. სასამართლო ჩანაწერებს ჰქონდა დაკითხვის ოქმის სახე, სადაც დასაწყისში აღნიშნული იყო პროკონსულის სახელი, რომლის ოლქშიც იმართებოდა სასამართლო, შემდეგ წელი, თვე, რიცხვი, ზოგჯერ მითითებული იყო დროც. ბოლოს მოცვმული იყო დაკითხვის ტექსტი, რომელიც წარმოადგენდა დიალოგს სასამართლო მოხელეებსა და ბრალდებულს შორის. დაკითხვის დასასრულს იგი პროკონსულის ბრძანებით ხმამაღლა იკითხებოდა. შემდეგ კი გამოჰქონდათ გადაწყვეტილება და აცხადებდნენ განაჩენს.

წმინდანთა შორის ირიცხებოდა ქრისტესათვის ყველი წამებული, რომელთა სახელებიც, როგორც მოწამეობრივი სისხლით განწმენდილებისა მათი ცხოვრების გამოძიების გარეშე ავსებდნენ წმინდანთა დასხ. ეკლესია ზოგჯერ ამ სასამართლოებზე გზავნიდა პირს რომელსაც ეგალებოდა ჩაუწერა დაკითხულის ნაამბობი. ეს ჩანაწერები მოგვიანებით შეუერთდა მონოლოგიებს როგორც „წამებანი“ და დალაგებულ იქნა რომის

კალენდრის დღეების მიხედვით IV საუკუნის ბოლოს კალენდარი სრული გახდა. წმინდანთა რიცხვი კი იმდენად გაიზარდა, რომ წლის მანძილზე მათი ხსენების გარეშე არ რჩებოდა არც ერთი დღე. მაგრამ ასეთი სრული ძველი ქრისტიანული კალენდარი ჩვენამდე არ შემორჩენილა.

იმის გამო, რომ V საუკუნის დასაწყისისათვის წმინდანთა პატივად დღესასწაულების გამართვამ საპმაოდ ფართო ხასიათი მიიღო, საეკლესიო ხელისუფლება ვალდებული გახდა თვალყური ედევნებინა წმინდანთა შერაცხვისათვის და ასევე აღეკვეთა ცრუ კანონიზების ფაქტები. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად წმინდანები უმეტეს შემთხვევაში ადგილობრივი თაყვანისცემით განიდიდებოდნენ, შემდეგ კი მათ მიერ აღსრულებულ სასწაულთა გამოვლენასთან ერთად, მათი თაყვანისცემა საერთო საეკლესიო ხასიათის ხდებოდა.

კანონიზაცია წესების დაცვით რომ შესრულებულიყო, დასავლეთის ეკლესიაში, ადგილობრივ ეპისკოპოსს ევალებოდა თვალყური ედევნებინა ამ პროცესისათვის და თავისი აზრი შეეტყობინებინა რომის პაპისათვის, რომელსაც კარდინალებთან ერთად გადამწყვეტი ხმა ეპუთვნოდა ამა თუ იმ პიროვნების წმინდანად აღიარების საკითხში. პირველი კანონიზება ეხებოდა აუგსბურგის ეპისკოპოს ულრიხს, რომელიც

993 წელს შესრულებულ იქნა პაპ იოანე XV-ს მიერ რომის პროვინციის გაისკოპოსთა კრებულთან ერთად მოგვიანებით ეპისკოპოსთა კრებამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა წმინდანთა კანონიზაციის საქმეში, რაც მთლიანად პაპისა და კარდინალების ხელში აღმოჩნდა.

რომაულ-კათოლიკურ ეკლესიაში წმინდანად შესარაცხი პიროვნებისთვის არსებობდა გარკვეული პირობები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში და გარდაცვალებიდან ხუთი წლის გასვლის შემდეგ იწყებოდა კანონიზაციის პროცესი. პირობები იყო შემდეგი: კუთვნილება ეკლესიისადმი, კანონიზებადი სიკვდილი, შესარაცხი პიროვნების ცხოვრების სიწმინდე და სასწაულების გამოვლინება. სასწაულის აღსრულება წმინდანად შერაცხვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა, რომელიც სიკვდილის შემდეგ უნდა აღესრულებოდეს მოდვაწის მიერ, ამასთან ეს უნდა იყოს არანაკლებ ოთხი სასწაულისა, რომელიც დამოწმებულ იქნება თვითმხილველების მიერ.

დასავლეთის ეკლესიაში კანონიზაციის აქტს XVII საუკუნიდან წინ უძღვდა ბეათიფიკაციის აქტი, რომელიც წარმოადგენდა კანონიზაციის დაბალ საფეხურს, როდესაც ადამიანი სიკვდილის შემდეგ ცხადდებოდა ნეტარად, თუმცა ამით არ წყდებოდა მისი წმინდანობის საკითხი. პირველი ყველა წესით გაფორმებულ

ლი ბეათიფიკაცია შესრულებულ იქნა ფრანცისკო  
სოლსკოვოს მიმართ 1662 წელს პაპის ბენედიქტე XIV-  
ს მიერ. მანვე დააწესა განსაზღვრული მოთხოვნები ბე-  
ათიფიკაციის პროცესის, რომლის თანახმადაც უნდა  
შემოწმებულიყო წმინდანად შესარაცხი პიროვნებისათ-  
ვის დაწერილი თხზულება (ასეთის არსებობის შემ-  
თხვევაში), უნდა შეფასებულიყო გმირობის ხარისხი  
და ასევე გამოცხადებულიყო მის მიერ შესრულებული  
სასწაულის ფაქტი.

ბეათიფიკაციის აქტი დაყოფილი იყო გამოსაც-  
დელ პროცესსა და თვით ბეათიფიკაციის აქტად. მასში  
მონაწილეობდნენ რქმენის წინ წამომწევნი, რომელთაც  
სხვაგარად ეშმაკის წინაშე წმინდანის დამცველიც  
ეწოდებოდა, რომლის მოვალეობა იყო ნათელი მოეფი-  
ნა წმინდანად გამოსაცხადებელი კანდიდატის ცხოვრე-  
ბიდან გარკვეულ მომენტებისათვის. მას ჰყავდა ოპო-  
ნენტი, რომელიც ცდილობდა დასახელებული არგუმენ-  
ტების უარყოფას. ადგილობრივი ეპისკოპოსის მიერ  
მოძიებული და მოპოვებული მასალები შესარაცხი პი-  
როვნების შესახებ, განსახილველად წარედგინებოდა  
საგანგებო კონგრეგაციას და ამით ამოიწურებოდა გა-  
მოსაცდელი პროცესი, რის შემდეგაც დგებოდა თავად  
ბეათიფიკაციის აქტი, რომელიც მდგომარეობდა სპეცი-  
ალურ და გენერალურ ინკვიზიციაში, განაცხადებდა  
რა საკითხს დიდებისა და სასწაულების შესახებ, რი-

თაც გარკვეული უნდა ყოფილიყო დამტკიცებულია თუ არა მოღვაწის სიწმინდე, მის მიერ ადსრულებული სასწაულები.

ბეათიფიკაციის ცერემონია როგორც წესი ტარ-დებოდა და ტარდება წმინდა პეტრეს ტაძარში, სადაც ფარადს ხდიდნენ ნეტარის ხატს, იკითხებოდა დეკრეტი ბეათიფიკაციის შესახებ, წმინდანის ლოცვა და სრულდებოდა ჰიმნი.

ბეათიფიკაციის აქტის შემდეგ პაპის თანხმობით დგება კანონიზების აქტი, იმავე რიგით, რითაც ბეათიფიკაცია ადსრულდა. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნას სპეციალური განჩინება, ყოველგარი ფორმალობის გარეშე წმინდანად შერაცხვის შესახებ.

დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ წმინდანთა კანონიზაცია ეკლესიის ისტორიაში არასდროს არ ყოფილა ერთსახოვანი. შერაცხვის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში არსებობდა განსაკუთრებული მიზეზები, რომლებიც შეიძლება დამოკიდებული ყოფილიყო როგორც მოღვაწის მიერ არჩეულ ღვაწლზე, ასევე იმ სულიერ მოთხოვნილებებზე, რომლებიც ყოველ ისტორიულ მომენტში ეკლესიას მიაჩნდა აუცილებლად.

ეკლესიის არსებობის სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში, წმინდანთა კანონიზების მიზეზებისა და სახესხვაობისას ერთი რამ ყოველთვის უცვლელი რჩებო-

და: ყოველგვარი თაყვანისცემა წმინდანისა წარმოადგენდა ღვთის სიწმინდის განცხადებას და ყოველთვის აღესრულებოდა ეკლესიის ნება-სურვილით.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Канонизация святых в XX веке, М., 1999
2. Полный православный богословский словарь, М., 1992
3. Католическая Энциклопедия
4. პანაიოტის ბუმისი, კანონიკური სამართალი, თბ., 2007

**Tamar Tlashadze**

Ivane Javakhishvili

Tbilisi State University,

Faculty of humanities,

specialization –philosophy

IV year

## **The evolution of canonization of saints in West Christian Church**

### **Summary**

This work describes the evolution of canonization in West Christian Church. Here are discussed first steps of canonization when adoration of saints require any separate formal acts. in this work there are represented the changes which were happening during centuries and there are also characterized the canonization and beatification acts the remain the same until today.